საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№018 (12 088)
24 იანვარი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი

● ფეხბურთი



**ბოლნისი მოსკოვს დაემშვიდობა**
თანამეგობრობის თასი 2



**გოგუამ სამედიცინო შემოწმება გაიარა** 2

**პროფესიული კრივი კინო რუსთაველში** 13

**ყვანჯები იატაკზე!**



საქართველოს ფლორბოლის ფედერაციას მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობა სურს

ჩვენი პარტნიორია
CDN კავკასიის ციფრული ქსელი CAUCASUS DIGITAL NETWORK

# აშვეთიამ კონტრაქტი გააფორმა

## CARL ZEISS JENA, მეორე ბუნდესლიგა. პარასკევს უკვე პირველი მატჩია

ჩავიდა, ნახეს და კონტრაქტიც გააფორმეს! - ასე შეგვიძლია ვთქვათ ეროვნული ნაკრების ფორვარდ მიხეილ აშვეთიას გერმანულ ვოიაჟზე.

მიხო მოსკოვიდან გუშინ დილით ჩაფრინდა გერმანიაში. ახალწვეული იენის "კარლ ცაისის" მწვრთნელ ჰაიკო ვებერს და კლუბის სხვა შეფებს სპორტულმა დირექტორმა სერგეი კირიენკომ წარუდგინა. გუშინვე აშვეთიამ მეორე ბუნდესლიგის ამ გუნდთან კონტრაქტი გააფორმა. ქართველ თავდამსხმელს კლუბის ოფიციალურ განაცხადში დღეს შეიყვანენ, ხოლო პარასკევს, 26 იანვარს ბრაუნშვაიგში, "აინტრახტთან" მატჩში დებიუტიც ექნება.

როგორც იცით, "კარლ ცაისს" საქართველოს ნაკრების კიდევ ერთი წევრი, მეკარე გიორგი ლომაიაც ჰყავს შეგულებული. თუმცა, ჯერჯერობით, "ვერდერის" 39 წლის მეკარე ანდრეას რაინკეს პასუხს ელიან და თუ მისგან უარი მიიღეს, მაშინ ლომაიაზე შეაჩერებენ არჩევანს.

ეს ამბები თავად აშვეთიამ გვითხრა. წუხელ მას იენაში, სასტუმროში დავუკავშირდით: - კონტრაქტი ამ სეზონის ბოლომდეა. მერე ვნახოთ, თუ კარგად წავიდა საქმე, შეიძლება, გავახანგრძლივოთ კიდეც. ხვალ სატრანსფერო ფურცელი ჩამოვა, განაცხადში შემიყვანენ და პარასკევს, "აინტრახტთან" უნდა ვითამაშო. რაც შეეხება გიორგი ლომაიას, თუკი "კარლ ცაისი" ანდრეას რაინკესგან ოთხშაბათს უარს მიიღებს, მაშინ გიორგისთან კონტრაქტზე დაიწყება მუშაობა."

"კარლ ცაისის" ახალწვეულ მიხეილ აშვეთიასთან ინტერვიუს ხვალ შემოგთავაზებთ.

დავით ცაბაძე



# კიდევ ერთი შესაძლო დანაკლისი

## მოლაპარაკება ლაზარე კუხალაშვილსა და ბრიტანეთის ჩოგბურთის ასოციაციას შორის



ავსტრალიის ღია პირველობაზე დაასრულა ასპარეზობა 15 წლის ქართველმა ლაზარე კუხალაშვილმა. ლაზარე ახალგაზრდული ტურნირის მეორე წრეში მე-11 ნომრად განთესილ ჩეხ მიჰალ კონეჩნის ხვდებოდა. კუხალაშვილი 18-წლამდელთა რეიტინგში, გუშინ გამოქვეყნებული მონაცემებით 39-ე პოზიციაზეა, მასზე ლამის სამი წლით უფროსი კონეჩნი კი - მე-14. სამწუხაროდ, ბრძოლა ვერ შედგა, ჩეხის უპირატესობა ყოველ გეიმში იგრძნობოდა - 1:6, 1:6. პირველი სეტი 21 წუთში მორჩა, მეორე - ოცში. კონეჩნიმ ხუთჯერ შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება და დამსახურებულადაც გავიდა ტურნირის მერვედფინალში. მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ბრიტანულმა გაზეთმა "თაიმსმა" დაწერა...

კუხალაშვილის გვარი ბრიტანულ მედიაში მას შემდეგ ამოტივტივდა, რაც მან ავსტრალიის პირველობის პირველ წრეში ბრიტანელი გრემ დაისი დაამარცხა. აი, რას წერს "თაიმსი": *"კუხალაშვილი ავსტრალიაში ჩავიდა, როგორც LTA-ს ჯგუფის წევრი (ბრიტანეთის ლაუნ ტენისის ასოციაცია - ავტ.). ის სამი კვირის განმავლობაში დაისთან და დენ კოქსთან ერთად ვარჯიშობდა. ლაზარე ამერიკაში ნიკ ბოლეტიერის აკადემიაში ვარჯიშობდა, მაგრამ ახლახან მას მეორე სამუშაო ვიზაზე უარი უთხრეს. ასე მოხვდა ქართველი დასავლეთ ლონდონში, "ქვინზ კლაბში" სავარჯიშოდ. მოლაპარაკება კუხალაშვილსა და ასოციაციას შორის ახლაც გრძელდება, რომ მან ბრიტანეთში ცხოვრების უფლება მიიღოს, შეიძლება, მოქალაქეობა და მომავალში დიდი ბრიტანეთის სახელითაც ითამაშოს. ორივე მხარე საქმეს საკმაოდ სერიოზულად უდგება. ავსტრალიაში ნაჩვენები თამაშით თუ ვიმსჯელებთ, კუხალაშვილი სწრაფი მოთამაშეა ძლიერი დარტყმით და ძალიან მებრძოლი სული აქვს, მოკლედ, ცდად ღირს".*

ალბათ, გახსოვთ, შარშან დაახლოებით ასეთი ისტორია ანა ტატიშვილის შემთხვევაში გვქონდა. მაშინ, ჩვენი აზრით, სწორედ პრესაში ატეხილმა ხმაურმა გვიხსნა ნიჭიერი ჩოგბურთელის დაკარგვისაგან. არც კუხალაშვილის ხელიდან გაშვება შეიძლება - ამით, ფაქტობრივად, ქართული ჩოგბურთის უახლოეს მომავალზე ვამბობთ უარს.

ნიკოლოზ ნეფარიძე

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ოფკ მეოთხედფინალსა და... ანთალიაში!

სპეციალისტთა და გულშემატკივართა აბსოლუტური უმრავლესობა გუშინდელ მატჩში გამარჯვებას ოფკ-ს უწინასწარმეტყველებდა. თამაშისწინა განწყობაზე ყველაზე ნათლად რუსული ტოტალიზატორის ფსონები მეტყველებდა. თავად განსაჯეთ, სერბების გამარჯვებაზე კოეფიციენტი 1,4 იყო, მაშინ როცა "სიონის" მოგების გამომცნობს დადებული თანხა ხუთმაგად უნაზღაურდებოდა.

სერბთა წისქვილზე წყალს კიდევ ის გარემოება ასხამდა, რომ სპორტკომპლექს "ოლიმპიისკისთან" გვარიანად გაშინაურებულნი იყვნენ. ამ მოედანზე მათ ჯგუფური ეტაპის წინა ორი შეხვედრაც ჩაატარეს და "სიონთან" დაპირისპირების წინა დღეს ერთი რიგგარეშე ვარჯიშიც გამართეს. სამაგიეროდ, საქართველოს ჩემპიონებმა "ოლიმპიისკის" ხალიჩაზე პირველად დააბიჯეს ფეხი.

"სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა** ოფკ-სთან მატჩის დასრულების შემდეგ, ერთობ მოულოდნელი ინფორმაცია მოგვაწოდა: თურმე, დღეს სერბული გუნდი ანთალიისკენ აიღებს გეზს, სადაც შეკრებას გაივლის, ხოლო თანამეგობრობის თასის მეოთხედფინალში და თუ ეს ეტაპი გაიარა, შემდეგ შეხვედრებშიც, ოფკ-ის სარეზერვო შემადგენლობა (?!) ითამაშებს. საკვირველია, თუ სერბული კლუბისთვის ეს ტურნირი ასეთი უმნიშვნელოა, რატომ იბრძოლა ასე გაავფთრებით თითოეულ შეხვედრაში.

რუსები თურმე "სიონს" ბელგრადელებთან მატჩში მხურვალედ ქომაგობდნენ. შეხვედრის შემდეგ ყველას ალუნიშნავს, რომ "სიონი" ჯგუფში უპირველესად "კაუნასთან" მატჩში უზბეკი არბიტრის, **ირმატოვის** საშინელი მსაჯობის წყალობით ჩარჩა. როგორც გუშინ გაცნობეთ, ეს შავოსანი სასწრაფოდ შინ გაისტუმრეს, აქამდე უცნობი "სიონი" კი ტურნირის ერთ-ერთ უმთავრეს აღმოჩენად დაასახელეს. შეაქეს გუნდის ფეხბურთელები, არამარტო კარგი თამაშისთვის, ასევე მოედანსმიღმა სამაგალითო ქცევისთვისაც.

ქართული კლუბის ხელმძღვანელობა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ რუსეთის საფეხბურთო კავშირს კარგი მასპინძლობისთვის მადლობის წერილს მისწერს, მაგრამ, ამავდროულად, კიდევ ერთხელ გამოთქვამს უკმაყოფილებას არაობიექტური მსაჯობის გამო.

ბოლნისელები მოსკოვს დღეს სალამოს დატოვებენ, ისინი უკან იმავე გზით გამოემგზავრებიან. წესით, ღამით ერევანში უნდა იყვნენ, საიდანაც თბილისში ავტობუსით წამოვლენ.

"სიონმა" ერთ-ერთ მიზანს მაინც მიაღწია და თავისი ფეხბურთელებით სკაუტები დააინტერესა. **ჩასემი, ბოიომო, სეთურიძე, სილაგაძე, დარასელია** და შესაძლოა, კიდევ სხვა მოთამაშეებიც, უახლოეს დღეებში კონკრეტულ შეთავაზებებს მიიღებენ. მათ ტრანსფერებზე **ახრიკ ცვეიბა, მამუკა ჟულელი** და **მიხეილ ძოძუაშვილი** იმუშავებენ. დარასელია და სილაგაძე მოსკოვში რჩებიან და ადგილზე შეეცდებიან მსურველებთან საერთო ენის გამონახვას. კამერუნელებით დაინტერესებული კონკრეტული კლუბების ნუსხას კი ამ დღეებში შემოგთავაზებთ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| A ჯგუფი | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **23 იანვარი** | | | | | | |
| ცსკა-რეგარ ტადაზი | | | | | | 3:2 |
| ბატე-აქტობე | | | | | | 2:0 |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ცსკა (რუსეთი) | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. ბატე (ბელარუსი) | 3 | 2 | 0 | 1 | 4-2 | 6 |
| 3. აქტობე (ყაზ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 1-3 | 2 |
| 4. რეგარი (ტაჯ.) | 3 | 0 | 1 | 2 | 2-5 | 1 |
| **B ჯგუფი** | | | | | | |
| შერიფი- დორდოი დინამო | | | | | | 3:0 |
| ბაქო-ლევადია | | | | | | 1:0 |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. შერიფი (მოლ.) | 3 | 3 | 0 | 0 | 10-5 | 9 |
| 2. ბაქო (აზერბ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 3. ლევადია (ესტ.) | 3 | 1 | 0 | 2 | 6-4 | 3 |
| 4. დორდოი (ყირგ.) | 3 | 0 | 0 | 3 | 0-9 | 0 |
| **C ჯგუფი** | | | | | | |
| ფახთაქორი-შახტიორი | | | | | | 4:0 |
| ვენტსპილსი-ბანანცი | | | | | | 2:2 |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ფახთაქორი (უზბ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 7-2 | 6 |
| 2. ვენტსპ. (ლატვია) | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 3. ბანანცი (სომხ.) | 3 | 0 | 2 | 1 | 4-7 | 2 |
| 4. შახტიორი (უკრ.) | 3 | 0 | 2 | 1 | 3-7 | 2 |
| **D ჯგუფი** | | | | | | |
| სიონი-ოფკ | | | | | | 2:1 |
| კაუნასი-მტტუ | | | | | | 4:0 |
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ოფკ (სერბეთი) | 3 | 2 | 0 | 1 | 6-4 | 6 |
| 2. კაუნასი (ლიტვა) | 3 | 2 | 0 | 1 | 8-4 | 6 |
| 3. სიონი (საქართ.) | 3 | 2 | 0 | 1 | 5-4 | 6 |
| 4. მტტუ (თურქმ.) | 3 | 0 | 0 | 3 | 1-8 | 0 |

**დღეს:**
**მეოთხედფინალი**
**ოფკ-ვენტსპილსი**
**შერიფი-ბატე**
**ფახთაქორი-კაუნასი**
**ცსკა-ბაქო**

# დანავსული ბოლო წუთი


სახიფათო მომენტი სიონის კართან

**სიონი–ოფკ 2:1**

1:0 ონიანი (46), 2:0 დარასელია (61), 2:1 კალაროვი (89)

სიონი: მამალაძე, სეთურიძე, ბოიომო, ონიანი, კობაური, სილაგაძე, კახელიშვილი, ქებაძე, ალავიძე (46. აფციაური), დარასელია (83. ჭელიძე), ჩასემი

ოფკ: ილიჩი, სტევანოვიჩი, ბრატიჩი, რაკიჩი (62. ანდელკოვიჩი, 90. კალუდეროვიჩი), კაკატოვიჩი (46. კალაროვი), ტოდოროვიჩი, პიპილოვიჩი, ნუპი (77. ადამოვიჩი), პეტროვიჩი, ბაბოვიჩი (77. მილოვაჩი), ნოვაკოვიჩი

გაფრთხილება: ნუპი (16), პეტროვიჩი (29), ტოდოროვიჩი (64), ბოიომო (72), კობაური (73), ილიჩი (75), ნოვაკოვიჩი (85)

გაძევება: პეტროვიჩი (65), ტოდოროვიჩი (70), კობაური (87)

არბიტრი: ა. გვარდისი (ლატვია)

ჯგუფიდან გასასვლელად "სიონს" ორბურთიანი სხვაობით სჭირდებოდა მოგება და მიაღწევდა კიდეც საწადელს; დასანანი უიღბლობა რომ არა. წინა დღეების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქართველთა გამარჯვებისა ბევრს არ სჯეროდა. სერბეთის ჩემპიონატს ჩვენი დასაწუნი არაფერი სჭირს და ამჟამად იქ მესამე ადგილზე მყოფი ოფკ-ს ძლევა საკმაოდ რთული უნდა ყოფილიყო.

მტტუ-სთან მატჩისგან განსხვავებით ბოლნისელთა შემადგენლობაში მხოლოდ ერთი ცვლილება იყო – **თორნიკე აფციაური არჩილ ალავიძემ** შეცვალა. სერბებს ფრეც აძლევდათ ხელს და ამიტომ იყო ალბათ პირველ ტაიმში დიდად რომ არ მოუკლავთ თავი, თუმცა ისიც სათქმელია, რომ ქართველთა აქტიურობამ მათ ამის გაკეთების შანსი ნაკლებად მისცა. ერთი-ორჯერ ქართველთა გულშემატკივრებს მაინც მოუწიათ ნერვიულობა – ჯერ **პეტროვიჩის** დარტყმული ასცდა მცირედით **მამალაძის** კარს, ამის მერე **რაკიჩის** თავურს გადავურჩით, ბოლოს კი მცველებს მოუხდათ **პიპილოვიჩის** დარტყმულის მოგერიება. ამის საპასუხოდ ქართველთაგან **დარასელიამ, სილაგაძემ, ალავიძემ, ქებაძემ, ჩასემმა** დაარტყეს მეტოქის კარისკენ, მაგრამ ზოგის დარტყმული მიზანს აცდა, ზოგისაც მეკარემ მოიგერია. აღსანიშნია სერბების გააზრებული თამაში დაცვაში – ქართველებს ბურთის თავისუფლად მიღების და დამუშავების საშუალებას არ აძლევდნენ და გადაადგილებასაც მაქსიმალურად უზღუდავდნენ.

ორი წუთის არ იყო გასული შეხვედრის განახლებიდან, **გიორგი ონიანმა** პირველი ბურთი რომ გაიტანა – დარასელიას ჩაწოდებული ბურთი სილაგაძემ თავურით გაგზავნა კარისკენ. **ილიჩმა** კი მოიგერია დარტყმული, მაგრამ დამატებაზე ონიანს ვერავინ დაასწრო. ამის მერე ბოლნისელებს რამდენჯერმე ჰქონდათ გოლის გატანის შანსი. **დარასელია-კახელიშვილის** კომბინაცია, ამ უკანასკნელის დარტყმით დამთავრდა, მაგრამ ცარიელი კარიდან ბურთი მცველმა გამოიტანა. საბოლოოდ ქართველთა აქტიურობამ სერბი მცველებიც შეაცდინა. დარასელიამ ითამაშა კარგად, ჩაჭრა მცველის გადაცემა და ქებაძეს მიაწოდა პასი. მანაც ერთი მოძრაობით ჩამოიშორა მცველი და მეკარე და დარასელიას ცარიელ კარში გაატანინა.

ამას მოჰყვა ორი სერბის გაძევება, **სეთურიძის** ჩინებული რეიდები. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ "სიონს" მეორე დღეს მეოთხედფინალში უნდა ეთამაშა, მაგრამ... **კობაურის** გაძევებიდან ერთ წუთში სერბებმა შემდგომ ეტაპზე გამსვლელი გოლი გაიტანეს – კალაროვის შორეული დარტყმული მამალაძის ნადავლი უნდა გამხდარიყო, მაგრამ მოედნიდან ამხტარი ბურთი მეკარეს ხელიდან გაუვარდა და კარში შეგორდა. მატჩის ბოლოს ყველა მამალაძეს ამხნევებდა, საკუთარი თავისთვის ვერ ეპატიებინა შეცდომა.

**ელია და ქრისტი გადელიები**
მოსკოვიდან

ლეგიონერები

# ჰართსის დასკვნა: გოგუა ჯანმრთელია

**გოგიტა გოგუას** ტრანსფერს სანამ წერტილი არ დაესმება, მანამდე, ბუნებრივია, სიახლეები ყოველდღიურად ვრცელდება. გუშინ "დეილი რეკორდმა" საინტერესო ინფორმაცია გაავრცელა. როგორც ირკვევა, "ჰართსის" მთავარ მწვრთნელ **ვალდას ივანაუსკასს** საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ **კლაუს ტოპმიოლერთან** უსაუბრია.

"ვალდას ივანაუსკასი ედინბურგში საუკეთესო ფეხბურთელთა მიწვევას ცდილობს. ეს გუნდი ვარსკვლავების დეფიციტს განიცდის. როგორც აღმოჩნდა, მან წინასწარ იცოდა, რომ ქართველი ნახევარმცველის, გოგიტა გოგუასთვის დავაში გამარჯვებული დარჩებოდა. იგი მოსკოვში იმყოფებოდა და დარწმუნებული იყო, რომ გუნდის პრეზიდენტი ვლადიმირ რომანოვი **ლარი კინგსტონსა** და გოგიტა გოგუას საბოლოოდ გადაიბირებდა. არაა გამორიცხული, ორივე მათგანი შაბათს "გლაზგო რეინჯერსის" წინააღმდეგ მოედანზე ვიხილოთ. "ჰართსის" მწვრთნელი საქართველოს ნაკრების მწვრთნელთან საუბრის დეტალებს ამხელს.

*"კლაუს ტოპმიოლერს იმიტომ ველაპარაკე, რომ საბოლოო არჩევანის გასაკეთებლად მისი აზრი ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო. ტოპმიოლერმა ბევრი კარგი რამ მითხრა ამ მოთამაშეზე და აღნიშნა, რომ გოგუას მის გეგმებში ძალიან დიდი ადგილი უკავია. ვფიქრობ, ორივეს კონტრაქტი მალე გაფორმდება, კინგსტონიც და გოგუაც ფიზიკურად ძალიან კარგ მდგომარეობაში არიან და არაა გამორიცხული, 27 იანვარს "რეინჯერსთან" ითამაშონ."*

ედინბურგში ყოფნისას გოგიტა გოგუამ სამედიცინო შემოწმება გაიარა. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ჯანმრთელია – ასეთია "ჰართსის" ექიმების დასკვნა. მას მხოლოდ ერთი უმნიშვნელო და ჩვენს შემთხვევაში არაფრისმთქმელი პრობლემა აღმოუჩინეს. თურმე გოგუას კბილი აქვს დასაპლომბი.

**მერაბ მამულაშვილი**


გოგიტა გოგუა

ქართველები დსთ-ის თასზე

# ბაქო შემდეგ ეტაპზე მუჯირმა გაიყვანა

ჩვენი ლეგიონერებისთვის მოსკოვური ტურნირი მეტად წარმატებულად მიმდინარეობს. სიონელი ქართველების გარდა, დსთ-ის თასის მონაწილე ჩვენი ყველა თანამემამულე მეოთხედფინალში გაიდა.

ტირასპოლის "შერიფმა" ფლეიოფის საგზური ორი ტურში გაინაღდა, მაგრამ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩსაც სრული პასუხისმგებლობით მოეკიდა და ზედიზედ მესამედ გაიმარჯვა. საერთო შეფასებით, **ვაჟა თარხნიშვილსა** და მის თანაგუნდელებს ტურნირის მოგების შესანიშნავი შანსი აქვთ.

"ბაქოსა" და "ლევადიის" ურთიერთშეხვედრაში ჯგუფიდან გამსვლელი მეორე გუნდის ვინაობა ირკვეოდა. ესტონელებს ფრეც აძლევდათ ხელს, აზერბაიჯანელებს კი მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება ესაჭიროებოდათ და საწადელს **ამირან მუჯირის** გოლის წყალობით მიაღწიეს. კარგ ფორმაში მყოფმა ვეტერანმა ქართველმა ნახევარმცველმა თავი შეხვედრის 52-ე წუთზე გამოიჩინა. კარგად ითამაშა **ალექსანდრე გოგობერიშვილმაც**.

**გივი კვარაცხელიასა** და **ნუკრი მანჩხავას** "კაუნასს", როგორც მოსალოდნელი იყო, მტტუ-სთან პრობლემები არ შექმნია. აღსანიშნავია, რომ კიდევ ერთი მეოთხედფინალისტის, "ფახთაქორის" ღირსებას **დავით კოპაძე** იცავს, რომელმაც დონეცკის "შახტიორის" კარი დალაშქრა. ცნობისათვის, კოპაძე თურქმენეთშია დაბადებულ-გაზრდილი, წარმოშობით კი თურქი მესხია.

**ლევან ჯანეზაშვილი**

გახსენი... ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

19-წლამდელთა ნაკრები

# არაკლისფორთან ბჟალავას გარეშე

ტრაბზონში შეკრებაზე მყოფი საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები დღეს მეორე მატჩს გამართავს. "ტრაბზონის" ახალგაზრდულ გუნდთან მარცხის მერე, ჩვენები რეაბილიტაციას ქვედალიგოსან "არაკლისფორთან" შეეცდებიან. გუშინდელ წვრთნაში მონაწილეობა არ მოილია გუნდის კაპიტანსა და "ზესტაფონის" ნახევარმცველ **მირზა ბჟალავას**. როგორც ირკვევა ბჟალავა "ტრაბზონთან" მატჩში დაშავებულა. მართალია, ტრავმა სერიოზული არაა, მაგრამ მწვრთნელებმა მირზას დასვენების საშუალება მისცეს. როგორც ითქვა, ბჟალავა მეორე საკონტროლო მატჩში ალბათ არ ითამაშებს. ბუნებრივია იბადება კითხვა - ვინ უკაპიტნებს 19-წლამდელთა ნაკრებს? ნაკრები გუნდების მენეჯერ **თამაზ ბოკერიას** თქმით ეს საკითხი წუხელ გადაწყვეტილი არ იყო და დღეს თამაშამდე გაირკვევა.

"არაკლისფორთან" მატჩი თბილისის დროით 15 საათზე დაიწყება. ხვალ კი ჩვენი გუნდი ბათუმის გავლით სამშობლოსკენ აიღებს გეზს. ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად თბილისში **ჰაინც ტოპმიოლერი** და **პეტარ სეგრტიც** დაბრუნდებიან.

**დავით ცაბაძე**



შოთა არველაძე

ეროვნული ნაკრები. თურქეთთან მატჩამდე

# ყველა გამორჩეული ნაკრებში

ეროვნული ნაკრები წლევანდელი თამაშების სერიას 7 თებერვალს თურქეთთან ამხანგური მატჩით გახსნის. **კლაუს ტოპმიოლერი** და მისი შტაბი სანაკრებო სიაზე მუშაობენ. როგორც შევიტყვეთ ნაკრების შემადგენლობა ამ კვირის ბოლოს თუ არა, მომავალი კვირის დასაწყისში იქნება ცნობილი. სარწმუნო წყაროს ცნობით, "მომავლის გუნდისა" და ეროვნული ნაკრების სიებში ყველა გამორჩეული ფეხბურთელი იქნება. თუმცა იქნება თუ არა მასში **შოთა არველაძის** გვარი, ეს ჯერჯერობით ჩვენთვის უცნობია.

"ალკმაარის" ქართველმა ფორვარდმა ჯერ კიდევ შარშან ურუგვაისთან მატჩის წინ სთხოვა კლაუს ტოპმიოლერს, ეროვნულში ამხანაგური მატჩებისგან გაეთავისუფლებინა. შესაძლოა, ის ამჯერადაც არ იყოს კლაუსის ჩამონათვალში. მით უმეტეს, შოთა არველაძეს "ალკმაარის" რიგებში გუშინ გამართულ სათასო შეხვედრაში (ქვედალიგოსან "მაასტრიხტთან") არ უთამაშია, რისი მიზეზიც ტრავმა გახლავთ.

*"შოთა კლაუს ტოპმიოლერს ესაუბრა და სთხოვა, ამხანაგურ მატჩში არ გამოეძახა ნაკრებში, რადგან ქრონიკული ტრავმები აქვს და მუხლი ისევ აწუხებს... ვერ გეტყვით, რას გადაწყვეტს ეროვნული ნაკრების თავკაცი.*

*შოთას არც სათასო მატჩში უთამაშია. მას კუნთი დაეჭიმა. "ალკმაარს" სუსტი მოწინააღმდეგე ჰყავდა და მწვრთნელებმა ჩემი ძმის მოედანზე გაყვანა არ გარისკეს"*, - შოთას თაობაზე გვითხრა მისმა უფროსმა ძმამ, ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა **რევაზ არველაძემ**.

დღეს გამთენიისას რევაზ არველაძე, ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძესა** და ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავასთან** ერთად, გერმანიას გაემგზავრა. მათ გერმანიაში პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** შეუერთდება და ყველანი უეფას კონგრესს დაესწრებიან, რომელიც 26 იანვარს დიუსელდორფში გაიმართება.

**დავით ცაბაძე**

სავარაუდო ტრანსფერი

# გოცირიძის გოლი, გრიგალაშვილის პასი

გერმანიის მეორე ბუნდესლიგის "აუეში" ტესტირებაზე მიწვეული **შოთა გრიგალაშვილი** და **ბექა გოცირიძე** გუშინ "ნორდ დრეზდენთან" ამხანაგურ მატჩში გამოცადეს. საკონტროლო შეხვედრაში აუე-მ მეტოქე 5:0 გაანადგურა.

*"აუემ ობერლიგის წარმომადგენელი "ნორდ დრეზდენი" 5:0 დაამარცხა. ერსინ დემირმა დუბლი მიითვალა, თითო გოლი კი დანიელ რუფპმა, ტომ გიბლერმა და ბექა გოცირიძემ გაიტანეს"*, - მხოლოდ ეს იკმარა კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა.

როგორც გავიგეთ ქართული ტრიო ბექა გოცირიძის, შოთა გრიგალაშვილისა და **დავით სირაძის** შემადგენლობით, მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში. გრიგალაშვილმა საგოლე პასი მიითვალა, ხოლო საბოლოო ანგარიში გოცირიძემ დააფიქსირა.

ეს ინფორმაცია წუხელ გერმანიაში დაკავშირებისას დავით სირაძემაც დაგვიდასტურა:

*"სამივე მეორე ტაიმიდან ჩავერთეთ თამაშში. თავდასხმაში გოცირიძე მარჯვნიდან ათამაშეს, მე ცენტრფორვარდად ვიყავი გამწესებული, ხოლო გრიგალაშვილი შუაში საყრდენ ნახევარმცველად. სამივემ კარგად ვითამაშეთ. მეოთხე გოლი გრიგალაშვილის პასით გავიტანეთ, მეხუთე კი გოცირიძემ შეაგდო. მთავარ მწვრთნელ გერდ შედლიხს, როგორც შევატყვე, მოსწონს ბექა და შოთა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას ჯერ არ ჩქარობს...*

*28 იანვარს ტურის მორიგი მატჩი შინ როსტოკის "ჰანზასთან" გვაქვს და ამ თამაშის მერე, მომდევნო დღეს იტყვის საბოლოო პასუხს. მანამდე კი გრიგალაშვილი და გოცირიძე ჩვენს გუნდში ივარჯიშებენ...*

*გოცირიძეს დრეზდენელებთან თამაშში ფეხი გადაუბრუნდა. პირველადი დაკვირვების შედეგად, საგანგაშო არაფერია. ხვალ ექიმი ნახავს ბექას. იმედია ის მალე მომჯობინდება"..*

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ ვლადიმერ გუცაევთან

# სკოლა, გუნდი, არჩევნები

## ვლადიმერ გუცაევი საკუთარ გეგმებს ამხელს



ვლადიმერ გუცაევი

**ვლადიმერ გუცაევი ბავშვთა საფეხბურთო სკოლას ხსნის მცხეთაში. ამის გარდა, მას სხვა გეგმებიც აქვს, როგორც ბავშვთა ფეხბურთთან დაკავშირებით, ასევე, ეროვნულ ჩემპიონატთან მიმართებაში. და კიდევ, გუცაევმა, შესაძლოა, ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატურა ისევ წამოაყენოს...**

- მე და ჩემს მეგობრებს დიდი ხანია გვინდა ბავშვთა საფეხბურთო სკოლა გავაკეთოთ. გვინდა, ის გამორჩეული იყოს სხვათაგან. საამისოდ უკვე შერჩეული და აღებული გვაქვს ტერიტორია. უეფას დახმარებით ავაშენეთ მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის ოფისი. ასევე გავაკეთეთ მინი-მოედანი და მოვაწყეთ. ეს მხოლოდ დასაწყისია. ამას გარდა წელსვე ვგეგმავთ მინიმუმ სამი სტანდარტული ზომის და თანამედროვე ხელოვნურსაფარიანი მოედნის გაკეთებას. ჩვენი საფეხბურთო სკოლის უპირატესობა ისაა, რომ სწავლა უფასო იქნება. ჩვენი სკოლის ბავშვებს სპორტული ატრიბუტიკის მხრივაც დავეხმარებით.

**- ანუ მათ ფორმებს მისცემთ...**

- პარტნიორული ურთიერთობა გვაქვს უეფას პროექტ "ოფენ ფან ფუტბოლთან". ამ პროექტის უკან დანიისა, შვედეთის, ნორვეგიისა და ფინეთის მთავრობები დგანან. საწყის ეტაპზე სამწლიანი ურთიერთობა გვექნება და ბავშვებს ეკიპირებას გადავცემთ. რისი შეძენაც დასჭირდებათ ბავშვებს, ყველაფერში დავეხმარებით.

**- როგორც გავიგეთ, სკოლაში ცნობილი პერსონებიც იმუშავებენ...**

- საწყის ეტაპზე ბავშვთა გუნდებს ოთარ გაბელია და შოთა ხინჩაგაშვილი უხელმძღვანელებენ. მერე კი, როცა ჩვენი სკოლა გაფართოვდება, სხვა ცნობილ ფიგურებსაც მოვიწვევთ.

ბავშვებთან ერთად მწვრთნელთა კვალიფიკაციაზეც ვიზრუნებთ. სამომავლოდ გვინდა ჩვენი მწვრთნელები სტაჟირებაზე რუსეთისა და უკრაინის ცნობილ კლუბებში, მოსკოვის "ლოკომოტივში", ცსკა-ში, კიევის "დინამოში" და სხვა კლუბებში მივავლინოთ. ამასთან, თანამედროვე ფეხბურთს ფეხი რომ ავუწყოთ, ბავშვთა ფეხბურთის სპეციფიკაზე ვიდეომასალაც გვექნება და ვიდეოთეკასაც გავაკეთებთ.

**- საფეხბურთოსთან ერთად ჩვეულებრივი სკოლაც ხომ არ იფუნქციონირებს სადაც ბავშვები სასკოლო საგნებსაც ისწავლიან?**

- მომავალში ამაზეც ვიზრუნებთ. ვნახოთ, როგორ წარიმართება სკოლის ფუნქციონირება. თუკი 300-400 ბავშვი გვეყოლება და მათ შორის 15-20 არაადგილობრივი ნიჭიერი იქნება, მაშინ საფეხბურთო სკოლა-ინტერნატის მსგავს სახესაც მივცემთ. იქ ბავშვები ფეხბურთთან ერთად სხვა საგნებსაც ისწავლიან, კვება ექნებათ და იქვე იცხოვრებენ კიდეც.

**- საფეხბურთო გუნდის გაკეთებასაც ხომ არ აპირებთ?**

- ასეთი ჩანაფიქრი ნამდვილად გვაქვს. გვინდა, მცხეთაში გუნდი ჩამოვაყალიბოთ. საწყის ეტაპზე რეგიონულ ლიგაში ვიასპარეზებთ, მერე კი ზედა ლიგებში აღზევებაზეც ვიზრუნებთ. საერთოდ, გვინდა, მცხეთა-მთიანეთის რეგიონში ფეხბურთი ავაღორძინოთ.

**- ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი ხართ, ნაკრებსა და საერთოდ, ამჟამინდელ ქართულ ფეხბურთზე რისი თქმა შეგიძლიათ?**

- ყველაფერი შედეგით იზომება, რაც, სამწუხაროდ, ჩვენს ნაკრებს დღეისათვის სახარბიელო ნამდვილად არ აქვს. ამ კითხვას ხშირად მისვამენ და ჩემი შეფასება ამ ეტაპზე დადებითი ნამდვილად ვერ იქნება. ამის გამო ზოგი შეიძლება ფიქრობდეს, რომ ჩასაფრებულის პოზიციიდან ვსაუბრობ. ასე ნამდვილად არაა...

კლაუს ტოპმიოლერს საკმაო გასამრჯელო აქვს. ისეთი, როგორც ევროპაში ცნობილ სპეციალისტებს. ეს კარგია და ღმერთმა მოახმაროს. თუმცა, ისიც ფაქტია, რომ მისგან ბევრს მოვითხოვთ. კარგია ურუგვაისთან მოგება, მაგრამ ჩვენ ყველას გვინდა ტოპმიოლერმა იმ დონის გუნდი შექმნას, რომელიც არა მარტო შოტლანდიასა და უკრაინას მოუგებს, არამედ იტალიის და საფრანგეთის დონის ნაკრებებსაც კი გაუმკლავდება. ამას გარდა, უპრიანი იქნებოდა, რომ სამწვრთნელო შტაბში ქართველი მწვრთნელებიც ყოფილიყვნენ დასაქმებულნი. ტოპმიოლერს კონტრაქტი დაუმთავრდდება და წავა, მის გვერდით ქართველი მწვრთნელები ხომ უნდა გავზარდოთ?

**- წლეულს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებია. ისევ ხომ არ აპირებთ მონაწილეობას?**

- დასამალი არაფერი მაქვს და პირდაპირ გეტყვით. თუკი სამართლიანი არჩევნები იქნება, კანდიდატურის წამოყენებაზე შეიძლება ვიფიქრო კიდეც.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობა იოლი საქმე არაა. პირიქით, რა დღეშიცაა ქართული ფეხბურთი, აქედან გამომდინარე, ფედერაციის პრეზიდენტობა ძალზე მძიმე ტვირთი და პასუხისმგებლობაა.

ასე რომ, თუკი ისეთივე ვითარება იქნება, როგორიც ფედერაციის წინა არჩევნებისას იყო, მაშინ საერთოდ არ გავეკარები. მე ჩემი საქმე მაქვს, საფეხბურთო სკოლა მექნება და არჩევნებში თუ არ მივიღებ მონაწილეობას, ჩემს საქმეს მივხედავ.

**დავით ცაბაძე**

**ვლადიმერ გუცაევის** სახელობის საფეხბურთო სკოლა 24 იანვრიდან 1 თებერვლამდე აცხადებს 1996-97-98 წლებში დაბადებულ ბავშვთა მიღებას ფეხბურთის სექციაში. საფეხბუთო ჯგუფებში სპორტული მუშაობა უფასოა. მსურველებმა თან უნდა იქონიონ დაბადების მოწმობის ასლი (არქივიდან).

სასწავლო-საწვრთნელ მეცადინეობებს სპორტის დამსახურებული ოსტატები **ოთარ გაბელია** და **შოთა ხინჩაგაშვილი** უხელმძღვანელებენ.

**მისამართი: ქ. მცხეთა, დავით აღმაშენებლის ქუჩა №73 ბ**

("არმაზის" (ცენტრალური) სტადიონის მიმდებარე ტერიტორია)

**მსურველთა მიღება იწარმოებს 12:00-საათიდან 15 საათამდე**

**ტელეფონი - 8 99 43 42 40 (ვიტალი გრძელიშვილი)**

ლეგიონერები

# მწვრთნელები დამკვირვებლები

მეორე ბუნდესლიგის მორიგი ტურის მატჩებს ქართველ ლეგიონერებზე დასაკვირვებლად ეროვნული ნაკრების მწვრთნელები **კლაუს ტოპმიოლერი** და **რალფ მინგე** დაესწრნენ. ტოპმიოლერი "მიუნხენ 1860-ის" და „აუეს" თამაშებს დაესწრო და, როგორც შევიტყვეთ, ჩვენებურთა გამოსვლით კმაყოფილი დარჩა. სხვათა შორის, "ფიურტთან" მატჩში **მათე ღვინიანიძე** დაშავდა. თუმცა ქართველი მცველის ტრავმა სერიოზული არაა.

*"მათე ღვინიანიძე კი დაშავდა, მაგრამ პირველადი შემოწმების საფუძველზე მისი ტრავმა სერიოზული არაა. ის ფიზიოთერაპიის კურსს გაივლის და ვფიქრობ, ერთ კვირაში მწყობრში იქნება"*, - "მიუნხენ 1860-ის" ექიმ **ერიხ რემბეკის** ეს სიტყვები გერმანულმა წყაროებმა გაავრცელეს.

გუშინწინ, 22 იანვარს **რალფ მინგე** როსტოკში იმყოფებოდა და "ჰანზა"-"ფრაიბურგის" მატჩს დაესწრო. როგორც ამბობენ მინგე **ალექსანდრე იაშვილისა** და **ოთარ ხიზანეიშვილის** თამაშით კმაყოფილი დარჩა და ფეხბურთელებს გარჯა შეუქო.

**დავით ცაბაძე**




ოთარ ხიზანეიშვილი ჰანზა-ფრაიბურგის მატჩში

ყაზბეგი
www.kazbegi.com

გახსენი...
ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა





სიმურგი-დილა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# მეზობლების სპარინგი

თბილისში ქართული კლუბების მსგავსად აზერბაიჯანული გუნდებიც გადიან შეკრებას, რომლებმაც გუშინ სპარინგ-მატჩები გამართეს მასპინძლებთან - "ლოკომოტივის" ბაზაზე ჯერ "ზესტაფონი" ეთამაშა "შახდაგს", შემდეგ კი გორის "დილა" აზერბაიჯანის ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებიუტანტ "სიმურგს".

მოგეხსენებათ, გორის "დილას" ახალი პრეზიდენტი ჰყავს და გუნდის გაძლიერება სურს. პირველ ნახევარში ითამაშეს **კეჩხუაშვილმა, ბ. ჩიტაიამ, კობახიძემ, ლომაშვილმა, დ. ხანიშვილმა, აბრამიშვილმა, ტლაშაძემ, კ. ხანიშვილმა, კურტანიძემ, ტორონჯაძემ, გ. ჩიტაიამ**. მეორე ტაიმში გუნდის ახალმა მწვრთნელმა **მამუკა ვარდოსანიძემ** ბევრი ცვლილება განახორციელა და თამაშის საშუალება მისცა **ბადიაშვილს, ვარდოსანიძეს, სადალიშვილს, სამადაშვილს, ლომიძეს, ი. თაყაძეს, ბარამიძეს, პავლიაშვილს, სავანელს** და **სოლოღაშვილს**.

მიუხედავად შემადგენლობაში წარსულში რამდენიმე ცნობილი ფეხბურთელის გამოჩენისა, გორელებმა მეზობლებთან ვერაფერი გააწყვეს.

"დილას" რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შეექმნა, მაგრამ ვერ გამოიყენა. გორელები აშკარად ჩამორჩებოდნენ მეტოქეს კლასით, რაც გამოუყენებელ მომენტებზეც აისახა. მათგან განსხვავებით, აზერბაიჯანელები შექმნილ მომენტებს ხელიდან არ უშვებდნენ. ისიც ალსანიშნავია, რომ მასპინძლებმა ორი გოლი, მატჩის ბოლო ხუთ წუთში, ცვლილებების განხორციელების შემდეგ გაუშვეს, პირველი ბურთი კი მეკარისა და მცველის შეუთანხმებელი თამაშის გამო გავიდა. გორელებს პრესტიჟის გოლის გატანა შეეძლოთ, მაგრამ კობა ხანიშვილმა პენალტი ვერ გამოიყენა. სტუმრები სწრაფი კონტრშეტევის განხორციელებაშიც ჯაბნიდნენ მეტოქეს.

მატჩის შემდეგ "სიმურგის" უკრაინელი ლეგიონერი ვლადიმირ მაზერი ძალზე უკმაყოფილო იყო მსაჯობითა და მოწინააღმდეგე გუნდის თამაშით: "ეს მსაჯები სად მსაჯობენ? აშკარად არაობიექტურები არიან! ან ეს რა გუნდია, საერთოდ რომელ ადგილზეა? ეტყობა, რომ სუსტი გუნდია, ძლიერი გუნდი ასე არ ითამაშებდა, ძალიან უხეშობდნენ!"

მამუკა ვარდოსანიძე კი გულდაწყვეტილი იყო იმით, რომ გუნდმა ბოლო ხუთ წუთში გაუშვა ორი გოლი: *"მატჩის მიწურულს მინდორზე ახალგაზრდა ფეხბურთელები შევიყვანე და კიდევ ორი გოლი გავუშვით. მომენტები ბევრი გვქონდა და უნდა გამოგვეყენებინა, პენალტიც ვერ გამოვიყენეთ. ეს ამხანაგური მატჩი იყო და ყველას მივეცი თამაშის საშუალება."*

ამ მატჩისგან განსხვავებით "ზესტაფონისა და "შახდაგის" შეხვედრა უფრო დაძაბული და სანახაობრივი აღმოჩნდა. მეორე ტაიმში აზერბაიჯანელები 10 კაცით დარჩნენ. "შახდაგის" შავკანიანმა ლეგიონერმა ონიანი უკნიდან უხეშად მოცელა, რასაც შელაპარაკება და ჩოჩქოლი მოჰყვა. საბოლოოდ სტუმარმა წითელი ბარათი მიიღო და მოედნის დატოვება მოუწია.

"ზესტაფონი" აზერბაიჯანელებს ამ შემადგენლობით დაუპირისპირდა: **ჯალაღონია, საჯაია, თურმანიძე, ჩხეტიანი, ონიანი, თოდუა, პარამონოვი, ჭელიძე, გორგიაშვილი, ვიეირა** და **იონანიძე**.

მატჩი 1:1 დასრულდა, ორივე ბურთი პირველ ტაიმში გავიდა. აზერბაიჯანელთა გატანილი გოლი საჯაიამ გაქვითა.

მიუხედავად იმისა, რომ აზერბაიჯანელები ათი კაცით დარჩნენ მოედანზე, მეორე ტაიმში თამაში შედარებით გამოასწორეს, თუმცა თავდამსხმელებამდე ბურთი არ მიდიოდა. მასპინძელთაგან ჭელიძე გამოირჩეოდა, მას ჰქონდა რამდენიმე მომენტი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში სტუმარი მეკარე ირჯებოდა კარგად, ხან ზესტაფონელი ფეხბურთელები ცოდავდნენ. ზესტაფონელთაგან ვიეირასა და ჩხეტიანის ტანდემი ბევრ სახიფათო მომენტს ქმნიდა შეტევის მარცხენა ფრთაზედა თანაგუნდელებსაც უხვად ამარაგებდნენ ბურთით. რაც შეეხება გუშინ ჩამოსულ ბრაზილიელებს, გუშინ არ უთამაშიათ. **ლეანდრო ტემპორინის** და **ჟონატას ოლივეირა ტორესს, თემურ მახარაძე** ანთალიურ შეკრებაზე დააკვირდება, რომელიც ორ დღეში იწყება და მათ დატოვებაარდატოვებას ამის მერე გადაწყვეტს.

"სიმურგი" და "დილა" მორიგ ამხანაგურ მატჩებს "ოლიმპთან" გამართავენ. რუსთაველებს ჯერ "სიმურგი" შეხვდება 26 იანვარს, მერე კი, 28 იანვარს - "დილა".

**ავთო ცეცხლაძე**

# ვიტ ჯორჯიამ დაიწყო

ისევე როგორც ყველგან, საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრისთვის მოსამზადებელი ეტაპის დასაწყისში აქცენტი "ვიტ ჯორჯიაშიც" ფიზიკურ მომზადებაზე გაკეთდა. რამდენიმედღიანი სერიოზული დატვირთვების შემდეგ, **ნესტორ მუმლაძემ** შეგირდები უკვე საკონტროლო მატჩებში გამოსცადა. ფეხბურთელთა გადაღლის თავიდან ასაცილებლად, ვეტერინართა მთავარმა მწვრთნელმა მეტოქეებად შედარებით სუსტი გუნდები შეარჩია.

19 იანვარს "ვიტ ჯორჯია" სოხუმის "ცხუმს" შეხვდა, მეორე დღეს კი "ნორჩ დინამოელს". ორივე შეხვედრა მუმლაძის ბიჭების თვალშისაცემი უპირატესობით წარიმართა. "ჯორჯიამ" "ცხუმს" 3:1, ხოლო "ნორჩ დინამოელს" 3:2 მოუგო.

აქვე იმ შემადგენლობებს გაგაცნობთ, რომლითაც გუნდმა ეს თამაშები ჩაატარა.

"ვიტ ჯორჯია" "ცხუმთან": **ბედიაშვილი (46. ღურბელეიშვილი), ჯაფარიძე, კობიაშვილი, ადამაძე (46. კაიშაური), გველესიანი, იმერლიშვილი, ინჯგია, გ. დათუნაიშვილი (46. უშარაული), სახოკია, ბერიაშვილი, მელქაძე (46. კლიმიაშვილი).**

გოლები: **ბერიაშვილი, გ. დათუნაიშვილი, კაიშაური.**

"ვიტ ჯორჯია" "ნორჩ დინამოელთან": **მიქაბერიძე, პ. დათუნაიშვილი, ა. კვახაძე, ლომაია, ქობალია (46. კაიშაური), ბიძინაშვილი, კვალინიძე, რაზმაძე, ლუჭაშვილი, გელაშვილი (46. ლიპარტია), კიკნაძე (46. ბეჭვაია)**

გოლები: **ლუჭაშვილი, რაზმაძე, კიკნაძე.**

როგორც ხედავთ, მუმლაძემ პირველი მატჩის შემდეგ, შემადგენლობა გვარიანად გადაახალისა, რაც მოსამზადებელი პერიოდისთვის ჩვეული მოვლენაა. "ვიტ ჯორჯიას" თავკაცი რამდენიმე პოტენციურ ახალწვეულსაც აკვირდება, რომელთა თაობაზეც გადაწყვეტილებას უახლოეს დღეებში მიიღებს.

მომდევნო ამხანაგურს "ვიტ ჯორჯია" 26 იანვარს საქართველოს სამოყვარულო ნაკრებთან ჩაატარებს (მწვრთნელი ელგუჯა გუგუშვილი). 27-ში კი მისი მეტოქე "ნორჩი დინამოელის" მეორე გუნდი იქნება. ორივე მატჩი ავჭალაში, "სინათლის" სტადიონზე გაიმართება.

ორ კვირაში ვეტერინარები ანთალიაში გაემგზავრებიან. არაა გამორიცხული, რამდენიმე ფეხბურთელზე დაკვირვება მუმლაძემ თურქეთშიც განაგრძოს. *"გუნდის ბირთვი ანთალიაში გამოიკვეთება. გასინჯვაზე მყოფ რამდენიმე ფეხბურთელს ალბათ დავიტოვებთ, საერთოდ კი, პირველ წრესთან შედარებით, შემადგენლობა კარდინალურად არ შეიცვლება. მზადება გეგმის მიხედვით მიმდინარეობს, ჩვენი მიზანი უცვლელია - მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი საფეხურებისთვის ვიბრძოლებთ. აქვე შემთხვევით ვისარგებლებ და 35-ე საფეხბურთო სკოლის დირექტორ არჩილ არველაძეს სავარჯიშო მოედნის დათმობისთვის მადლობას გადავუხდი"*, - თქვა "ვიტ ჯორჯიას" თავკაცმა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნესტორ მუმლაძე

# პერტია დინაბურგის მენეჯერია

ქართველი თავდამსხმელი **თამაზ პერტია** დაუგავპილსის "დინაბურგში" დაბრუნდა და ერთბაშად ორი როლი დაეკისრა. პირველი, ისედაც ცხადია - მან "დინაბურგის" შეტევის ხაზი უნდა გააძლიეროს და რაც ჩვენს შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია და რაც სიახლეა - პერტია გუნდის მენეჯერის ფუნქციასაც შეითავსებს.

ინფორმაცია ლატვიურ სააგენტო "დელფს" "დინაბურგის" მწვრთნელმა, **სერგეი პოპკოვმა** მიაწოდა.

*"პერტია გუნდის ერთ-ერთი ხელმძღვანელის პოსტს დაიკავებს. თუმცა, ჯერ მიჭირს დაკონკრეტება, ზუსტად რა თანამდებობაზე იმუშავებს. ალბათ, უფრო მენეჯერი გახდება. ჩვენ შაბათს შევხვდებით და საკითხს დეტალურად განვიხილავთ."*

თამაზ პერტია ლატვიის უმაღლეს ლიგაში მეორე ქართველი მენეჯერია. რიგის "სკონტოს" გენერალური მენეჯერი **მიხეილ ძოძუაშვილია**.

რადგან ლატვიურ თემას შევეხეთ, გვერდს ვერ ავუქცევთ რიგის "სკონტოს" ქართველებს. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **პოლ ეშოურტმა** თურქეთში შეკრებაზე სამი ჩვენებური იახლა. **დათო გამეზარდაშვილი, ზაალ ელიავა** და **რეზო გეწაძე**.

ზაალ ელიავამ ტრავმა, როგორც იქნა, მოიშუშა და "სკონტოს" ძირითად გუნდს შეუერთდა. დათო გამეზარდაშვილი რიგელებთან გაივლის მოსამზადებელ ეტაპს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება, "სკონტოში" დარჩება თუ ისევ საქართველოში გაანათხოვრებენ. ასეთ შემთხვევაში, იგი რუსთავის "ოლიმპს" დაეხმარება.

რაც შეეხება რეზო გეწაძეს, მან მწვრთნელს ვარჯიშებზე თავი ძალიან მოაწონა. ბოლოს საკონტროლო ორმხრივ მატჩში ორი საგოლე გადაცემა შეასრულა და მისი დარჩენა ფაქტობრივად გადაწყვეტილია. კონტრაქტი "სკონტოს" ლატვიაში დაბრუნების შემდეგ უნდა გაფორმდეს.

"სკონტო" თურქულ შეკრებაზე ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს: დონეცკის "მეტალურგთან" (24 იანვარს), ბელგრადთან (27 იანვარს), "როსტოვთან" (30) და "შინიკთან" (31).

**მერაბ მამულაშვილი**

# ამერის ბაზა შენდება

ერთ-ერთ ინტერვიუში "ამერის" პრეზიდენტი **ზურაბ ფოცხვერია** ბერლინის "ჰერტასთან" უეფას თასზე წაგების შემდგომ ამბებს იხსენებდა:

"თბილისური მატჩის შემდეგ ბევრი ღირსეულ თამაშს მილოცავდა. ამ ადამიანებს გულწრფელად უხაროდათ, "ჰერტასთან" უიმედოდ რომ არ წავაგეთ. თუმცა, ჩემთვის ღირსეული წაგება არ არსებობს. მუდამ გამარჯვებებს ვითხოვ და ამდენად, არც "ჰერტასთან" წაგება იყო მოსალოცი".

ეს სიტყვები "ამერის" პრეზიდენტის ამბიციებზე წარმოდგენას გვიქმნის. წესითა და რიგით, მალე საგურამოში ამ ამბიციების შესაფერისი ბაზა უნდა აშენდეს. არა "ერთნახევარი" მოედნითა და ორი-მინი სტადიონით. იქ საფუძველი ეყრება თანამედროვე საფეხბურთო ბაზას, სადაც ნებისმიერი გუნდი სიამოვნებით ივარჯიშებს.

"ამერს" საგურამოში ერთი ბალახისსაფარიანი მოედანი უკვე ემსახურება, რომელსაც პატარა ტრიბუნა მიედგმება. დასრულებულია შენობის ჩონჩხის მშენებლობა. მშენებლებს სტანდარტული არქიტექტურული გადაწყვეტილება არ მიუღიათ - შენობა არწივის ფორმისაა.

ამას გარდა, გეგმაშია საცურაო აუზისა და ფიტნეს-დარბაზის აშენება. უკვე არსებულს, კიდევ სამი სტანდარტული მოედანი დაემატება, აქედან ერთი ხელოვნურსაფარიანი, აგრეთვე ჩოგბურთის კორტები.

"ამერს" ჯერ კიდევ გადასაწყვეტი აქვს საკუთარი სტადიონის პრობლემა. სტადიონის აშენება გადაწყვეტილია მაბავია, ადგილიც შერჩეულია – გლდანი.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი... ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com

www.pfl.ge

ინტერვიუ კახა კვეტენაძესთან

# თავს არ შევირცხვენ



კახა კვეტენაძე (მარჯვნივ) ისევ ტორპედოში ითამაშებს

**შარშან „ტორპედოში" მიღებული მძიმე ტრავმის გამო 35 წლის ვეტერანი კახა კვეტენაძე თამაშისთვის თავის დანებებას აპირებდა, მაგრამ საბოლოოდ ფეხბურთს ვერ შეელია და გამოჯანმრთელების შემდეგ პირველი ლიგის ტყიბულის „მეშახტეში" გააგრძელა კარიერა. ცოტა ხნის წინ გიორგი კიკნაძემ იგი ისევ ქუთაისურ გუნდში დააბრუნა. მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება ბევრისათვის მოულოდნელი გამოდგა, მათ შორის, თავად კვეტენაძისთვისაც, თუმცა ვეტერანი ფეხბურთელი იმედოვნებს, რომ საკუთარი თამაშით „ტორპედოს" ძველებურად გაუწევს სამსახურს.**

- ჩემი კარიერის დიდი ნაწილი აქ გავატარე. „ტორპედოსთან" ერთად არაერთი სიხარული განმიცდია, განსაკუთრებით 2000-2001 წლების სეზონი უნდა გამოვარჩიო, როცა ჩემპიონები გავხდით და „დინამოს" ჰეგემონია დავამხეთ. შემდეგ ფოთის „კოლხეთშიც" ვითამაშე და ერთი წელი ყაზახეთშიც გახლდით, მაგრამ ამათ შუალედებში „ტორპედოში" ორჯერ დავბრუნდი.

**- ბოლოს „ტორპედოში" რევაზ ბურკაძის დროს თამაშობდით, ამის შემდეგ როგორ განვითარდა თქვენი კარიერა?**

- მენისკის ოპერაცია გავიკეთე, ასაკიც მქონდა და ფეხბურთისთვის თავის დანებებას ვაპირებდი, მაგრამ როცა გამოვჯანმრთელდი ფეხბურთის თამაში ისე მენატრებოდა, გადაწყვეტილება შევცვალე.

**- თქვენი „ტორპედოში" მიწვევა ვისი ინიციატივა იყო?**

- მე და გიორგი კიკნაძე დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს. ადრე ნაკრების შემადგენლობაში ესტონეთის წინააღმდეგ ერთადაც გვითამაშია. ზაზა ზამთარაძეს ფოთის „კოლხეთიდან" ვიცნობ. უეფას თასზე მინსკის „დინამოს" რომ ხვდებოდნენ, ფოთელებს მე, ხვადაგიანი და ქებაძე დავემატეთ. იქედან გვქონდა ურთიერთობა, მაგრამ ტყიბულში როგორ მომაგნეს ნამდვილად ვერ გეტყვით. რამდენიმე შეხვედრა მართლაც კარგად ჩავატარე, მათ შორის „დინამო 2-თან" და ეტყობა იქედან გაიგეს, რომ ცუდ ფორმაში არ ვიყავი.

**- „ტორპედოსთან" კონტრაქტი უკვე გააფორმე?**

-ჯერ არა, მაგრამ ეს ფორმალური მხარეა და მალე გუნდთან ექვსთვიან ხელშეკრულებას მოვაწერ ხელს.

**- უმაღლესი ლიგისთვის თუ ხარ მზად?**

- ასაკი თავისას შვება, ადრე რომ ენერგია მქონდა, იმდენი აღარ მაქვს, მაგრამ თავს ნამდვილად არ შევირცხვენ. ტყიბულში ორივე ტაიმს შეუცვლელად მათამაშებდნენ, მაგრამ უმაღლეს ლიგაში უფრო მეტი დატვირთვა იქნება. თუ სათანადო დონეზე თამაში ვერ შევძელი, ფეხბურთს საერთოდ დავანებებ თავს, ხოლო თუ კარგად ავთამაშდები და „ტორპედოს" სარგებელს მოვუტან, ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდებას არ ვიჩქარებ.

**- დღევანდელ გუნდზე რისი თქმა შეგიძლია?**

- მართალია გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა, მაგრამ „ტორპედოში" ყოველთვის იყო ახალგაზრდა ფეხბურთელების რეზერვი. მათგან მწვრთნელებმა რამდენიმე აარჩიეს და ძირითად გუნდში აიყვანეს. საკმაოდ ნორმალური გუნდია და თავს არ დავზოგავთ, რომ ღირსეულად ვითამაშოთ.

**- ცოტა კურიოზულიც კი არის - 30 და 27 წლის მწვრთნელები გყავთ, თქვენ კი უკვე 35 წლის ხართ...**

- ამაზე თავადაც მეცინება ხოლმე, მაგრამ პროფესიონალი ვარ და ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა მწვრთნელი 20 წლის იქნება თუ 70-ის. ვიცი, რომ მწვრთნელი რასაც მეტყვის, დავალება უნდა შევასრულო. არაერთ მწვრთნელთან მიმუშავია და ყოველთვის ასე ვიქცეოდი. უკეთესიც არის, რომ ახალგაზრდა მწვრთნელები არიან, თანამედროვე ფეხბურთი ესმით და გუნდში ბევრი სიახლეც შემოიტანეს. ფეხბურთელები ყოველნაირად გვერდით დავუდგებით, რომ „ტორპედოსთან" ერთად კარგი კარიერა გაიკეთონ.

**- როგორ ფიქრობთ, რისი უნარი შესწევს ახლანდელ „ტორპედოს"?**

- თასის მეოთხედფინალში ვართ და თუ ბათუმის „დინამოს" დავამარცხებთ, ნახევარფინალშიც ვიქნებით. თასის გათამაშება სპეციფიკურია, ერთ თამაშს ყველა გუნდი თამაშობს და ვფიქრობ, რომ თასზე ჩვენც კარგი შანსი გვექნება. ჩემპიონატშიც არ ვართ ცუდ მდგომარეობაში. ვეცდებით მაქსიმუმი გავაკეთოთ, მაგრამ მოვლენები როგორ განვითარდება წინასწარ ვერავინ იტყვის.

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!
დარეკე, მოუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge





მიხეილ ბობოხიძე

ლეგიონერები

# ბობოხიძე ისევ ძირითადშია

ლუგანსკის "ზარია" უკრაინის ჩემპიონატის მეორე წრისთვის ყირიმში ემზადება. ლუგანსკელთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექსანდრ კოსევიჩმა** გასასინჯად მიწვეული ფეხბურთელების ობიექტურად შერჩევის მიზნით, რამდენიმე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. ბოლო მათგანი "ზარიამ" პირველლიგელ ჩერკასკის "დნეპრთან" გამართა და 1:3 დამარცხდა.

ძირითად შემადგენლობაში ითამაშა თბილისის "დინამოს" ყოფილმა თავდამსხმელმა **მიხეილ ბობოხიძემ**, რომელიც მე-60 წუთზე **გოროდოვმა** შეცვალა.

"ზარია" გუშინ კიევში შეიკრიბა, დღეს კი ანთალიაში გაემგზავრა მეორე ეტაპის მოსაწყობად.

**დათო მეფარიშვილი**

# იმედაშვილი ბოლოს წაიყვანეს

გუშინ კიევის "დინამო" მეორე შეკრებაზე გაემგზავრა, ამჯერად **დემიანენკოს** კლუბმა გეზი ისრაელისკენ აიღო. კლუბის თავკაცმა აღთქმულ მიწაზე 24 ფეხბურთელი იახლა.

თავდაპირველად დემიანენკოს მიერ დასახელებულ სიაში არ იყო ქართველი მცველი **დავით იმედაშვილი.** მას გაერთიანებულ საემიროებში ჩატარებულ პირველ შეკრებაზე მხოლოდ ერთხელ მისცეს თავის გამოჩენის საშუალება. ამის შემდეგ დათო ძალზედ უიმედოდ იყო და აღარ ჰქონდა „დინამოში" მოხვედრის იმედი. სიის გამოქვეყნების შემდეგ, ბუნებრიავია, მისი განწყობა არ შეიცვლებოდა.

თუმცა ბოლოს ვითარება შეიცვალა და დათო გუნდთან ერთად გაემგზავრა ისრაელში. კიეველები იქ "პირველი არხის თასზე" ითამაშებენ.

ტურნირის პირდაპირ რეპორტაჟს რუსეთის პირველი არხი გადასცემს და თუკი დემიანენკო ქართველ მცველს ამჯერად მაინც ენდობა, მისი თამაშის ხილვის საშუალება მოგვეცემა.

**ოთარ მარცვალაძე** უკრაინაში დარჩა.

**ნუკრი ნეფარიძე**

# საუკეთესო ნახევარმცველებში ქართველებიც მოხვდნენ

უკრაინულმა ინტერნეტ-სააგენტო "უა-ფუტბოლმა" გულშემატკივრებს 2006 წლის საუკეთესო ნახევარმცველის გამოავლენის საშუალება მისცა. ინიციატივა ინტერნეტის ოთხი ათასზე მეტმა მომხმარებელმა გამოიჩინა.

მათი აზრით, საუკეთესო უკრაინის ნაკრებისა და დონეცკის "შახტარის" ნახევარმცველი **ანატოლი ტიმოშჩუკია**, რომელმაც 532 ქულა დააგროვა და დნეპრელ **ოლეგ ნაზარენკოსა** (509) და კიევის დინამოელ **ოლეგ გუსევს** (467) დიდი უპირატესობით აჯობა.

ჩვენთვის საინტერესო უნდა იყოს, თუ როგორ შეაფასეს უკრაინელმა გულშემატკივრებმა ამ ქვეყანაში მოთამაშე ქართველები. **ჯაბა კანკავა** 66 ქულით მე-16 ადგილზე აღმოჩნდა, **ილია კანდელაკი** კი 21 ქულით 24-ე პოზიციაზეა.

**დათო მეფარიშვილი**

# ჯაკობია მეტალისტზე უარს ამბობს

უკრაინული საინფორმაციო სააგენტოების მტკიცებით, **ლაშა ჯაკობია** კიევის "არსენალიდან" ხარკოვის "მეტალისტს" დაუბრუნდა. ინფორმაცია ადრეც გავრცელდა, მაგრამ მაშინ ლაშამ საბოლოო პასუხი არ გვითხრა.

გუშინ კი ინფორმაცია გადაწყვეტილად გაასაღეს, საკითხი საბოლოოდ გაიირკვა და ყველა კითხვა მოხსნილიაო.

თუმცა, ლაშა კაჯობიამ ვითარებაში უკეთ გაგვარკვია და აღმოჩნდა, რომ ხარკოვის "მეტალისტში" არა თუ ბრუნდება, არამედ, წამოსვლა გადაუწყვეტია.

"ხარკოველებთან კონტრაქტი მაკავშირებს და წესით, მართლაც უნდა დავბრუნდე. თუმცა გუნდთან სეზონის ბოლოს ხელშეკრულება მეწურება. რამდენიმე დღის წინ დამიკავშირდნენ და ახალი კონტრაქტი შემომთავაზეს. მის გაგრძელებაზე უარი ვუთხარი. ყველაფერი უკრაინაში ჩემი დაბრუნების შემდეგ გაირკვევა. ჯერ ტრავმას ვიშუშებ და მხოლოდ თებერვალში შევძლებ ვარჯიშის განახლებას. ამ დროისთვის კლუბთან დალაპარაკება დამჭირდება. ხომ იცით, როგორც ხდება - როდესაც ფეხბურთელი კონტრაქტზე უარს ამბობს, მწვრთნელი აღარ ათამაშებს. დარწმუნებული ვარ, დარჩენის შემთხვევაში, მეც ასე მომექცევიან. ამიტომაც მინდა, ახალი გუნდი მოვნახო", - გვითხრა ლაშამ.

უკრაინულმა "კომსომოლსკაია პრავდამ" უკრაინის უმაღლესი ლიგის თექვსმეტივე გუნდის გულშემატკივართა საყვარელი ფეხბურთელების გარკვევას შეეცადა. აღმოჩნდა, რომ ხარკოვიდან წასვლის მიუხედავად, დღემდე "მეტალისტის" ფანები ლაშა ჯაკობიას მისტირიან.

ასეთ პატივში კიდევ ერთი ქართველია, დონეცკის "მეტალურგის" გულშემატკივრებს ყველაზე მეტად **გიორგი დემეტრაძე** უყვართ.

**მერაბ მამულაშვილი**

პრემიერლიგა ექსპერტის თვალით

# მოურინიო გარდაუვალი მარცხისკენ მიდის

## ცხრილის ბოლოში ზუსტად ისეთი ვითარებაა, როგორიც თავში...





ნირწამხდარი ჟოზე მოურინიო ლივერპულთან მატჩისას

ჩემი აზრით, "არსენალი"-"მანჩესტერის" შეხვედრაში ფრე სამართლიანი შედეგი იქნებოდა. "იუნაიტედმა" მაღალ დონეზე ითამაშა და დაცვაშიც შესანიშნავი შთაბეჭდილება დატოვა, მაგრამ იმ საღამოს "არსენალი" სხვა იყო.

ვიცით, რომ "მეთოფეები" სანახაობრივ ფეხბურთს თამაშობენ, მაგრამ კვირას სანახაობას ხასიათის გასაოცარი სიმტკიცეც შეუხამეს, ძალები მოიკრიბეს და თამაშის მიწურულს ორი გოლი შეაგდეს. 2:1 მარტო "არსენალისთვის" არ ყოფილა საუცხოო შედეგი. ამ გამარჯვებამ პრემიერლიგას სიცოცხლე შეუნარჩუნა. "მანჩესტერს" რომ მოეგო, ყველაფერი დამთავრდებოდა.

ისეთი უცნაური ამბები მოხდა, რომ ველარაფერს გამორიცხავ, მაგრამ მაინც მგონია, რომ ჩემპიონობისთვის მხოლოდ ორი კლუბი - "იუნაიტედი" და "ჩელსი" იბრძოლებს. "ლივერპული" და "არსენალი" საჩემპიონო მარათონს რომ დაუბრუნდნენ, ყველა მატჩი უნდა მოიგონ, ხოლო "მანჩესტერმა" კიდევ ოთხჯერ უნდა წააგოს. კვირას "იუნაიტედმა" ისეთ დონეზე ითამაშა, რომ უცნაური იქნება, ასე მოხდეს. თუ "მენიუ" დღევანდელ ტემპში გააგრძელებს, მის ჩემპიონობას წინ არაფერი დაუდგება.

ჩემი აზრით, "ლივერპული" ფანტასტიკური იყო, ხოლო "ჩელსიმ" სავალალო შთაბეჭდილება დატოვა. ლონდონელებს აკლიათ ცენტრალური მცველები, მაგრამ მათ ადგილზე ხომ გამოცდილი ფეხბურთელები თამაშობენ? სხვა გუნდებსაც გამოუყვანიათ შეკოწიწებული დაცვის ხაზი, მაგრამ "ჩელსის" პრობლემა მარტო დაცვის სისუსტე არ უნდა იყოს. გუნდს მონდომების ნატამალიც არ ეტყობა.

ჩანს, **ჟოზე მოურინიოსა** და **რომან აბრამოვიჩს** სერიოზული უთანხმოება აქვთ. როცა უთანხმოება გასახდელში ილექება და მინდვრამდეც აღწევს, იწყება თავის ტკივილი. პრობლემა ერთ დღეში არ წარმოქმნილა, მაგრამ შაბათს მან განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მოურინიო გარდაუვალი მარცხისკენ მიდის, ის კი მარცხს ჩვეული არ არის. "მანჩესტერ იუნაიტედმაც" წააგო, მაგრამ ჟოზეს და **სერ ალექს ფერგიუსონის** გამომეტყველება ისეთივე განსხვავებული იყო, როგორც ღამე და დღე. თუ "ჩელსის" ჩემპიონობაზე ხელი არ ჩაუქნევია, უთანხმოებები უმოკლეს დროში უნდა მოაგვაროს...

გასავარდნ ზონას თუ შევხედავთ, დავრწმუნდებით, რომ პორტსმუთში გამარჯვება (1:0) "ჩარლტონისთვის" დიდი შედეგი იყო. ჩემი აზრით, "ვესტ ჰემს" არ გაუმართლა, ნიუკასლში ფრედ რომ ითამაშა, ხოლო "ვიგანი" თავისუფლად ვარდნას განაგრძობს.

ბოლო ადგილებზე მყოფი გუნდები მნიშვნელოვან ქულებს აგროვებენ. ისინი, ვინც მეტნაკლებად უსაფრთხო ზონაში იმყოფება, წაგებებს თავს ვერ აღწევენ. ასე რომ, საკმაოდ გაურკვეველი მდგომარეობაა.

"ჩარლტონი" დიდი ხნის განმავლობაში მკვდარი და დასამარებული იყო, მაგრამ **ალან პარდიუმ** მათ იმედი, ძალა და შემართება დაუბრუნა. ჩარლტონელებს რთული მატჩები ელით, მაგრამ პარდიუს სიტყვებით რომ ვთქვათ, თამაშების უმეტეს ნაწილს შინ მართავენ და მათი უმრავლესობის მოგება თავისუფლად შეიძლება.

"ვესტ ჰემის" პრობლემა ისაა, რომ ფრეები საკმარისი არ არის. მან თამაშების მოგება უნდა დაიწყოს. ლონდონელებს სამი ქულა შაბათსაც უნდა აეღოთ, მაგრამ მსაჯის მცდარ გადაწყვეტილებას ველარაფერს მოუხერხებენ: **სკოტ პარკერი** თამაშგარეში იმყოფებოდა, როცა "ნიუკასლის" პირველი გოლი შეაგდო (3:3).

პრემიერლიგის ცხრილის ბოლოში ზუსტად ისეთივე ამბებია, როგორიც თავში. მკითხველი უკმაყოფილო არ უნდა იყოს. მას ხომ სულაც არ უნდა, ყველა კითხვას თებერვლის პირველ კვირაში გაეცეს პასუხი. წინ კიდევ ბევრი გადაადგილება და ცვლილება გველის.

**ალან ჰანსენი**
ბიბისი

პრემიერლიგის სტატისტიკა

# როცა არსენალი იმარჯვებს და მანჩესტერი მარცხდება

## თამაშის ბოლო წუთები: მეთოფეებისთვის იღბლიანი და ეშმაკებისთვის უიღბლო...

პრემიერლიგაში პირველ ადგილს მეოთხისგან 12 ქულა ჰყოფს. ჩემპიონატის დასრულებამდე 14 ტურია დარჩენილი. გუნდებმა კიდევ 42 ქულისთვის უნდა იბრძოლონ. "მანჩესტერ იუნაიტედთან" "არსენალის" გამარჯვებამ ტურნირს სიცოცხლე გაუხანგრძლივა. თუ "ეშმაკები" "ჩელსისთან" გასვლით მატჩსაც წააგებენ, მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბება.

გასულ უქმეებზე "იუნაიტედმაც" და "ჩელსიმაც" ექვსმატჩიანი წაუგებელი სერიები შეწყვიტეს - მანჩესტერელებს ხუთი მოგება და ერთი ფრე ჰქონდათ, ლონდონელებს - ორი მოგება და ოთხი ფრე (მათ შორის მეოთხე დივიზიონის აუტსაიდერ "მაკლსფილდთან" ასოციაციის თასზე). "ლივერპულსა" და "არსენალს" მეორე ადგილის დაკავების შანსი გაუჩნდათ. მათ კრიზისში მყოფი "ჩელსისგან" სულ რაღაც ხუთი-ექვსი ქულა აშორებთ.

"მირორმა" საინტერესო სტატისტიკა შემოგვაშველა. ირკვევა, რომ "არსენალი" საშინაო მატჩებში ხშირად ბოლო წუთებზე იმარჯვებს. ბოლო 17 თვის (2005-06 წლების სეზონის დასაწყისიდან დღემდე) განმავლობაში, შინ, მე-80-დან 90-ე წუთამდე "მეთოფეებმა" 20 გოლი შეაგდეს (აქედან "ემირეტსზე" 10) და ერთიც არ გაუშვიათ (შედარებისთვის, "ლივერპულმა" მხოლოდ 9 შეაგდო). ეს ამავე პერიოდში "არსენალის" მიერ გატანილი გატანილი გოლების საერთო რაოდენობის თითქმის მეოთხედია. 20-დან 12 გოლი **რობინ ვან პერსისა** და **ტიერი ანრიზე** (6-6 თითოს) მოდის. ესეც კიდევ ერთი არგუმენტი იმისთვის, თუ რატომ მაინც და მაინც ვან პერსისა და ანრის უნდა დაემწუხრებინათ "მანჩესტერი".

იმ დროს, როცა "არსენალი" ბოლო წუთებზე მოპოვებული წარმატებებით ტკბება, "იუნაიტედი" პირიქით, სწორედ ბოლო წუთებზე ანიავებს უპირატესობებს. საკვირაო მატჩის შემდეგ **არსენ ვენგერმა** თქვა, "მენიუ" უმაღლეს დონეზე მხოლოდ 70 წუთს ატარებსო. ამ განცხადების გამო, **სერ ალექსი** კოლეგას აუცილებლად დაუპირისპირდება, მაგრამ სტატისტიკა "მეთოფეების" თავკაცის მოსაზრებას ამყარებს. "მანჩესტერმა" ამ სეზონში ყველა ტურნირზე ექვსი თამაში წააგო, აქედან ხუთი - ბოლო წუთებზე გაშვებული გოლებით. უფრო მეტიც, ამ სეზონში "იუნაიტედის" კარში გატანილი გოლების 46 პროცენტი ბოლო 20 წუთზე მოდის. ნუთუ "ეშმაკებს" გამძლეობა არ ჰყოფნით და ფიზიკური მომზადება აკლიათ?

პასუხი "მანჩესტერის" ფეხბურთელების ასაკში უნდა ვეძებოთ. კვირას ფერგიმ ძირითადში 30-ს გადაცილებული ხუთი ფეხბურთელი დააყენა (**რაიან გიგზი, ჰენრიკ ლარსონი, პოლ სქოულზი, ედვინ ვან დერ სარი** და **გარი ნევილი**) და ეს მისი საუკეთესო შემადგენლობა იყო. იმ საღამოს "იუნაიტედის" ვარსკვლავთა საშუალო ასაკი 28.3 წელს შეადგენდა. შედარებისთვის, "არსენალის" საშუალო ასაკი თითქმის ოთხი წლით ნაკლები - 24.5 წელი იყო.

აქვე ამ კომპონენტში პრემიერლიგის ოთხი საუკეთესო კლუბის შედარებით დახასიათებას შემოგთავაზებთ.

მანჩესტერი: ყველა ტურნირში გაუშვა 26 გოლი, ბოლო 20 წუთში გაუშვა 12 გოლი - 46.1%;

ჩელსი: ყველა ტურნირში გაუშვა 25 გოლი, ბოლო 20 წუთში გაუშვა 8 - 32%;

ლივერპული: ყველა ტურნირში გაუშვა 36 გოლი, ბოლო 20 წუთში გაუშვა 8 - 22%;

არსენალი: ყველა ტურნირში გაუშვა 28 გოლი, ბოლო 20 წუთში გაუშვა 6 - 21.4%.




ტიერი ანრის გამარჯვების გოლი მანჩესტერ იუნაიტედის კარში



არიენ რობენი

ჩელსი

# რობენი ტრანსფერზე?

## გარემარბის შეძენა ბაიერნმა მოისურვა...

**არიენ რობენის** ლონდონური კარიერა დასასრულს მიუახლოვდა. "სანის" მტკიცებით, "ჩელსიში" ფეხბურთელის დღეები დათვლილია. მას იანვრის ფანჯრის დახურვამდე ახალ სამსახურს მოუნახავენ. მიზეზი "ლივერპულთან" მატჩისას მომხდარი ინციდენტია. რობენმა მე-20 წუთზე შეცვლა ითხოვა. იმ დროს "ლივერპულს" უკვე 2:0 მიჰყავდა. **ჟოზე მოურინიო** შეგირდის საქციელმა ისე აღაშფოთა, რომ გაბრაზებულმა თადარიგში მყოფ **შონ რაიტ ფილიპსს** გასძახა: *"მოემზადე, ის ნეხვი უნდა შეცვალო."* მოურინიომ ვერ დაიჯერა, რომ რობენს სერიოზული ტრავმა ჰქონდა და მას ბრძოლისთვის თავის არიდებაში დასდო ბრალი. ნამატჩევს, როცა ჟოზეს არიენის თაობაზე ჰკითხეს, დამცინავად მიუგო: *"წარმოდგენა არა მაქვს, რამდენ ხანს ვერ ითამაშებს. როგორც წესი, ტრავმის მოშუშებას დიდხანს უნდება ხოლმე."* როგორც კი გავრცელდა ინფორმაცია მწვრთნელისა და ფეხბურთელის დაპირისპირების შესახებ, თავი წამოყო მიუნხენის "ბაიერნმა" და რობენის შეძენა მოისურვა. კლუბებს მოლაპარაკებები ჯერ არ დაუწყიათ.

ბარსელონა

# ლემპარდი 12 მილიონად

## კატალონიაში ხმაურიან ტრანსფერს ელიან...

ბრიტანულ "გარდიანში" **ფრენკ ლემპარდის** მენეჯერის **სტივ ქანთერის** მოკლე ინტერვიუ გამოქვეყნდა. "ჩელსის" ვარსკვლავის წარმომადგენელი საკუთარი კლიენტის მომავალზე საუბრობდა. ქანთერის თქმით, ფრენკს ორი შესაძლებლობა აქვს. თუ მოისურვებს, "არისტოკრატები" კონტრაქტს, რომლის ვადაც 2008 წლის 30 ივნისს იწურება, სიამოვნებით გაუხანგრძლივებენ. თუ არა და, შეეძლება სხვა გუნდი მონახოს. "ჩელსის" მესვეურებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს. ლემპარდს "სტემფორდ ბრიჯის" მიმდინარე წლის ივნისში დატოვება თუ მოესურვება, ხელშეკრულების გაწყვეტის სანაცვლოდ 12 მილიონი ფუნტის გადახდა მოუწევს. ეს, რა თქმა უნდა, საჯარიმო თანხა იქნება, მისით დაინტერესებულ კლუბს კი **რომან აბრამოვიჩის** ანგარიშზე 40 მილიონი ფუნტის გადარიცხვა მოუწევს.

არ ვიცით, უბრალოდ დამთხვევაა თუ მიზანმიმართული ქმედება, მაგრამ ფაქტია, ლემპარდმა "დიარიო სპორტის" კორესპონდენტს ინტერვიუ სწორედ მას შემდეგ მისცა, რაც წინა დღით "გარდიანში" მისი მენეჯერის განცხადება გამოქვეყნდა. ინგლისელი "ბარსელონას" სიყვარულში კიდევ ერთხელ გამოუტყდა. ფრენკმა ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე დასძინა, ბედნიერი ვიქნები, თუ კარიერას "კამპ ნოუზე" გავაგრძელებო. ესპანელმა ჟურნალისტებმა ფეხბურთელს ხსენებულ 12 მილიონ ფუნტზეც ჩამოუგდეს სიტყვა. ლემპარდი თანახმაა ჯარიმა გადაიხადოს და თავი გაითავისუფლოს. ასე რომ, გამორიცხული არ არის, მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ხმაური ტრანსფერის მომსწრენი გავხდეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერი ექსპერტების თვალით

# ნერაძური დაუმარცხებელია, იმიტომ, რომ...

## ტოტალიზატორები ინტერის გაჩემპიონებაზე ფსონებს აღარ იღებენ...

საფონდო ბირჟებზე რომელიმე კომპანიის აქციების ფასის უსაშველოდ ზრდის ან კლების გამო, ვაჭრობას შეწყვეტენ ხოლმე და გაკოტრებებს ან სპეკულაციებს არიდებენ თავს. დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში ჩააყენა „ინტერმა" იტალიური ტოტალიზატორი „სნაი", რომელმაც გასული კვირის შემდეგ სკუდეტოზე ფსონების მიღება შეწყვიტა. „სნაის" ექსპერტების აზრით, „ნერაძურისა" და მის მდევარ „რომას" შორის ქულათა სხვაობა იმდენად დიდია, რომ ოპტიმალური ფსონის დადგენას შეუძლებელს ხდის. 11-ქულიანი სხვაობა ჩემპიონატის დასრულებამდე 18 ტურით ადრე მართლაც ძალიან ბევრია. „ინტერის" ზედიზედ 13 გამარჯვებასთან ერთად ტოტალიზატორებმა სულ უფრო და უფრო შეამცირეს კოეფიციენტი ამ გუნდის საბოლოო გაჩემპიონებაზე. „სნაი" ფსონებს აღარ ღებულობს, „მატჩ პოინტი" მოთამაშეებს მინიმალურ კოეფიციენტს (1,01) სთავაზობს, ყველაზე „ხელსაყრელი" ფსონი კი ტოტალიზატორ „ტოტოსის" აქვს – 1, 03. მაგრამ დიდია ალბათობა, რომ უახლოეს დღეებში იტალიელმა და უცხოურმა ბუქმეიკერებმა „სნაის" მაგალითს მიბაძონ. მათი ყურადღება ახლა სხვა ტიპის ფსონზეა გადატანილი: ვინ იქნება პირველი გუნდი, რომელიც ჩემპიონატში „ინტერის" დამარცხებას შეძლებს? ინგლისურ-შვედურმა „უნიბეთმა" კოეფიციენტები განაახლა მას შემდეგ, რაც „ფიორენტინამ" „შავ-ლურჯებთან" კვირას 1:3 წააგო. მომდევნო ტურში „ინტერი" „სამპდორიას" სტუმრობს, მერე „რომას" მასპინძლობს. „სამპის" გამარჯვებაზე „უნიბეთის" კოეფიციენტი 5,75-ია, „რომას" გამარჯვებაზე კი – 5. ამასობაში ცოტათი გაიზარდა ბუქმეკერების ნდობის ხარისხი „მილანისადმი": თუკი ცოტა ხნის წინ „როსონერის" დერბიში გამარჯვებაზე კოეფიციენტი 9 იყო, ახლა ის 7,5-ა. ნამდვილად არ შემცდარა ის, ვინც სეზონის წინ ფსონს „ინტერის" ჩემპიონობაზე ჩავიდა. „სნაის" თავდაპირველი კოეფიციენტი სექტემბერში 1,70 იყო, „მილანის" ჩემპიონობა – 2,70, „რომასი" – 4,50, „პალერმოსი" – 25, „უდინეზესი" – 80 და „სამპდორიის" – 100. მაგრამ რაც უფრო მეტად ადასტურებდა „ინტერი" თავის სიძლიერეს, დანარჩენები კი თავიანთ სისუსტეს, მით უფრო მცირდებოდა „ნერაძურის" კოეფიციენტები და იმატებდა მისი მეტოქეების. „მატჩ პოინტი" „რომას" გარკვეულ შანსს ისევ უტოვებს: სადღეისოდ რომაელების გაჩემპიონებაზე კოეფიციენტი 12-ია, დეკემბრის დასაწყისში კი 3,20 იყო („ინტერს" იმ დროს 1,20 ჰქონდა). მაგრამ 11-ქულიანი სხვაობა მართლაც ძალიან ბევრია. მორატის გუნდზე დღეს ფსონის ჩასვლა უკვე სანაძლეო კი არა, ერთგვარი დაზღვევაა.

მოკლედ, „ინტერი" შეუჩერებელია: ტოტალურად დომინირებს სერია A-ში, რეკორდს რეკორდზე ამყარებს და მერე საკუთარ მიღწევებს თავადვე აუმჯობესებს. ფაქტია, რომ იტალიაში ამ გუნდს წელს კონკურენტი არ ჰყავს. ახლა საკითხავი ისაა, რატომ მოხდა ასე. ამის გასარკვევად „გაძეტა დელო სპორტმა" კალჩოს ყოფილ ვარსკვლავებს მიმართა – ხალხს, როგორებიც არიან ალტაფინი, ალტობელი, ტარდელი და სხვები. დღეს ისინი იტალიის სხვადასხვა ტელეარხებზე მუშაობენ კომენტატორებად ან საფეხბურთო გადაცემების ექსპერტებად და ზედმიწევნით კარგად იცნობენ სერია A-ში არსებულ სიტუაციას. „გაძეტა დელო სპორტმა" ყოველ მათგანს სამი კითხვა დაუსვა:

1. რა არის იმის მიზეზი, რომ „ინტერი" ჩემპიონატში ასეთი დიდი უპირატესობით დომინირებს?

2. „ინტერი" საერთოდ არის ძალიან ძლიერი გუნდი, თუ კონკურენციის დონეა ჩემპიონატში უფრო დაბალი?

3. სარგებლობს თუ არა „ინტერი" მსაჯების კეთილგანწყობით ამ წარმატებული სერიის მისაღწევად?

ჟოზე ალტაფინი: 1. დომინირებს იმიტომ, რომ ამ მიზნისკენ წლების განმავლობაში მიდიოდა და ადრე თუ გვიან როგორღაც უნდა მიეღწია. და კიდევ იმიტომ, რომ დიდი ფეხბურთელები ჰყავს. მაგრამ „იუვე" სერია B-ში რომ არ გაეგდოთ... იბრაჰიმოვიჩი და ვიეირა არ ეყოლებოდა.

2. კონკურენციის დონე ჩემპიონატში წელს აშკარად უფრო დაბალია. „რომას" არ აქვს იმდენად ძლიერი სტრუქტურა, რომ ჩემპიონატსა და ჩემპიონთა ლიგას ერთდროულად გაუძლოს, „მილანს" კი ძალიან ბევრი ტრავმირებული ჰყავს.

3. არა. სამსაჯო შეცდომები „ინტერის" სასარგებლოდაც იყო და საწინააღმდეგოდაც. აი „მილანს" კი რამდენიმე ქულა ჩამოაკლეს.

ალესანდრო ალტობელი: 1. ადრე თუ გვიან წარმატების ფორმულა უნდა ეპოვნა. „ინტერს" წარსულშიც ბევრი ბრწყინვალე ფეხბურთელი ჰყავდა, მაგრამ არ ჰყავდა გუნდი. ახლა, მანჩინის კარგი სამუშაოს წყალობით, გუნდიც ჰყავს.

2. ჩემპიონატის სხვა ძლიერი გუნდები არ ჩანს, წინააღმდეგობა რომ გაუწიონ, მაგრამ ვფიქრობ, რომ „ინტერი" ამ შემადგენლობით ძალიან ძლიერია, იმისგან დამოუკიდებლად, ჰყავს თუ არა ჩემპიონატში ღირსეული მეტოქეები.

3. ბოლო მარცხის შემდეგ, პრანდელიმ და კორვინომ („ფიორენტინის" სპორტული დირექტორი) მსაჯობა გააპროტესტეს, მაგრამ ეს ემოციურ ტალღაზე მოუვიდათ. დარწმუნებული ვარ, რომ ცივ გონებაზე იგივეს არ იტყოდნენ. მსაჯები „ინტერს" არ ეხმარებიან.

ჯანკარლო ანტონიონი: 1. „ინტერი" ძლიერი, კარგად მომზადებული და დაბალანსებული გუნდია. სხვა გუნდებისთვის ქულები რომ არ დაეკლოთ, მაინც პირველ ადგილზე იქნებოდა.

2. „ინტერის" ასეთი შედეგები ექსკლუზიურად მისი დამსახურებაა, მაგრამ რაკი პირველი წრის შემდეგ ჩემპიონატში ინტრიგა პრაქტიკულად უკვე მოკვდა, გამოდის, რომ წელს კონკურენციის დონე მართლაც უფრო დაბალია.

3. დახმარებები? „ინტერს" ისევე სცემენ პატივს, როგორც ყველა გრანდს. უკვე 30 წელია, სულ ასეა. გასულ წლებში უსამართლობა საკუთარ თავზე იწვნია და ვფიქრობ, ახლა მცირე კომპენსაციას იღებს, მაგრამ მის სიძლიერეს ამით ოდნავაც არ ვაკნინებ.

ფულვიო კოლოვატი: 1. დომინირებს იმიტომ, რომ ზაფხულის სატრანსფერო კამპანიისას ფეხბურთელები სწორად შეარჩია, თუმცა მთავარი მიზეზი ისაა, რომ მანჩინიმ გუნდის შიგნით ჯანსაღი კონკურენცია შექმნა. ამაზე მოწმობს ის, რომ დრო და დრო, რომელიმე ვარსკვლავს სკამზე ტოვებს.

2. „ინტერი" საერთოდ არის ძლიერი, ორი ზუსტი შენაძენი უნდა გაეკეთებინა და გააკეთა კიდეც. თუმცა წელს ცოტა უცნაური ჩემპიონატი გვაქვს, მეტოქეები სუსტები არიან.

3. სამსაჯო შეცდომებით წელს მეტ-ნაკლებად ყველა გუნდი დაზარალდა და ეს ჩემპიონატი ამ მხრივაც განსხვავდება ადრინდელებისგან. შეიძლება, ცოტა უფრო მეტად ვაქცევთ ყურადღებას იმ ეპიზოდებს, როცა მსაჯები „ინტერის" სასარგებლოდ ცდებიან, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ „ინტერი" ლიდერია.

რიკარდო ფერი: 1. დომინირებს იმიტომ, რომ „ინტერი" წლების განმავლობაში შექმნილი გუნდია და შექმნილია იმისთვის, რომ თითქმის იდეალური იყოს.

2. „ინტერი" საერთოდ არის ძლიერი და ამას დაამტკიცებს კიდეც ჩემპიონთა ლიგაში და მომდევნო წლებშიც, როცა სერია A-ში „იუვენტუსი" იქნება.

3. კვირას ორი ეპიზოდი იყო ისეთი, როცა „ინტერის" სასარგებლოდ აშკარა პენალტი არ დაინიშნა. ის, რომ ორი ტურის შემდეგ ტოტიმ „ნერაძურის" წინააღმდეგ შეიძლება ვერ ითამაშოს, ეს მისი პირადი პრობლემაა: არა მგონია, რომ ლივორნოში მისი განერვიულება ინტერისტების გამოწვეული ყოფილიყო.

ალდო სერენა: 1. შემადგენლობა ძალიან კონკურენტუნარიანია. გარდა ამისა, „ინტერს" როგორც იქნა ჰყავს მწვრთნელი, რომელმაც სამი სეზონი მუშაობის საშუალება მიეცა. ზუსტად ეს არის საჭირო, თუ გინდა, რომ გუნდი ნულიდან შექმნა.

2. „იუვენტუსის" არყოფნა და „მილანისთვის" დაკლებულმა ქულებმა თავისი როლი ითამაშა. მაგრამ წარსულში ბევრი სკუდეტო მოიგეს „ინტერის" „გარეშე".

3. ვფიქრობ, რომ წელს შეცდომები ყველა გუნდთან მიმართებაში იყო დაშვებული. მიზეზი ისაა, რომ სერია A-ში ბევრი ახალგაზრდა არბიტრი მსაჯობს. მაგრამ მთავარია, რომ ამ შეცდომების უკან არაკეთილსინდისიერება და მიკერძოება არ დგას.

მარკო ტარდელი: 1. „ინტერი" ჩემპიონატში დომინირებს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველაზე ძლიერი შემადგენლობა ჰყავს.

2. ჩემპიონატში კონკურენციის დონე რომ უფრო დაბალია, ამას ყველა ხედავს, მაგრამ „ინტერმა" ყველა შეხვედრაში დაამტკიცა, რომ საუკეთესო გუნდია არა მხოლოდ იტალიაში, არამედ მთელ ევროპაში.

3. „ინტერიც" ყველა იმ გუნდის რიცხვს განეკუთვნება, ვის მიმართაც არბიტრებს ტრადიციულად აქვთ გარკვეული სიმპათია.

მასიმო მაურო: 1. თავისუფლად დომინირებს იმიტომ, რომ „ინტერი" ყველაზე სრულყოფილი გუნდია და კიდევ იმიტომ, რომ ჩემპიონატის დონეა შედარებით დაბალი.

2. „ინტერი" ყველაზე ძლიერია ევროპაში და ვუსურვებ, რომ ჩემპიონთა ლიგაშიც წარმატებისთვის მიეღწიოს, რითაც თავის აბსოლუტურ სიძლიერეს დაადასტურებს.

3. არა, მსაჯებისგან „ინტერს" არანაირი დახმარება არ მიუღია... დავიცადოთ ერთი ათი წელი და ვნახოთ... ვხუმრობ, ცხადია. სხვათა შორის, კოლინას მსაჯების მწვრთნელად დანიშვნა ძალიან დიდ იმედებს მისახავს.

სებინო ნელა: 1. დომინირებს იმიტომ, რომ აქვს კლასი, თამაშის ხარისხი და ბრწყინვალე სტატისტიკაც უმაგრებს ზურგს. „ინტერი" უბრალოდ ყველაზე ძლიერია.

2. „ინტერი" ამ ჩემპიონატის ერთადერთი მთავარი გმირია, მხოლოდ „რომას" შეუძლია, რომ საფიქრალი გაუჩინოს.

3. იყო რამდენიმე საკამათო ეპიზოდი, რომელიც მსაჯებმა „ინტერის" სასარგებლოდ გადაწყვიტეს, მაგრამ როცა იგებ, სხვებისთვის ანტიპათიური ხარ და იოლად ხდები კრიტიკის ობიექტი. სხვათა შორის, ახლო წარსულს თუ გადავხედავთ, „ინტერს" პრეტენზიის გამოთქმის საფუძველი საკმარისზე მეტად აქვს.

ლუკა მარკეჯანი: 1. იმიტომ, რომ ყველაზე კარგად აღჭურვილი გუნდია, მაგრამ მთავარი მიზეზი ისაა, რომ საკუთარი სიძლიერე გაიცნობიერა.

2. ვფიქრობ, რომ ევროპაში ყველაზე ძლიერი გუნდია, თუმცა ზუსტ პასუხს ჩემპიონთა ლიგა მოგვცემს, რადგან ობიექტური მიზეზების გამო, ჩემპიონატში კონკურენცია წელს არც ისე მაღალია.

3. არა. მსაჯობის მხრივ, წელს რამდენიმე იღბლიანი მომენტი ჰქონდა – ისეთი, როგორებიც ყოველთვის თან ახლავს ხოლმე წარმატებულ სეზონებს, როცა ყველაფერი შენს სასარგებლოდ ხდება.

**გოგა ახალაძე**



მასიმო მორატი



იტალიელ მიმომხილველებს ინტერის ქება არ ბეზრდებათ

რეალი

# ულტიმატუმი მილანს

## თუ რონალდოს ხელში ჩაგდება სურთ, იტალიელები მადრიდს უნდა გემგზავრონ და მიატოვიჩს თანხაზე მოელაპარაკონ

იანვრის დასრულებამდე ერთი კვირა დარჩა. სატრანსფერო ბაზარი ზუსტად შვიდ დღეში დაიხურება, **რონალდოს** საკითხს კი საშველი ვერა და ვერ დაადგა. ბრაზილიელი ფორვარდი დაუფარავად ამბობს, რომ სამეფო კლუბში დარჩენა აღარ სურს. როგორც იცით, დღის წესრიგში მისი "მილანში" შესაძლო გადაბარგება დადგა. იტალიელები აქტიურ ქმედებაზე გადავიდნენ. მათ ფეხბურთელის მენეჯერთან ინტენსიური მოლაპარაკებები დაიწყეს, მაგრამ საქმე მკვდარი წერტილიდან ვერა და ვერ დაიძრა. "დიარიო მარკას" კორესპონდენტი **გილიერმო სუასო** საკითხის გასარკვევად სამეფო კლუბის ოფისს ეწვია. ჩვენმა კოლეგამ საინტერესო ამბავი შეიტყო...

თუ "მილანს" რონალდოს ხელში ჩაგდება სურს, საკუთარი ემისრები დაუყოვნებლივ მადრიდს უნდა გაგზავნოს. სამეფო კლუბის ხელმძღვანელები "სან სიროზე" ჩასვლას არ აპირებენ. მათი ლოგიკა მარტივია, ტრანსფერის გაჩარხვაში თავად არიან დაინტერესებულები, ასე რომ, კეთილი ინებონ და "ბერნაბეუზე" გვესტუმრონო. ბუნებრივია, ხელცარიელ სტუმრებს ესპანელები გულღიად არ შეხვდებიან. ბრაზილიელი 10 მილიონ ევროდაა შეფასებული. მოარული ხმების თანახმად, **რამონ კალდერონი** ამ თანხას ორ მილიონზე მეტად არ შეამცირებს. ანუ, საუკეთესო შემთხვევაში "როსონერის" ვეტერანი თავდამსხმელი 8 მილიონი ევრო დაუჯდება. აქვე იმასაც გეტყვით, რომ **პრედრაგ მიატოვიჩი** აპენინელი კოლეგების ქმედებით ნაწყენია. **ადრიანო გალიანის** თანაშემწეებმა ურთიერთობა არა სამეფო კლუბთან, არამედ რონალდოს მენეჯერთან, **ფაბიანო ფარასთან** გააბეს. სერბი საფეხბურთო ფუნქციონერის თქმით, ეს არადელიკატური გადაწყვეტილება იყო.

გასულ კვირას **ალბერტო ჯილარდინომ** ტრავმა მიიღო. ექიმები ვარაუდობენ, რომ მის გამოჯანმრთელებას დაახლოებით ორი თვე დასჭირდება. მოგეხსენებათ, "მილანს" ფორვარდის პრობლემა ისედაც აწუხებდა. ჯილარდინოს დაშავების შემდეგ კი ვითარება კიდევ უფრო გამწვავდა. აქედან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ სინიორ გალიანი რონალდოს ხელში ჩასაგდებად უფრო აქტიურ ქმედებებზე გადავა. გამორიცხული არ არის, იტალიელები მადრიდს ხვალვე ჩაფრინდნენ.

### ვან პერსიმ სეზონი დაასრულა?

**რობინ ვან პერსის**, შეიძლება, მთელი ოთხი თვე გაუცდეს. ჰოლანდიელი გარემარბი "მანჩესტერთან" საკვირაო მატჩში დაშავდა. გოლის გატანისას, 83-ე წუთზე, ვან პერსიმ ტერფის არეში ძლიერი ტკივილი იგრძნო. მას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავი. 23 წლის ფეხბურთელს ტერფის ნების ძვალი აწუხებდა. მან "იუნაიტედთან" შეხვედრა გაჭირვებით ჩაამთავრა. თამაშის შემდეგ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და რენტგენი გადაუღეს. ექიმებმა რობინს დასვენება გამოუწერეს. არსენ ვენგერი: *"მისი ჯანმრთელობა ძალიან გვაღელვებს. ვან პერსიმ საუცხოო გოლი გაიტანა და სამწუხაროდ, იქვე დაშავდა კიდეც."*

### კავენაგი: ჯერ იჯარა

რუსულმა სააგენტოებმა "სპარტაკისა" და "ბორდოს" გარიგების დეტალები გაახმაურეს. მოგეხსენებათ, მოსკოველებმა ფრანგებს გადაულოცეს არგენტინელი თავდამსხმელი **ფერნანდო კავენაგი**. ბორდოელები თანხას ნაწილ-ნაწილ გადაიხდიან. სეზონის ბოლომდე კავენაგი "სპარტაკის" საკუთრებაში დარჩება და საფრანგეთში ექვსთვიანი იჯარით ითამაშებს. ამ ხნის განმავლობაში "ბორდო" სრულად დაფარავს ფეხბურთელის ხელფასს. ზაფხულში ფრანგები 4 მილიონ დოლარს გადაიხდიან. დარჩენილ 4 მილიონს კი 2008 წლის ზაფხულამდე გაისტუმრებენ. ამას გარდა, თუ კავენაგის მესამე კლუბში გაყიდიან, აღებული თანხის 20 პროცენტის მოსკოველთათვის გადახდა მოუწევთ.

### ტევესი შინ გაემგზავრა

**კარლოს ტევესი** არგენტინაში გაემგზავრა. "ვესტ ჰემის" თავდამსხმელმა "ფულჰემთან" 10 დღის წინანდელ მატჩში (3:3) ტრავმა მიიღო და ექვსკვირიანი შვებულება გამოიწერა. კარლოსმა მთავარ მწვრთნელ **ალან კერბიშლის** ოჯახის მონახულების უფლება სთხოვა. კერბიშლი მის თხოვნას გაგებით მოეკიდა და კარლოსმაც დაუყოვნებლივ ბუენოს აირესისკენ აიღო გეზი. ტევესს ლონდონური კლუბის შემადგენლობაში 17 მატჩი აქვს ჩატარებული, მაგრამ, ჯერჯერობით, გოლი არ გაუტანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა


როი მაკაი (მარცხნივ)

ბაიერნი

# მაკაი უკმაყოფილოა

## ჰოლანდიელი იმუქრება: ბუნდესლიგის ბომბარდირი წელს მაინც უნდა გავხდე!

„ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა ახალი სეზონისთვის ახალი თავდამსხმელის ყიდვა გადაწყვიტეს. ეს უკვე საყოველთაოდ გახმაურებული და არაერთგზის დადასტურებული ამბავია. რეკორდმაისტერის შეფებს ახალი ფორვარდი, პირველ რიგში, იმისთვის სჭირდებათ, რომ გუნდის წინა ხაზში უფრო დიდი კონკურენცია შეიქმნას, რაც არცერთ თავდამსხმელს არ მისცემს მოდუნების საშუალებას. ბავარიული გიგანტის ბოსების ამ გადაწყვეტილებას უკვე მოჰყვა პირველი უარყოფითი რეაქცია. *„არ შეიძლება, ფეხბურთელი იყიდო მხოლოდ იმიტომ, რომ მერე თქვა, აი, ხომ ვიყიდეო,“* – ეს **როი მაკაის** სიტყვებია და როგორც ხედავთ, ჰოლანდიელი უკმაყოფილოა.

რეკორდმაისტერის ფეხბურთელების ყურამდეც მიაღწია იმ ამბავმა, **ული ჰიონესმა** უკვე გაუფორმა ერთ-ერთ ფორვარდს წინასწარი კონტრაქტიო და თითქოს ეს ამბავი ჯერ ჯერობით არ ხმაურდება. თვითონ ულის არაერთხელ უთქვამს, რომ მაღალ და ისეთ ფორვარდზე ოცნებობს, რომელიც კარგად ითამაშებს თავით. **იან შლაუდრაფის** შემდეგ ეს იქნებოდა კიდევ ერთი შემტევი ფეხბურთელი. მაკაისთვის კი ეს იმის საბაბია, რომ შეფებს შეუტიოს.

*„ვფიქრობ, რომ კონკრეტულად ისეთი ფორვარდი, რომელიც კარგად ითამაშებს მეორე სართულზე, ნამდვილად არ გვჭირდება. არადა, ახლა ყველა ამაზე ლაპარაკობს. 3 წელზე მეტია, რაც „ბაიერნში“ ვთამაშობ და ამ მხრივ პრობლემა არასდროს გვქონია. ჩვენ, ამ გუნდის ფორვარდებს, თავით გოლების გატანა არასდროს გვიჭირდა. ასე რომ, დეფიციტი არ არსებობს,“* – ამბობს 31 წლის ჰოლანდიელი. ის ხვდება, რომ დიდი შანსია, ზაფხულიდან „ბაიერნის“ ნომერ პირველი თავდამსხმელის სტატუსს გამოეთხოვოს და იმ „დიდი ცვლილებების“ მსხვერპლი გახდეს, რომელსაც ბავარიული გიგანტის ხელმძღვანელები გეგმავენ.

თუმცა ჰოლანდიელს სეზონის ბოლომდე დრო აქვს და შეუძლია დაამტკიცოს, რომ მისი ჩამოწერა ნაადრევია. რაკი ბოლო დროს **მიროსლავ კლოზეს** გვარმა „ბაიერნთან“ მიმართებაშიც არაერთხელ გაიჟღერა, მიუხედავად იმისა, რომ ბრემენელი მიუნხენში არ გადავა, ფაქტია, რომ ჰიონესს და კომპანიას დღეს კლოზე უფრო მოსწონთ, ვიდრე მაკაი. სწორედ ამიტომ, როი პირველ რიგში „ვერდერის“ ფორვარდს უცხადებს ომს. მაკაის მხოლოდ ის კი არ უნდა, რომ გერმანიის ჩემპიონი „ბაიერნი“ გახდეს და არა „ვერდერი“, არამედ, ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ბუნდესლიგის ბომბარდირობასაც ისახავს. *„რა დასამალია, რომ ბომბარდირობა ამ სეზონში განსაკუთრებით მინდა,“* – ამბობს მაკაი, რომელსაც გერმანიის პირველობის საუკეთესო გოლეადორთა ცხრილში მხოლოდ **მარკო პანტელიჩი** (ჰერტა) და ზემოთ ხსენებული კლოზე უსწრებენ, ისიც, სულ რაღაც ერთი გოლით (კლოზე 10, პანტელიჩი 10, მაკაი 9).

*„წინა სეზონში, პირველი წრის შემდეგ, მიროს ჩემზე ორჯერ მეტი გოლი ჰქონდა გატანილი. ახლა კი მხოლოდ 1 გოლით ჩამოვრჩები და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ჩვეულებრივ მეორე წრეში უფრო შედეგიანი ვარ ხოლმე, გამოდის, რომ ბომბარდირობის ძალიან კარგი შანსი მაქვს,“* – ოპტიმისტურადაა განწყობილი ბავარიელთა ფორვარდი, რომელიც სერიოზულ კონკურენტად მხოლოდ კლოზეს მიიჩნევს.

ჰოლანდიელი გულშემატკივრებსა და ბოსებს სთხოვს, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე მე უფრო მეტი გოლი გავიტანე, ვიდრე კლოზემო. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ როი მართალს ამბობს: მაკაი „ბაიერნში“ მე-4 სეზონს ატარებს და მის ანგარიშზე 71 გოლია. კლოზემ კი, დროის იგივე პერიოდში, მხოლოდ 60-ჯერ იხეირა. რომ იცის, რომ მიუნხენში სტატისტიკას არავინ უყურებს, უფრო სწორად, სტატისტიკის გამო ძირითად შემადგენლობაში თამაშის გარანტიას არავინ მისცემს. იმისთვის, რომ მან, როგორც თავდამსხმელმა, ბუნდესლიგაში საპატიო ადგილი დაიმკვიდროს, აუცილებლად საუკეთესო ბომბარდირი უნდა გახდეს. პირველ სეზონში 23 გოლი გაიტანა, მაგრამ მაინც მეორე ადგილზე გავიდა, ჩამორჩა რა გადარეულ **აილტონს**, რომელმაც მაშინ 28-ჯერ იხეირა. მომდევნო სეზონში 22 გოლი გაიტანა, მაგრამ **მარეკ მინტალმა** ორი გოლით აჯობა, მაკაი კი ისევ მეორე ადგილს დასჯერდა. შარშან სულაც მეოთხე ადგილზე აღმოჩნდა 17 გოლით, პირველი კი კლოზე იყო - 25-ით.

**გოტფრიდ ლენცი**

ინტერვიუ ჰასან სალიჰამიჯიჩთან

# ყველაფერს გავაკეთებ, რომ იუვეს დიდება დაიბრუნოს

## მანამდე ბრაცოს ბაიერნთან ერთად დუბლის შესრულება უნდა...


ჰასან სალიჰამიჯიჩი

**სებასტიან დაისლერის მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ, 27 წლის ასაკში დაემთავრებინა კარიერა, გერმანულ ფეხბურთში მომხდარი ყველა ამბავი ჩრდილში მოაქცია. მაგალითად, დაიჩრდილა ერთი მეტად საინტერესო ტრანსფერი, რომელიც მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე განხორციელდება: „ბაიერნის“ ბოსნიელი ნახევარმცველი ჰასან სალიჰამიჯიჩი ტურინის „იუვენტუსში“ გადავა. 30 წლის მეომარ შუამარბს მიუნხენურ კლუბთან კონტრაქტი უმთავრდებოდა და თვითონაც ამბობს, რომ ახალი ხელშეკრულების გაფორმებას აპირებდა, რომ არა წინადადება „იუვენტუსიდან“. ამრიგად, ჰასანი „ბებერ ქალბატონში“ უფასოდ გადავა. სალიჰამიჯიჩი, მეტსახელად „ბრაცო“, „კიკერისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ცდილობს განმარტოს, რატომ გადაწყვიტა „ბაიერნის“ დატოვება და რას ელის „იუვეში“...**

**- ჰერ სალიჰამიჯიჩ, „ბაიერნში“ 9 წელი გაატარეთ, ეს კი, ძალიან დიდი დროა იმისთვის, რომ ფეხბურთელმა ასე უცებ და ყველასათვის მოულოდნელად მიიღოს გადაწყვეტილება გუნდის დატოვების შესახებ. მაინც რატომ არ რჩებით მიუნხენში და რატომ მიდიხართ იტალიაში?**

- იმიტომ, რომ ეს არის ჩემი ბოლო შანსი, კიდევ ერთხელ შევიცვალო გუნდი და ქვეყანა, გადავიდე ისეთ გრანდში, როგორიც „იუვენტუსია“. სიმართლე გითხრათ, არ მეგონა, თუ ასეთი შანსი კიდევ მომეცემოდა. კარიერის დასრულებას მიუნხენში ვაპირებდი. კიდევ იმიტომ, რომ ეს ნაბიჯი ჩემს ცხოვრებას მრავალფეროვნებას შემატებს. იტალიაში ცხოვრება და ფეხბურთის თამაში ვის არ უნდა? გერმანიაში ჩემი შესაძლებლობები ამოვწურე, „ბაიერნთან“ ერთად ყველაფერი მოვიგე, რისი მოგებაც შეიძლებოდა. კიდევ იმიტომ, რომ „იუვეში“ გადასვლა ჩემთვის უდიდესი მოტივაციაა. გუნდი სერია A-ში ახალი დაბრუნებული იქნება და ეს დამატებით ინტრიგას სძენს ყველაფერს. დაბოლოს: „იუვენტუსში“ კიდევ იმიტომ მივდივარ, რომ როცა სახლში ვთქვი, ტურინიდან მეპატიჟებიან-მეთქი, ჩემი საცოლე სიხარულისგან კინაღამ ჭკუიდან შეიშალა – იტალიაზე აბოდებს. ბავშვებსაც ძალიან გაუხარდათ. ასე რომ, ბედნიერი ვარ.

**- თვითონვე თქვით, რომ „ბაიერნთან“ ერთად ყველაფერი მოიგეთ, რისი მოგებაც შეიძლებოდა. „იუვენტუსთან“ ერთად რა გეგმები გექნებათ და არ გეშინიათ, რომ არც ისე მოტივირებული იქნებით?**

- არანაირად! უმოტივაციო სალიჰამიჯიჩი ოდესმე გინახავთ? მინდა, რომ „იუვესთან“ ერთად იტალიის ჩემპიონი გავხდე. ყველაფერს გავაკეთებ და თავს არ დავზოგავ იმისთვის, რომ ამ გუნდმა ძველი დიდება დაიბრუნოს და დაუბრუნდეს იმ ადგილს, რომელიც მას ეკუთვნის. მაგრამ ამ ყველაფრისთვის ზრუნვას ზაფხულიდან დავიწყებ, მანამდე კი „ბაიერნის“ განკარგულებაში ვარ. ივლისამდე მიუნხენური გუნდისთვის ვიბრძვი.

**- მოდით დავკონკრეტდეთ და გულახდილები ვიყოთ. „ბაიერნის“ ხელმძღვანელებმა მხოლოდ ორწლიანი კონტრაქტი შემოგთავაზეს, ტურინელებმა კი ოთხწლიანი. ბევრი ფიქრობს, რომ გადაწყვეტილება „იუვეს“ სასარგებლოდ ამის გამო მიიღეთ. 30 წლის ხართ და რასაკვირველია, ორწლიან კონტრაქტს, ოთხწლიანი გირჩევნიათ...**

- შესაძლოა, ამ ფაქტმა გარკვეული ბიძგი მომცა, მაგრამ გადამწყვეტი როლი ნამდვილად არ უთამაშია. სანამ ტურინულ კლუბში გადაბარგებაზე ხმამაღლა ვიტყოდი, ული ჰიონესს ვესაუბრე და საქმის არსი ავუხსენი. ვფიქრობ, მას ჩემთვის სასაყვედურო არაფერი ექნება. მე და ჰიონესი ერთმანეთს ყოველთვის ძალიან კარგად ვუგებდით. დარწმუნებული ვარ, რომ არც „ბაიერნის“ გულშემატკივრები მისაყვედურებენ – რეკორდმაისტერს საკმარისად ვემსახურე და თავი არასდროს დამიზოგავს.

**- „იუვენტუსი“ რამდენს გადაგიხდით?**

- თანხას, რა თქმა უნდა, არ დავასახელებ. ტურინულ კლუბში საკმარისად გადამიხდიან.

**- ძალიან გაგიკვირდათ, როცა შეიტყვეთ, რომ „ბებერი ქალბატონის“ ხელმძღვანელებს თქვენი ტურინში წაყვანა სურდათ?**

- კონკრეტულად „იუვეს“ ინტერესი არ გამკვირვებია, რადგან ტურინელთა სკაუტები ადრეც მაკვირდებოდნენ და ამ გუნდს ჩემი გადაბირება რამდენიმე წლის წინაც სურდა. თანაც, მე ვიცი, რაც შემიძლია. ნებისმიერ გუნდს გავუწევ დახმარებას.

**- ისე, „ბაიერნში“ სუპერვარსკვლავი არასდროს იყავით...**

- ეს სულაც არ მაინტერესებს. ნამდვილად არ ვდარდობ იმის გამო, რომ „ბილდის“ ყოველ ნომერში ჩემს შესახებ სტატიები არ იბეჭდებოდა. ჩემთვის სულერთია, ვიყავი თუ არა სუპერვარსკვლავი. არ მაინტერესებს, რას იტყვის ხალხი. ვიცი, რომ „ბაიერნში“ ყოველთვის მნიშვნელოვანი ფიგურა ვიყავი და მეორეხარისხოვანი არც ახლა ვარ. სალიჰამიჯიჩი ყველა თამაშში ბოლომდე იბრძვის და ვარჯიშებზეც კი ისე დარბის, როგორც ოფიციალურ მატჩებში. ყოველ შემთხვევაში, მიხარია, რომ „იუვენტუსის“ ბოსებმა თუ სკაუტებმა, ეს შეამჩნიეს და დამაფასეს: ოთხწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს – ეს იმას ნიშნავს, რომ მე მათ ვჭირდები. არ ვიცი, ვინ როგორ შეაფასებს ჩემი კარიერის იმ ნაწილს, რომელიც „ბაიერნში“ გავატარე, ფაქტი კი ისაა, რომ რეკორდმაისტერის ხელმძღვანელები ჩემით უკმაყოფილონი არასდროს ყოფილან. ფანებსაც ვუყვარვარ.

**- მოკლედ, „ბაიერნში“ რამდენიმე თვეღა დაგრჩათ. რას ელით ამ პერიოდისგან?**

- მინიმუმ ერთი ტიტულის მოგება მინდა. თუ ორს მოვიგებ, ეს გენიალური იქნება! გერმანიის ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგა – ორივე ტურნირის მოგება მინდა.

**- ამისთვის, მერვედფინალიდან მადრიდის „რეალი“ უნდა გააგდოთ. როგორ ფიქრობთ, ეს რეალურია?**

- სიტყვებით ვერ აგიწერთ, იმდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლა თანაც ისე, რომ მერვედფინალიდან „რეალი“ დავიფრინოთ. ეს გამარჯვება კიდევ უფრო თავდაჯერებულებს გაგვხდის და საკუთარი თავის რწმენას შეგვმატებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ის „რეალი“ აღარაა, შიშის ზარს რომ სცემდა მთელს ევროპას, მაინც უდიდესი სიფრთხილეა საჭირო. ფაბიო კაპელოს ძალიან კარგი გუნდი ჰყავს.

**- „ბაიერნს“ ბუნდესლიგის მოგებაც გაუჭირდება. მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს სჯერათ, რომ „ვერცხლის სინს“ „ვერდერი“ დაისაკუთრებს.**

- ვინ?

**- „ვერდერი“.**

- მათი აზრი ფეხებზე მკიდია. მჯერა, რომ ჩემპიონი ისევ „ბაიერნი“ გახდება.

**- რატომ გჯერათ?**

- პირველ რიგში იმიტომ, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს. მოსამზადებელი პერიოდით ყველანი კმაყოფილები ვართ, ნაყოფიერი შეკრება გვქონდა. ეს იმას ნიშნავს, რომ „ბაიერნი“ უბრალოდ ვალდებულია, მეორე წრეში ჩვეულად ათამაშდეს. და თუ ეს ესე მოხდება, მაშინ ჩემპიონები ისევ ჩვენ გავხდებით და იმედია, ამაში მაინც დამეთანხმება ყველა.

**- სებასტიან დაისლერის გადაწყვეტილებამ გუნდზე როგორ იმოქმედა?**

- როცა გავიგეთ, რომ სება ფეხბურთიდან წავიდა, ყველანი შოკში ჩავარდით. პირადად ჩემთვის, მისი გადაწყვეტილება ახლაც გაუგებარია. გაუგებარი, მაგრამ არა მიულებელი – ეს მისი გადაწყვეტილებაა, ასე ჩათვალა საჭიროდ და მორჩა.

**გოტფრიდ ლენცი**

მარიო ბასლერის სვეტი

# 2007 გიჟების წელია, ჩემპიონი შალკე ხდება!

## სუპერმარიო კობიაშვილს ოქროს მედალს უწინასწარმეტყველებს...




2007 წელი გიჟურად და არანორმალურად დაიწყო. ნახევარი ზამთარი გავიდა და თოვლი თითქმის არ გვინახავს, სამაგიეროდ, ვნახეთ ქარები, თანაც ისეთი, მთელი საუკუნის მანძილზე რომ არ უნახავს გერმანიას. ამ საგიჟეთის ლოგიკური გაგრძელება კი ასეთი უნდა იყოს: გაზაფხულზე „შალკე" გერმანიის ჩემპიონი უნდა გახდეს. თავად განსაჯეთ, ვინ, თუ არა ჭკუიდან შეშლილი და მუდმივად სკანდალებში გახვეული „შალკე", რომელიც ნახევარ საუკუნეზე მეტია, „ვერცხლის სინს" ამაოდ ელის.

დიახ, თქვენ ნამდვილად არაფერი შეგშლიათ. სწორედ რომ „შალკე"! უბრალოდ, **რუდი ასაუერი** მეცოდება. ამდენი წლის მანძილზე, ამ გუნდისთვის თავს იკლავდა და გერმანიის ჩემპიონობაზე ოცნებობდა, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია. ახლა კი, ჯერ ხეირიანად არც წასულა, „შალკე" კი გერმანიის ჩემპიონი ხდება. მაგრამ რუდის შეუძლია, მშვიდად იყოს. ეს მის მიერ აშენებული გუნდია. რომ არა ასაუერი, დღეს გელზენკირხენელები მეორე ბუნდესლიგაში იქნებოდნენ. რუდი, შენი სიგარის კვამლით „შალკესთვის" სიცოცხლე რომ არ შთაგებერა, დღეს ეს გუნდი სულის ლაფვის პროცესში იქნებოდა.

გელზენკირხენელები პირველი წრის შუაში ისე გამოცოცხლდნენ, რომ ეჭვი აღარ მეპარება, უძლიერესის სტატუსს მოიპოვებენ. სამწვრთნელო დისკუსიები, **ფრანკ როსტის** გარშემო ატეხილი სკანდალი, საუბრები იმის შესახებ, რომ გუნდი ბანაკებადაა დაყოფილი – რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ამ ყველაფერმა „შალკეზე" დადებითად, მეტიც, ძალიან კარგად იმოქმედა. სწორედ ეს არის „შალკეს" უცნაურობა – ამ გუნდს საგიჟეთი სჭირდება იმისათვის, რომ კარგად ითამაშოს და წარმატებებს მიაღწიოს. იმისათვის, რომ გელზენკირხენული კლუბი ჩემპიონი გახდეს, სულაც არ სჭირდება შესანიშნავი ფსიქოლოგი ოტო რეჰაგელი ან ტაქტიკის ფანატიკოსი, პროფესორი რალფ რანგნიკი, ანაც დიქტატორი **იუპ ჰაინკესი**. არა! „შალკე" სწორედ **მირკო სლომკას** ხელში თუ გახდება ჩემპიონი! იმიტომ, რომ ამ გუნდში ყველაფერი ყოველთვის უკუღმა ხდებოდა. „შალკეს" ჩემპიონობისთვის სულ სამი რამ სჭირდება: ეიფორია, ეიფორია და კიდევ ერთხელ ეიფორია.

თქვენ ნამყოფი ხართ „აუფ შალკეზე"? იცით კი, რა ხდება იქ? სლომკამ თავისი ფეხბურთელები შუაღამის 4 საათზე რომააყენოს, მოედანზე სავარაჯიშოდ გაიყვანოს და სტადიონის განათება ჩაართვევინოს, თვალებს არ დაუჯერებს: ტრიბუნები სავსე იქნება! 60 000 გულანთებული ფანი ნებისმიერ მომენტში მზადაა, თავისი გუნდისთვის თავი გაწიროს.

ახლა ეს ახალი სპონსორიც! „გაზპრომი" გელზენკირხენელებს მილიონებით მოამარაგებს. „შალკე" კი ბედნიერია იმიტომ, რომ თავისი იმიჯის დასაცავად და გაფუჭებული სახელის გამოსასწორებლად, რუსებმა სწორედ ეს გუნდი აირჩიეს. შეეძლოთ, დორტმუნდის „ბორუსია" აერჩიათ. „შალკი 04" გერმანიის ჩემპიონი – ვიცი, რომ ეს ძალიან რთული წარმოსადგენია, მაგრამ ოდესმე ესეც ხომ უნდა მოხდეს. მერე რუსები გელზენკირხენში არაყსაც გამოგზავნიან, ოღონდ ფულში კი არ დაუქვითავენ შალკელებს – არა, ამას უფრო პრემიის სახე ექნება. საუკეთესო არაყი რუსეთიდან! მშვენიერია!

პირველ, საპატიო ჭიქას სლომკა იმსახურებს. ცოდვა გამხელილი სჯობს და როცა რანგნიკი „შალკედან" გაათავისუფლეს, მეგონა, სლომკაც მას აედევნებოდა ხვეწნა-მუდარით, სადაც შენ წახვალ, მეც წამიყვანეო. მირკოს თვითონაც ვერ წარმოედგინა, რომ „შალკეს" მთავარი მწვრთნელის პოსტს შესთავაზებდნენ. სლომკამ პოზიტიურად გამაოცა, როცა როსტი, ყველასათვის მოულოდნელად, სასტარტო შემადგენლობიდან ამოაგდო. მირკომ ეს იმ დროს გააკეთა, როცა მისი გაგდება ყველას გადაწყვეტილი ეგონა, ანუ, მისთვის ყველაზე მძიმე მომენტში. მე თუ მკითხავთ, მწვრთნელის ეს ნაბიჯი აბსოლუტურად გამართლებული იყო. როსტი კერკეტი კაკალია და თუ ერთხელ აგიმხედრდა, ველარასოდეს შემოირიგებ. ფრანკი სლომკას ერთხელ უკვე აუმხედრდა, როცა ამ უკანასკნელმა კაპიტნის სამკლაური ჩამოართვა. თანაც, აბა გაიხსენეთ მიმდინარე სეზონის რომელიმე მატჩი, რომელშიც როსტმა „შალკე" გადაარჩინა?

სეზონის დასაწყისში ჩემთვის რომ ეთქვათ, მეორე წრიდან „შალკეს" კარს **ნოიერი** დაიცავსო, ვკითხავდი, ეგ ვინლაა-მეთქი. მანუელი იმდენად ახალგაზრდაა, რომ მგონია, გელზენკირხენული კლუბის სასტარტო შემადგენლობაში




თამაში ლატარიაში მოიგო. თუმცა დარწმუნებული ვარ, რომ დიდი მეკარე გაიზრდება, რადგან ახლავე აკმაყოფილებს ბუნდესლიგის დონეს და რაც მთავარია, ძალიან მონდომებულიცაა. ისე, ქედს ვიხრი სლომკასა და „შალკეს" მენეჯერ **ანდრეას მიულერის** წინაშე, მათ დიდი ვაჟკაცობა გამოავლინეს, როცა როსტის გაშვება და მხოლოდ 20 წლის ნოიერზე დაყრდნობა გადაწყვიტეს. თუმცა, მე მაინც ვფიქრობ, რომ როცა გუნდში პირველი მეკარე 20 წლისაა, ხოლო მეორე კი 18-ის, ეს ძალიან სახიფათოა. მინიმუმ სკამზე მაინც უნდა გყავდეს გამოცდილი გოლკიპერი.

სხვა მხრივ გელზენკირხენელებს ყველაფერი რიგზე აქვთ, იმდენად, რამდენადაც „შალკეს" შეიძლება, რომ ყველაფერი რიგზე ჰქონდეს. გუნდი ახალგაზრდაა და აქვს დიდი პოტენციალი. **მარსელო ბორდონი** ჩემთვის ბუნდესლიგის საუკეთესო მცველია, **კრისტიან პანდერი** კი კაცი, რომელიც სულ მალე გერმანიის ნაკრების სასტარტო შემადგენლობიდან **ფილიპ ლამს** ამოაგდებს. **კევინ კურანიზეც** აღარ ვნერვიულობ. თუ ეს უკანასკნელი მეორე წრეშიც ისევე იმუშავებს, როგორც ამას პირველი წრის ბოლოს აკეთებდა, ბუნდესგუნდში დაბრუნება და თანაც, იქ ფეხს ძალიან მყარად მოიკიდებს.

„შალკეს" კიდევ ერთი პლუსი: „ვერდერს" თავდასხმაში საკადრო პრობლემები აქვს, „ბაიერნიც" არეულია, გელზენკირხენელებს კი ამ მხრივ ძალიან კარგი მდგომარეობა აქვთ. არცერთი წამყვანი შალკელი ტრავმირებული არაა.

**მარიო ბასლერი**
ბილდი

ძლივს დასრულებული ტრანსფერი

# ოდოს ოცნება აუხდა

## მცველის სანაცვლოდ ლაციო მილანისგან 7.75 მილიონ ევროს მიიღებს და პასკუალე ფოჯას სრულფასოვანი მესაკუთრე გახდება

**მასიმო ოდოს** „მილანში" გადასვლას საშველი დაადგა. 30 წლის ფეხბურთელმა დიდი ხნის ოცნება აიხდინა და იმ გუნდში გადავიდა, რომელსაც ბავშვობიდან ქომაგობს. ერთთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ „ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** და „მილანის" ვიცეპრეზიდენტი **ადრიანო გალიანი** სატრანსფერო ფასზე როგორც იქნა შეთანხმდნენ. „სკუადრა აძურის" მცველის დათმობის სანაცვლოდ რომაული კლუბი 7,75 მილიონ ევროს მიიღებს. გარდა ამისა, „ლაციოს" საკუთრებაში გადავიდა მარჯვენა ნახევარმცველის **პასკუალე ფოჯას** სატრანსფერო უფლებების ის 50 პროცენტიც, რომელსაც აქამდე „როსონერი" ფლობდა. შეთანხმების მიღწევის შესახებ ცნობა „მილანის" ოფიციალურმა ვებსაიტმაც დაადასტურა. კონტრაქტის ხელმოსაწერად ოდო მილანში გუშინ ჩავიდა. „ლაციოს" აწ უკვე ყოფილი კაპიტნის მილანური დებიუტი შეიძლება, უკვე ხვალ „მილანი"-„რომას" სათასო შეხვედრაში შედგეს.


ოდო და კაკა თანაგუნდელები გახდნენ

ტოტენჰემი. ტრანსფერები

# დაფი 7 მილიონად

## საუთჰემპტონელი ბეილი მამლებმაც მოიკითხეს

"ტოტენჰემმა" 7 მილიონი გირვანქა გაამზადა ნიუკასლელი **დემიენ დაფის** სანაცვლოდ. "მამლების" თავკაცი **მარტინ იოლი** მარცხენა ფლანგის გაძლიერებას ცდილობს და 27 წლის ირლანდიელი საუკეთესო კანდიდატად მიაჩნია. "ტოტენჰემი" დაფის ხელში ჩაგდებას გასულ ზაფხულსაც ცდილობდა, როცა "ჩელსიმ" ფეხბურთელის გაყიდვა გადაწყვიტა, მაგრამ დემიენმა გულშემატკივართა განაწყენება არ ისურვა და ერთი ლონდონური კლუბიდან მეორეში გადასვლას ჩრდილოეთით გამგზავრება არჩია. "ნიუკასლმა" მასში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ჯორდებისთვის 2 მილიონის გაკეთება ურიგო ვარიანტი არ უნდა იყოს.

ამასობაში, "მამლებმა" "საუთჰემპტონის" ახალგაზრდა მცველი **გარეთ ბეილიც** მოიკითხეს. მათ "წმინდანებს" 10 მილიონი გირვანქა შესთავაზეს და მოლაპარაკებები წამოიწყეს. ერთი კვირის წინ "საუთჰემპტონმა" "მანჩესტერ იუნაიტედის" 8-მილიონიანი შეთავაზება უარყო, 17 წლის ფეხბურთელს კი ახალი კონტრაქტი და კვირაში 4 ათასი გირვანქა შესთავაზა. ბეილმა, რომლის დღევანდელი ხელშეკრულება 18 თვეში იწურება, ამ შეთავაზებაზე თავაზიანი უარი განაცხადა. გარეთი წამყვან ინგლისურ კლუბში ტრანსფერს უმიზნებს. "მანჩესტერისა" და "ტოტენჰემის" გარდა, მისი შეძენა "არსენალსაც" სურს.

ახალი კონტრაქტი

# მანსინი რომას უერთგულებს

## ბრაზილიელი ტოტის შეურიგდა და კონტრაქტის გაგრძელებას აპირებს

**ამანტინო მანსინი** მზად არის „რომასთან" კონტრაქტის გასაგრძელებლად. *„აქ თავს მშვენივრად ვგრძნობ და არც ფრანჩესკო ტოტისთან მაქვს რაიმე პრობლემა"* – ამბობს ბრაზილიელი. ცოტა ხნის წინ იტალიურ პრესა დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ მანსინის კაპიტანთან უთანხმოება ჰქონდა და სეზონის ბოლოს „რომადან" აბარგდებოდა. იმასაც წერდნენ, „ინტერია" ჩასაფრებული და შანსს ხელიდან არ გაუშვებსო. მაგრამ გარემარბი ამბობს, რომ პირადი გაუგებრობები წარსულს ჩაბარდა. *„ტყუილია, თითქოს სეზონის ბოლოს კლუბის ხელმძღვანელობასთან მისვლას და გაშვების მოთხოვნას ვაპირებდე. „რომაში" ბედნიერი ვარ და წასვლის არანაირი სურვილი არ მაქვს* – თქვა 26 წლის ბრაზილიელმა „კორიერე დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში – *კლუბთან კონტრაქტი 2009 წლამდე მაკავშირებს და ვამაყობ, რომ „რომას" ფეხბურთელი ვარ. გაზეთებში უამრავი ისტორია წავიკითხე, მაგრამ მინდა, ერთხელ და სამუდამოდ განვმარტო, რომ კონტაქტი არცერთ სხვა კლუბთან არ მქონია. რომში თავს კარგად ვგრძნობ და არსად წასვლა არ მინდა. გარდა ამისა, კლუბსა და ჩემს აგენტს ერთმანეთთან ბრწყინვალე ურთიერთობა აქვთ. მალე ხელმძღვანელობას შევხვდები და კონტრაქტის განახლებაზე ვისაუბრებთ. პრობლემა ტოტისთან? ორი წლის უკან რაღაც საკითხზე კამათი გვქონდა, მაგრამ მას შემდეგ ამის თაობაზე აღარც გვილაპარაკია. ახლა ყველაფერი საბოლოოდ გავარკვიეთ, პრესის ცნობები, თითქოს ერთმანეთთან მოედანზე ვიჩხუბეთ, სრულიად უსაფუძვლოა."*

იტალიური მედიის ცნობებით, მანსინის უკმაყოფილების მიზეზი ისიც იყო, რომ კლუბი მას 18 თვის წინ ხელფასის მომატებას დაპირდა, მაგრამ დანაპირები დღემდე არ შეუსრულებია. *„მე მითხრეს, რომ ხელფასს მომიმატებდნენ* – თქვა ბრაზილიელმა – *იმედი მქონდა, რომ ეს საკითხი მალე მოგვარდებოდა, თუმცა პრობლემა არ არის, აუცილებლად გამოვნახავთ საერთო ენას."*

ინტერვიუს დასასრულს მანსინიმ „რომას" საჩემპიონო შანსებზეც ისაუბრა: *„ვერ უარვყოფ, რომ „ინტერთან" 11-ქულიანი ჩამორჩენა, ძალიან დიდია, მაგრამ ჩვენ არ დავნებდებით და ბოლომდე ვიბრძოლებთ. მხოლოდ თასებზე კონცენტრირებას არ ვაპირებთ, ჩემპიონატის ყველა შეხვედრასაც მაქსიმალური მონდომებით ჩავატარებთ, როგორც ამას დღემდე ვაკეთებდით."*

### ბლექბერნის ამბები

"ბლექბერნმა" "ბირმინგემის" ნახევარმცველი **დევიდ დანი** შეიძინა. 27 წლის ფეხბურთელი "ბოლტონში" აპირებდა გადასვლას, მაგრამ "ვარდებმა" გაცილებით სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. დანი "ბლექბერნის" ყოფილი მოთამაშეა. ის "ბირმინგემში" 2003 წლის ზაფხულში 5.5 მილიონ დოლარად გაყიდეს. ამჯერად მის სანაცვლოდ მხოლოდ 2.2 მილიონს გადაიხდიან. ბოლო ორ დღეში "ბლექბერნმა" **ლუკას ნილი** "ვესტ ჰემში" გაყიდვა და ლივერპულელ **სტივ უორნოკს** გაუფორმა კონტრაქტი.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია **მარკ ჰიუზის** გუნდის შესახებ. "მანჩესტერ სიტი"-"ბლექბერნის" მატჩში (0:3) სტუმართა მცველმა **ანდრე ოოიერმა** ფეხი მოიტეხა. იმავე საღამოს ფეხბურთელს ოპერაცია გაუკეთეს და შვებულება გამოუწერეს. ოოიერმა ტრავმა "სიტის" იტალიელ თავდამსხმელ **ბერნანდო კორადისთან** შეჯახებისას მიიღო. 32 წლის ფეხბურთელი "ბლექბერნში" გასულ ზაფხულს "ეინდჰოვენიდან" გადავიდა. პსვ-ში გატარებული 10 სეზონის შემდეგ მან ინგლისელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

### ბერნაბეუს სასჯელი ემუქრება

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ "რეალს" ფინანსური სანქცია გამოუწერა. მიზეზი "ბეტისთან" სათასო მატჩისას მომხდარი ინციდენტია. გვერდით მსაჯს, რომელმაც სამეფო კლუბს ორი ბურთი არ ჩაუთვალა, ტრიბუნიდან ბოთლები დაუშინეს. ერთი ბოთლი მას მკლავში მოხვდა, თუმცა სერიოზულად არ დაშავებულა. მთავარმა მსაჯმა **მეხუტო გოსალესმა** მატჩი დროებით შეწყვიტა. სამართალდამცველებმა წესრიგი სწრაფად აღადგინეს. ფედერაციის გადაწყვეტილებით, თუ მსგავსი ინციდენტი განმეორდება, "სანტიაგო ბერნაბეუს" დისკვალიფიკაცია არ ასცდება. იმასაც შეგახსენებთ, რომ "რეალი" "ბეტისთან" ვერაფერს გახდა (1:1) და სტუმრად გატანილი გოლის წყალობით, მეოთხედფინალისტის საგზური სევილიელებს დარჩათ.

ინტერვიუ ლიონელ მესისთან

# 10 თებერვლისთვის დავბრუნდები

## არგენტინელ ვარსკვლავს ბარსელონიდან ფიზმომზადების სპეციალისტი ესტუმრა, მამამისმა კი სავარჯიშოდ ტყის მასივი დაუქირავა

**ცოტაც და ლეო მესი ფეხბურთს დაუბრუნდება. როგორც იცით, მან ფეხი მოიტეხა და სამ თვეზე მეტ ხანს მკურნალობდა. "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ ახალგაზრდა ვარსკვლავს უფლება მისცა სარეაბილიტაციო კურსი სამშობლოში გაიაროს. როსარიოში მესისთან სამუშაოდ კატალონიური გრანდის ფიზმომზადების ერთ-ერთი სპეციალისტი ხუანხო ბრაუ გაამგზავრეს. ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ამ კაცს ერთადერთი ამოცანა დაეკისრა. მან ფორვარდის ვარჯიშის სტრატეგია უნდა განსაზღვროს. როგორც გაირკვა, ლეო დამჯერი პაციენტია. ის ყველა მითითებას უსიტყვოდ ასრულებს. ბარსელონელს ახლა ერთი საფიქრალი აქვს. მოედანს ის რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს.**

**- ლეო, "ბარსელონის" ღირსებას როდის დაიცავთ?**

- ამ კითხვას უამრავი ადამიანი მისვამს. ვისაც არ უნდა შევხვდე, მეკითხება, მოედანზე როდის გიხილავთო. იმედია, 10 თებერვალს "რასინგთან" მატჩში ვიასპარეზებ. თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება, ამ დროისთვის სრულიად გამოჯანმრთელებული ვიქნები.

**- ახლა როგორ გრძნობთ თავს, ფეხი აღარ გტკივათ?**

- არა, ტკივილი აღარ მაწუხებს, თუმცა სრული დატვირთვით ვარჯიში ჯერჯერობით მაინც არ შეიძლება. როგორც ტრავმატოლოგები მეუბნებიან, შეხორცებული ძვალი ჯერაც მყიფეა. კიდევ ორი კვირაა საჭირო იმისთვის, რომ ძვალმა თავისი სტრუქტურა აღიდგინოს.

**- ოდნავ უცნაურია, რომ "ბარსელონის" ხელმძღვანელობამ არგენტინაში სენიორ ბრაუ გამოგაყოლათ. იქნებ უმჯობესი ყოფილიყო კატალონიაში დარჩენილიყავით.**

- ფეხბურთელებს იმდენად დატვირთული რიტმი გვაქვს, რომ ახლობლების ნახვას თვეების განმავლობაში ვერ ვახერხებთ. მოტეხილი ფეხის მკურნალობას ასი დღე სჭირდებოდა. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, ბარსელონაში ვიყავი და ექიმებს ვესინჯებოდი. შემდეგ უკვე საშუალება მომეცა, სამშობლოში წავსულიყავი. ხოლო მას შემდეგ, რაც სირბილის შესაძლებლობა გამიჩნდა, "ბარსელონის" შეფებმა როსარიოში ხუანხო გამოამგზავრეს. ეს მათი მხრიდან კეთილი ნების ჟესტი იყო. ნება დამრთეს, ოჯახის წევრებთან ერთად კიდევ რამდენიმე დღე გამეტარებინა. სენიორ ბრაუ კი ხელფასს ჩვეულებრივად იღებს. საცხოვრებლისა და საკვების პრობლემა, რა თქმა უნდა, არ აქვს, რადგან ის ჩემი სტუმარია.

**- რიიკაარდი თუ გეხმიანებათ ხოლმე?**

- ცხადია, ყოველდღე არ მირეკავს. ეს არც არის საჭირო. თუმცა ფრანკს უყურადღებობასაც ვერ დავწამებ. სხვათა შორის, ამასწინათ დამირეკა და ძალიან გამახალისა. დიდი იმედი აქვს, რომ ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე სასურველ კონდიციებს აღვიდგენ. მოგეხსენებათ, "ლივერპულთან" მატჩს ძალიან დიდი ფასი აქვს.

**- ექიმები რას ეუბნებიან?**

- არწმუნებენ, რომ "ლივერპულთან" ფლეი ოფამდე ასი პროცენტით მზად ვიქნები. რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ გაუთვალისწინებელი რამ არ მოხდება.

**- ბრაუ რას ამბობს, დიდია იმის შანსი, რომ ტრავმა გაიმიზეზოთ?**

- ის აქ სწორედ იმიტომ ჩამოვიდა, რომ საამისო საფრთხე გამოირიცხოს. ინდივიდუალურად, სპეციალისტების ზედამხედველობის გარეშე რომ მევარჯიშა, იოლი შესაძლებელი იქნებოდა, ფეხი ზედმეტად დამეტვირთა და საქმე გამერთულებინა. ხუანხო ბრაუ უდიდესი პროფესიონალია. ის ყოველთვის ხვდება ვარჯიში როდის უნდა შეწყვიტოს.

**- რამდენად ინტენსიურ და ნაყოფიერ ვარჯიშებს ატარებთ?**

- ჯერჯერობით მხოლოდ დავძუნძულებ და ბურთით მარტივ ილეთებს ვაკეთებ. ვფიქრობ, 3-4 დღეში სწრაფად სირბილიც შემეძლება. ახლა აუცილებელია, რომ ფიზიკური კონდიციები გავიუმჯობესო. ბურთთან ურთიერთობა კი არასოდეს მიჭირდა. ჩვეული კონდიციების დასაბრუნებლად, ალბათ, 10-12 დღე დამჭირდება. ამასობაში, 10 თებერვალიც მოვა. თუ რიიკაარდი საჭიროდ ჩათვლის, "რასინგს" მთელი ძალით შევუტევ. ბუნებრივია, "ლივერპულამდე" თუ სათამაშო პრაქტიკა არ შევიძინე, საჩემპიონთალიგო დაპირისპირებაში მონაწილეობას ვერ მივიღებ. ეს გარემოება ჩვენს მწვრთნელებს კარგად აქვთ გაცნობიერებული. მჯერა, პრიმერა დივიზიონში მალე დავბრუნდები, შემდეგ კი "ლივერპულის" დროც დადგება.

**- "ლივერპული" უკვე რამდენჯერმე ახსენეთ. გულთმისნობა არ არის საჭირო იმის მისახვედრად, რომ ჩემპიონთა ლიგას უდიდეს იმედებს უკავშირებთ.**

- რა თქმა უნდა. ჩვენ ყველაფერი უნდა ვიღონოთ იმისთვის, რომ ტიტული შევინარჩუნოთ. ეს კიდევ უფრო დიდი გამარჯვება იქნება. იმედია, მე და სამუელ ეტოო "ბარსას" მნიშვნელოვან დახმარებას გავუწევთ. თავს არ ვიქებ, მაგრამ მიმაჩნია, რომ ჩვენი დუეტი შეტევას საგრძნობლად გააძლიერებს. რონალდინიოსთან ერთად სასწაულებს გავაკეთებთ (იცინის).

**- "ბარსელონის" ბოლოდროინდელ კრიზისზე რას გვეტყვით?**

- ღმერთმა ქნას, ყველა კრიზისი ამდენად მსუბუქი და უმნიშვნელო იყოს. ვგონებ, კრიზისი არასწორი კვალიფიკაციაა. უბრალოდ, ოდნავ წავიფორხილეთ და ახლა დაკარგულ პოზიციებს ვიბრუნებთ. წამყვანი ფეხბურთელების გამოჯანმრთელების შემდეგ უფრო იოლად გავალთ ფონს.

**- კვლავ ჩემპიონთა ლიგას დავუბრუნდები. "ლივერპულის" შესახებ რამდენად ამომწურავ ინფორმაციას ფლობთ?**

- "ლივერპული" ჩემთვის უცხო გუნდი არ არის, ინფორმაციების მოპოვება რიიკაარდის საქმეა. მე ერთადერთი მოვალეობა მექნება. თუ ჯანმრთელად ვიქნები და მოედანზე შემიშვებენ, გოლის გატანა უნდა ვცადო.

**- შანსებზე საუბარი, ალბათ, მეტისმეტად ადრეა.**

- რა თქმა უნდა. იქამდე ერთი თვეა დარჩენილი. ამ დროში ბევრი რამ შეიძლება შეიცვალოს.

**- მაინც რა ცვლილებების მომსწრენი შეიძლება გავხდეთ?**

- ყველაზე დიდ საფრთხეს ისევ და ისევ ტრავმებში ვხედავ. თუ ბიჭები ჯანმრთელები იქნებიან, "ლივერპულს" აუცილებლად დავამარცხებთ. ბენიტესის გუნდს ჯეროვნად ვაფასებ. არ მინდა იფიქროთ, რომ მათ მასხარად ვიგდებ. უბრალოდ, გულწრფელად მწამს, "ბარსელონა" გაცილებით ძლიერი კლუბია.

**- "რეალმა" "ბარსასთან" არსებული ჩამორჩენა ამოქაჩა. სევილიელებთან და მადრიდელებთან ერთად პირველ ადგილს იყოფთ. თქვენთვის ეს რამდენად მოსალოდნელი იყო?**

- "სევილიამ" და "რეალმა" ჩვენ მიერ ქულების დაკარგვით ისარგებლეს. დიახ, ახლა სამივე გუნდს თანაბარი მონაგარი აქვს, მაგრამ მერწმუნეთ, ოთხშაბათის შემდეგ "ბარსა" წინ გაიჭრება. "ბეტისთან" გამოტოვებულ შეხვედრას აუცილებლად ჩემი მეგობრები მოიგებენ.

**- "ბარსელონა" ზამთრის ჩემპიონია. სტატისტიკას თუ გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ უმეტეს შემთხვევაში, კატალონიურ გრანდს საქმე საბოლოო გამარჯვებამდე მიჰყავდა. როგორ გგონიათ, ეს უბრალო დამთხვევაა, თუ სტატისტიკურ მონაცემებს მართლაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება?**



ლეო მესი ინტენსიურად ვარჯიშობს

- კარგია, როცა იცი, რომ წინა წლებში ზამთრის ჩემპიონობა პრიმერა დივიზიონში გამარჯვებით გვირგვინდებოდა. ამაზე ფიქრი ფსიქოლოგიური წნეხისგან გათავისუფლებს. თუმცა, მეორე მხრივ, უნდა ვაღიაროთ, რომ ყოველი ახალი სეზონი წინამორბედისგან განსხვავებული და დამოუკიდებელია. ანუ, ყველაფერი თავიდან დავიწყეთ და ჩემპიონობას კონკრეტულ მატჩებში გამარჯვებით უნდა მივაღწიოთ.

**- თქვენი აზრით, "სევილიას" ბოლომდე საბრძოლველად ძალა არ ეყოფა? სხვათა შორის, სპეციალისტთა დიდი ნაწილი უკვე დარწმუნებით ამბობს, რომ პირველობისთვის "ბარსელონა" და "რეალი" იომებენ.**

- შესაძლოა, ასეც მოხდეს. თუმცა, "სევილიის" ნაადრევად ჩამოწერა დიდ შეცდომად მიმაჩნია. ანდალუსიელებმა ბოლო დროს სერიოზული პროგრესი განიცადეს. მათ ნებისმიერ წუთს შეუძლიათ სიურპრიზი შემოგვთავაზონ.

**- თქვენს მშობლიურ ქალაქში უამრავი თაყვანისმცემელი გყავთ. ფანებისგან თავის დაცვას როგორ ახერხებთ?**

- ვცდილობ, არავის ვაწყენინო და ავტოგრაფზე გული არ დავწყვიტო. "როსარიოს" საწვრთნელ ბაზაზე ვარჯიში არაეთიკური იქნებოდა. ამიტომ მამაჩემმა ტყის მასივი დამიქირავა. დაცვის სამსახური შესანიშნავად მუშაობს. ყოველ შემთხვევაში, ჩემამდე უცხო პირებს ჯერ არ მოუღწევიათ. ულამაზეს ბუნებაში სუფთა ჰაერზე ვვარჯიშობ. ამაზე კარგი რა უნდა იყოს?

**- თავად აღნიშნეთ, რომ სრული დატვირთვით ჯერ ვერ ემზადებით. შესაბამისად, თავისუფალი დრო უხვად გექნებათ. ხომ არ გაგვიმხელთ, როგორ ატარებთ მას?**

- დატვირთული დღის განრიგი ნამდვილად არ მაქვს. დაახლოებით 11 საათზე ვიღვიძებ, ვსაუზმობ და შემდეგ მანქანით ხუანხო ბრაუსთან ერთად სავარჯიშოდ ტყეში მივდივარ. ნაშუადღევს სახლში ვბრუნდები და ნათესავებთან ერთად ვლაზღანდარობ. მიყვარს ბიძაშვილის შვილებთან თამაში. ისინი პატარები და საყვარლები არიან. ზოგჯერ მეგობრებს ვსტუმრობ, ხან ისინი მოდიან ჩემთან. მშობლებს არ უნდათ, რომ დიდი ხნით გავიდე გარეთ, რადგან ყოველთვის მონატრებული ვყავარ. საღამოს ტელევიზორს ვუყურებ და დაძინების წინ წიგნებს ვკითხულობ.

**- თამაშებს ვერ ნახულობთ?**

- სამწუხაროდ, დასავლეთ ნახევარსფეროში სატელიტური ანტენით ფასიან ესპანურ არხებს ვერ დაიჭერ, მაგრამ სამაგიეროდ, აქაური საკაბელო ტელევიზია მაქვს. მართალია, ყოველთვის "ბარსელონის" თამაშებს არ აჩვენებენ, მაგრამ მიმოხილვებითა და სიუჟეტებით, ფაქტობრივად, ამომწურავ ინფორმაციას ვიღებ.

**- არგენტინის ნაკრების მესვეურებს ხომ არ უნახიხართ?**

- ალფიო ბასილე მირეკავს ხოლმე. ერთხელ პრეზიდენტი შემეხმიანა. ვგრძნობ, რომ "ალბისელესტეს" ხელმძღვანელობა ყოველმხრივ მენდობა.

**- სავიოლამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. რა თქმა უნდა, იცით, რომ "ხიმნასტიკთან" წინა ტურის მატჩში ხავიერმა ანგარიში გახსნა. მანამდე მან სათასო შეხვედრებშიც იხეირა. რას გვეტყვით თქვენი მეგობრის ამ გასაოცარ პროგრესზე?**

- მისი მაშინაც მჯეროდა, როცა ყველაზე რთული პერიოდი ედგა. სავიოლას არავინ ენდობოდა, მე კი დარწმუნებული ვიყავი, თუ დატოვებდნენ, თავის სიტყვას აუცილებლად იტყოდა. სხვათა შორის, ამის შესახებ რიიკაარდს ვესაუბრე და მოსაზრებები გულწრფელად გავუზიარე.

**- საინტერესო ამბავი გავიგე. რიიკაარდი სავიოლას დატოვებაზე თქვენ ხომ არ დაითანხმეთ?**

- არა, რას ამბობთ. სენიორ ფრანკი ყველაფერს თავად წყვეტს. მე, უბრალოდ, ჩემი აზრი გავუზიარე.

**- როგორ ფიქრობთ, შეძლებს სავიოლა ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრებას?**

- შეუძლებელი არაფერია. მით უმეტეს, ისეთი ნიჭიერი ადამიანისთვის, როგორიც ხავიერია.

ილია ნიკოლაიშვილი

### რატომ დააპატიმრეს გლენ ჯონსონი?

"პორტსმუთის" მცველმა **გლენ ჯონსონმა** ერთი საღამო საპყრობილეში გაატარა. 22 წლის ფეხბურთელი სანტექნიკის მაღაზიიდან ონკანისა და და უნიტაზის დასაჯდომის მოპარვის მცდელობისთვის დაიჭირეს. ჯონსონი "ჩელსის" საკუთრებაა და "პორტსმუთში" ერთწლიანი იჯარით თამაშობს. პოლიციამ მას 80 გირვანქის გადახდა დააკისრა და თავდებით გაათავისუფლა. დანაშაულის მომენტში ჯონსონს "მილუოლის" თავდამსხმელი **ბენ მეი** ახლდა. შეგახსენებთ, გლენი პირველი ფეხბურთელი იყო, რომელიც **რომან აბრამოვიჩმა** "ჩელსიში" მისვლის შემდეგ შეიძინა. 2003 წლის ივლისში "ვესტ ჰემს" მის სანაცვლოდ 6 მილიონი გირვანქა გადაუხადეს.

### ბოკა ხუნიორსის ორი მარცხი

გასულ უქმეებზე "რივერ პლეიტმა" "ბოკა ხუნიორსთან" ამხანაგური მატჩი გამართა და 2:0 მოიგო. "ბოკაში" ახალი მწვრთნელის **მიგელ ანხელ რუსოს** კარიერა უფერულად დაიწყო. ორი დღით ადრე მისმა შეგირდებმა კიდევ ერთი თამაში წააგეს - 0:1 "ინდეპენდიენტესთან". "რივერი" მეორე ტაიმის მესამე წუთზე დაწინაურდა. მეტოქის მცველებმა ბავშვური შეცდომა დაუშვეს, რითაც კოლუმბიელმა თავდამსხმელმა **რადამონ ფალკაომ** ისარგებლა. მეორე გოლი 63-ე წუთზე კუთხურის გათამაშებას მოჰყვა. მცველებს ისევ ჩაეძინათ და უმეთვალყურეოდ დატოვებულმა **დიეგო გალვანმა** თავური დარტყმით შეაგდო.

### ლიონს დიარა გამოაკლდა

"ლიონის" ნახევარმცველი **ალუ დიარა** ორი თვე ვერ ითამაშებს. ის გასულ ოთხშაბათს "ლე მანთან" ლიგის თასის ნახევარფინალში (1:0) დაშავდა. დიარას ბარძაყის კუნთი აქვს გაწყვეტილი და ხანგრძლივი მკურნალობა სჭირდება. ლიონელებმა ეს ფეხბურთელი გასულ ზაფხულს "რეალში" გაყიდული **მაჰამადუ დიარას** ნაცვლად "ლანსიდან" შეიძინეს.

### ევერტონი ბომბარდირის გარეშე

კვირას, "ევერტონმა" "ვიგანს" 2:0 მოუგო და სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გამოისწორა. ლივერპულელებმა მე-7 ადგილზე გადაინაცვლეს და უეფას თასის ზონისაგან ახლა მხოლოდ 2 ქულა ჰყოფთ. საბრალო "ვიგანმა" პრემიერლიგაში ზედიზედ მეშვიდე თამაში წააგო და აუტსაიდერ კლუბებს გაუმეზობლდა. ზემოხსენებულ მატჩში "ევერტონის" წამყვანმა თავდამსხმელმა **ენდი ჯონსონმა** კოჭი იღრძო. ის გუნდს მინიმუმ ორი თვე ვერ დაეხმარება.

### ატლეტიკო ძლიერდება

"ატლეტიკომ" პირველი საიანვრო ტრანსფერი გაჩარხა. მადრიდელებმა "ტრაბზონსფორიდან" **ფაბიანო ელერი** გადაიბირეს. ბრაზილიელი ნახევარმცველი მილიონი ევრო დაჯდა და "ვისენტე კალდერონზე" სულ მცირე ერთ წელს გაატარებს. იმ შემთხვევაში, თუ ის ხელმძღვანელობას თავს მოაწონებს, ახალ ორწლიან შეთავაზებას მიიღებს. "როხიბლანკო" მიღწეულით არ კმაყოფილდება. **ენრიკე სერესო** ახლა ოსერელი **აკალას** საკითხზეც მუშაობს. დაუდასტურებელი ინფორმაციით ესპანელები ფრანგ კოლეგებს 2.5 მილიონ ევროს სთავაზობენ.

### კეპა ვესტ ჰემში წავიდა

ხანგრძლივი მოლაპარაკებები დასრულდა. "სევილიამ" გამოუსადეგარი ფეხბურთელი **კეპა** "ვესტ ჰემს" ათხოვა. ლონდონში ის სეზონის ბოლომდე ითამაშებს და ამ ხნის განმავლობაში 600 ათას ევროს მიიღებს. ივნისში მხარეები მოლაპარაკებათა მაგიდას კიდევ ერთხელ მიუსხდებიან და ფორვარდის მომავალზე იმსჯელებენ. იოლი შესაძლებელია, "ჩაქუჩებმა" კეპა საბოლოოდ გამოისყიდონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ხელბურთი. ევრო 2008

# დანაკლისი და მოკლე სკამი

**მერაბ მეტრეველი: ნაკრებში მხოლოდ მაშინ დავრჩები, თუ ამ გუნდისადმი დამოკიდებულება ბევრად უფრო სერიოზული იქნება. სხვა შემთხვევაში, ჩემს მუშაობას კი არა, ნაკრების არსებობას არა აქვს აზრი!**



ნაკრების კაპიტანი გიორგი ქობელაშვილი



მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი

**საქართველოს ხელბურთელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი ცუდად დაასრულა. ფლეიოფში გასვლის შანსი ხომ საწყის მატჩებშივე დაკარგა და ბოლო მატჩის წააგო ბულგარეთში, რითაც ქვეჯგუფში ბოლო ადგილზე გავიდა.**

**ბულგარული მატჩის შესახებ მხოლოდ ანგარიში გაცნობეთ. უფრო დეტალურად კი ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მერაბ მეტრეველი.**

ჩვენც და ბულგარელებიც ბოლო მატჩს საკმაოდ გადაღლილები შევხვდით, რაც თამაშის ხარისხსაც ეტყობოდა. პირველ ტაიმში მინიმალური სხვაობით მივყავდა ანგარიში, მაგრამ ბოლო წამებზე მასპინძლებმა გაგვითანაბრეს და შესვენებისას ტაბლოზე ფრე ენთო - 10:10.

მეორე ტაიმშიც კვლავ ერთი ბურთით ვიგებდით, მაგრამ მერე გვქონდა ხუთწუთიანი ჩავარდნა და ხუთი უპასუხო ბურთი გავუშვით. ბევრი ვეცადეთ ჩამორჩენის აღმოფხვრას, ერთ მომენტში ორი ბურთითაც შევამცირეთ ანგარიში, მაგრამ ძალა არ გვეყო და მაინც წავაგეთ - 21:24.

საქართველოს ნაკრებიდან კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა მეკარე შოთა თევზაძემ. ასევე კარგად გამოიყურებოდა ვლადიმერ რუსია, რომელმაც ცხრა გოლი გაიტანა. სასტარტო შემადგენლობაში დავაყენეთ ლევან ბერძენიშვილი, რომელიც თავიდან მშვენივრად ირჯებოდა, მაგრამ მერე დაიღალა და შევცვალე. მთელი მეორე ტაიმში ვათამაშე დავით ფორაქიშვილი, რომელიც საკმაოდ ნორმალურად გამოიყურებოდა. დაცვაში გამოვარჩევდი ომარ ყიფიანსაც. მინდა შევაქო გუნდის კაპიტანი გიორგი ქობელაშვილიც, რომელმაც ექვსივე მატჩში სტაბილური იყო და ჩავარდნა, ფაქტობრივად, არ ჰქონია.

**- სერგეი კირილოვით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- კირილოვის ჩამოყვანა უპირველეს ყოვლისა, იმიტომ გვჭირდებოდა, რომ დაცვაში არსებული ნაპრალი ამოგვევსო. შეიძლება ითქვას, რომ სერგეიმ საკუთარ მოვალეობას მშვენივრად გაართვა თავი. მართალია, თავიდან ცოტა გაუჭირდა გუნდთან შეწყობა, მაგრამ ადაპტაცია მალე გაიარა და ბოლო ორ მატჩში უკვე საბოლოოდ შეწყობილი ჩანდა გუნდთან. შეტევაში დატვირთვა და ბევრი გოლის გატანა კი მისი საქმე არაა - კირილოვი არ გახლავთ ისეთი სტილის ხელბურთელი, რომ დაცვაშიც კარგად ითამაშოს და ბევრი გოლიც გაიტანოს.

**- მთლიანობაში, რა დაგანახათ ამ საკვალიფიკაციო ეტაპმა, რა პერსპექტივა აქვს საქართველოს ნაკრებს?**

- უპირველეს ყოვლისა, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა სამი წამყვანი ხელბურთელის დანაკლისს. პირველი მატჩის შემდეგ კი დაშავდა რატი მსხვილიძეც, რომელიც მერე ველარ გამოვიყენეთ. თავდაპირველად, იმედი გვქონდა, რომ ყველა ჩამოვიდოდა და ტაქტიკის დიდი ნაწილი სწორედ სერგო დათუკიშვილზე, ტიტე კალანდაძესა და გარი თურქიაზე უნდა აგვეწყო. ლევან გელაშვილს, ალექსანდრე ბოყოჩაძეს და კიდევ რამდენიმე ხელბურთელს 10-15 წუთი უნდა ეთამაშათ ხოლმე, რათა ლიდერები დაესვენებინათ და ახალი ენერგია შეეტანათ მოედანზე. თუმცა, ისე მოხდა, რომ ერთბაშად სამი წამყვანი ხელბურთელის დაკარგვის გამო, მათ დაგეგმილზე გაცილებით მეტი ხნით თამაში მოუწიათ, რისთვისაც მზად არ აღმოჩნდნენ. შესაბამისად, შეტევაში თუ ნორმალურად გამოვიყურებოდით, დაცვაში ყველა მატჩში გაგვიჭირდა.

თანამედროვე ხელბურთი ისეთი ტემპებით ვითარდება და ისეთ სისწრაფეებზეა გათვლილი, რომ გუნდში თოთხმეტივე ხელბურთელი თანაბარი ძალის უნდა გყავდეს. ჩვენ კი ასეთი ფუფუნების საშუალება არ გვქონდა - ექვსივე მატჩმა, ძირითადად, 7-8 ხელბურთელზე გადაიარა. სწორედ მოკლე სათადარიგოთა სკამის ბრალია, რომ ბოლო მატჩებში რამდენიმე ხელბურთელი საკმაოდ გადაღლილად გამოიყურებოდა, ამას კი მუდამ მოსდევს ხოლმე შეცდომები.

**- ნაკრებში დარჩენა-არდარჩენის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას როდის მიიღებთ?**

- ამის შესახებ საქართველოს ხელბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას დაველაპარაკები. სანამ ლეგიონერები აქ არიან, ნაკრები კვლავ აგრძელებს ვარჯიშს. თუმცა როცა უფრო შორეულ გეგმებზეა საუბარი, ჯერ უნდა დავფიქრდე. ნაკრებში მხოლოდ იმ შემთხვევაში დავრჩები, თუკი ამ გუნდისადმი მიდგომა მომავალში გაცილებით სერიოზული და გლობალური იქნება. სხვა შემთხვევაში, ჩემს მუშაობას კი არა, ნაკრების არსებობას საერთოდ არ აქვს აზრი.

**კობა ხატისაშვილი**

**21 იანვარი. გაბროვო**

**ბულგარეთი-საქართველო 24:21**

**საქართველო:** თევზაძე, სამყურაშვილი; **რუსია (9), ქობელაშვილი (4), კობახიძე (2), ჭანტურია (1), გელაშვილი (3), ფორაქიშვილი (1), კირილოვი (1), ყიფიანი, ბერძენიშვილი, ტალახაძე, ნიკოლაიშვილი, ნივწივაძე**

Handball euro 2008

**შესარჩევი ტურნირი**

I ჯგუფი: **ბელარუსი - 6 ქულა, სლოვაკეთი - 4** / კვიპროსი - 2, მოლდოვა - 0; II ჯგუფი: **სერბეთი - 9, მაკედონია - 9** / ისრაელი - 6, ლუქსემბურგი - 0; III ჯგუფი: **რუმინეთი - 12, ლიტვა - 8** / ბულგარეთი - 2, საქართველო - 0; IV ჯგუფი: **ჩერნოგორია - 11, ჰოლანდია - 7** / ავსტრია - 6, ფინეთი - 0; V ჯგუფი: **შვეიცარია - 12, ლიტვა -6** /იტალია - 4, თურქეთი -2; VI ჯგუფი: **პორტუგალია - 6** / საბერძნეთი - 6, ესტონეთი - 0; VII ჯგუფი: **შვედეთი - 8** / ბოსნია - 4, ბელგია - 0

**ფლეი ოფის განთესვა**

I კალათა: **ჩეხეთი, უნგრეთი, ისლანდია, პოლონეთი, სლოვენია, უკრაინა** (მერჩევიდან თავისუფალი იყვნენ); II კალათა: **ბელარუსი, ჩერნოგორია, პორტუგალია, რუმინეთი, შვეიცარია, შვედეთი, სერბეთი;** III კალათა: ლიტვა, მაკედონია, ლატვია, სლოვაკეთი, ჰოლანდია

**ფინალური ტურნირი**

17-27 იანვარი, 2008, ნორვეგიაში. მონაწილეობს 16 გუნდი. პირდაპირ ფინალურ ეტაპზე არიან დაშვებულნი: **ხორვატია, დანია, ესპანეთი, საფრანგეთი, გერმანია, ნორვეგია, რუსეთი**

## ჩოგბურთი

### სუსტი მეტოქე

**ავსტრიაში,** ზალცბურგის გარეუბან ბერგაიმში ერთმანეთის მიყოლებით ორი "ფიუჩერსი" გაიმართა, უფრო ზუსტად პირველი დასრულდა და მეორე, რომლის საპრიზო ფონდი მხოლოდ 10 ათასი დოლარია, დაიწყო. პირველში საქართველოს მეორე ჩოგანმა **ლადო ჩიხლაძემ** მერვედფინალში წააგო და ახლა ბედს ცდის მეორე ტურნირში, რომელიც პირველის მსგავსად ბერგაიმის ხალიჩაზე იმართება. პირველ წრეში ლადოს ადგილობრივი მეტოქე ეყოლება, ავსტრიელ **ფილიპ იელინეკს** ორგანიზატორებმა უაილდ ქარდი მისცეს. ურეიტინგო იელინეკი უკვე 24 წლისაა და გაუგებარია რა მოსაზრებით გამოარჩიეს ის ტურნირის მასპინძლებმა. ვფიქრობთ, მისი დამარცხება საქართველოს მეორე ჩოგანს არ უნდა გაუჭირდეს.



მაკა ჩახნაშვილი

### წლის პირველი გამარჯვება

იტალიურ კაპრიოლოში (25 ათასი დოლარი) მოგებით დაიწყო ასპარეზობა მე-3 ნომრად განთესილმა ქართველმა **მაკა ჩახნაშვილმა**, ეს მისი პირველი გამარჯვება 2007 წელს. კაპრიოლოს ტურნირის (ხალიჩა) პირველ წრეში მაკამ გერმანელი **ანგელიკა რიოში** (380) დაამარცხა, რომელიც ერთ დროს მსოფლიოს მოწინავე ასეულის წევრი იყო, - 6:3, 6:4. მეორე წრეში ჩახნაშვილი 28 წლის ბრიტანელ **ამანდა ლინს** (234) შეხვდება. წყვილთა თანრიგში მაკა, გერმანელ **ტატიანა მალეკთან** (135) ერთად, ტურნირის მეოთხედფინალშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## მძლეოსნობა

### ქევხიშვილი კვლავ პირველია

მძლეოსნობა. აშშ-ში გრძელდება სტუდენტ მძლეოსანთა შეჯიბრებების ციკლი. გუშინ ბირთვის მკვრელ ქალთა შორის კვლავ ისახელა თავი ქართველმა სტუდენტმა, საქართველოს ნაკრების წევრმა, ათენის ოლიმპიადის მონაწილემ, **მარიამ ქევხიშვილმა**.

ამას წინათ ვიტყობინებოდით, რომ მარიამმა 32 მეტოქეს აჯობა და პირველმა მოიპოვა შედეგით - 16 მ. ამ ინფორმაციის მოწოდებისას მისმა თბილისელმა მწვრთნელმა, **ყარამან საბანაშვილმა** გვითხრა, რომ სტუდენტთა შემდეგ შეჯიბრებაზე ჩვენი სპორტსმენი 16-მეტრიან ზღვარს უთუოდ გადალახავდა. *"ახლა მიზანი მიღწეულია, მარიამმა ბირთვი 16 მეტრსა და 9 სანტიმეტრზე გადააგდო და კვლავ პირველი იყო. შემდეგი შეჯიბრება შაბათს გაიმართება".* - გვაცნობა გუშინ საბანაშვილმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# კაცური კაცი კი არა, გუნდური გუნდი!

## სტატისტიკის მიხედვით, ნაკრები შეუთამაშებელია

გასულ კვირას, მანუჩარ მარკოიშვილის დღიურების გაშიფვრისას, არაერთხელ მომინია მისი სტატისტიკის გადაქექვა. პარასკევს ციფრების ძიებაში საინტერესო რამ აღმოვაჩინე - მანუს ევროლიგაზეც (12 მატჩი) და ადრიატიკის თასზეც (17 მატჩი) ქულათა ერთნაირი საშუალო მაჩვენებელი ჰქონდა - 9.8. დამთხვევაც ამას ჰქვიაო, ჯერ არ თქვათ. ეს დასაწყისია. გამიჩნდა სურვილი მენახა მანუჩარის სასექტემბრო-სანაკრებო მონაგარი. მაინტერესებდა, "ოლიმპიაში" მეტი სიზუსტით ისვრის, თუ საქართველოს ნაკრებში. აქაც - 9,8! (თუ არ გჯერათ, შეამოწმეთ ფიბა-ევროპის ოფიციალურ საიტზე - www. Fibaeurope.com).

შემთხვევით არაფერი ხდება. არც მარკოიშვილის ადრიატიკული, ევროლიგური და სანაკრებო მონაგარის დამთხვევაა შემთხვევითობა. ეს მიუთითებს მოთამაშის სტაბილურობაზე, ხოლო 10 ქულამდე ვერც ერთ შემთხვევაში რომ ვერ ადის, ამის მიზეზი არა მანუს უზუსტობაა (საშუალოდ ორქულიანი ტყორცნების 50 პროცენტზე მეტს იყენებს), არამედ მისი გარჯის სპეციფიკა - ის "ოლიმპიაშიც" და ნაკრებშიც გუნდზე თამაშობს, ხშირ შემთხვევაში მეტოქეთა მთავარ მექულეებს მეთვალყურეობს.

მივადექით მთავარს - შეთამაშებას, რის გარეშე ვერც ფინეთს მოვუგებთ ოდესმე და ვერც იმ მწვერვალამდე მივაღწევთ, საითაც ნერაქვმომარჯვებულები მივიწევთ - ევროპის ჩემპიონატამდე.

თუნდაც ავსტრია-საქართველოს მატჩის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ ჯერ ერთ მუშტად შეკრულები არ ვართ: მეტოქის შეზღუდვას თავიდან გუნდური თამაშით ვცდილობდით, მაგრამ როცა მივხვდით, რომ ასე განწირულები ვიყავით, ერთი კაცი, ზაზა ფაჩულია ათამაშდა და მატჩი მარტომ მოიგო. არადა, აწყობილ გუნდში ერთი კი არა, 8-9 კაცი თამაშობს...

ასეთი მსჯელობა ძალიან შორს წაგვიყვანს. რადგან საუბარი ციფრებით დავიწყეთ, დღეს სტატისტიკის ენაზე ვილაპარაკოთ.



### ქულა

ნაკრებისა და "აზოტის" მწვრთნელმა **დავით უსტიაშვილმა** გუნდური თამაშის სტატისტიკური განსაზღვრება ერთ-ერთ ინტერვიუში მოგვცა: *"თუ დააკვირდებით, "აზოტის" კალათბურთელებს თითქმის ერთნაირი ქულათა მონაგარი აქვთ - 5-6 კაცი 10-15 ქულის ფარგლებში მერყეობს. სწორედ ეს მიუთითებს იმაზე, რომ გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული და მოგება-წაგება ერთ კალათბურთელზე არაა დამოკიდებული".*

საქართველოს ნაკრებში პირიქითაა - **ზაზა ფაჩულიასა** და მეორე სნაიპერს შორის დიდი ზღვარია: ზაზა 4 მატჩში საშუალოდ 22 ქულას აგროვებდა, **ტაირონ ელისი** - 12.

ევროპის ჩემპიონატამდე 2 წელიწადია, რაც საკმარისი დროა შესათამაშებლად. თუ შედეგი გვინდა, ევრო-2009-ზე საქართველოს ნაკრების 5-6-მა კალათბურთელმა 10-15 ქულის ფარგლებში უნდა იმერყეოს. **გიორგი ცინცაძე** 4.3-ის ნაცვლად 12.5 ქულას უნდა აგროვებდეს...

სწორედ 12.5 ქულა უწერია „ბუს" ბალტიის თასის საშუალო მონაგარში. სხვათა შორის, ევროტურნირებზე მოასპარეზე ჩვენიანების ქულებს, ზაზა ფაჩულიას NBA-ური და შიდა ჩემპიონატში მოასპარეზე ეროვნულის წევრების სანაკრებო მონაგარი რომ შევაჯამოთ, მივიღებთ 79.8-ს. ოთხი მატჩის მიხედვით ჩვენი ნაკრების საშუალო მაჩვენებელია - 78.8. ანუ, ლეგიონერებმა ისევე რომ ითამაშონ, როგორც კლუბებში, ეროვნული გუნდი ჯამში მაინც საშუალოდ 79 ქულას ჩააგდებს, რაც გუნდური თამაშის პირველი ნიშანია. შედარებისთვის ცხრილებს გადახედეთ.

### მოხსნა

რას მიგვითითებს მოხსნები? პირველ რიგში - ბრძოლისუნარიანობასა და საშუალო სიმაღლეზე. ამ მხრივ საწუწუნო არაფერი გვაქვს - სექტემბერში გამართულ ოთხივე მატჩში მეტოქეებს მოხსნების რაოდენობით საგრძნობლად ვაჯობეთ. მხოლოდ სიმაღლე და ბრძოლისუნარიანობა საქმეს რომ შველოდეს, აქამდე B დივიზიონში არ ვიყურყუტებდით.

### პასი

პასების რაოდენობა გუნდურ თამაშთან პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია - რაც მეტია შედეგიანი გადაცემა, გამოდის, რომ მით უკეთაა სისტემა აწყობილი.

ცხრილებზე დაკვირვებით საინტერესო შედეგებს ვიღებთ: ევროთასებზე ქართველები 18.1 შედეგიან გადაცემას აკეთებენ. მაშინ, როცა ეროვნულ ნაკრებში იგივე მაჩვენებელი 13-ს არ სცილდება.

### ჩაჭრა

თუკი პასი შეტევაში გუნდის გამართული თამაშის ინდიკატორია, დაცვაში იმავე ფუნქციას ჩაჭრა ასრულებს. ერთდროულად სასაცილო და სატირალი ფინეთში "მოგროვილი" ჩაჭრების რაოდენობაა - 1. ხოლო, სამარცხვინოა ლუქსემბურგ-ირლანდია-ავსტრია-ფინეთთან მატჩებში ჩაჭრების გუნდური საშუალო მაჩვენებელი - 8.0.

ნორმალური გუნდი მეტოქეს მინიმუმ 11-ჯერ მაინც უნდა ართმევდეს ბურთს. სწორედ ჯამურ 11.0 ჩაჭრას აგროვებენ ნაკრების წევრები თავის კლუბებში.

### წუთი

როცა გუნდი საათივითაა აწყობილი, ერთი ჭანჭიკი მეორეს უმტკივნეულოდ ჩაენაცვლება. სწორედ ნაკრების გაუმართაობის ბრალი იყო, ევროთასზე 25.6 წუთს მოთამაშე **ვატო ნაცვლიშვილმა** ავსტრიასა და ფინეთში მოედანზე თითო წუთი რომ გაატარა. ვატოს ბედი გაიზიარეს **ვიქტორ სანიკიძემ, გიორგი ცინცაძემ, დავით უგრეხელიძემ...**

ქულების თანაბრად გადასანაწილებლად აუცილებელია წუთებიც მეტნაკლებად თანაბრად გაიყოს.

### დაველოდოთ...

სტატისტიკაზე დაყრდნობით, შევეცადე ყურადღება ეროვნული ნაკრების მთავარ ნაკლზე, შეუთამაშებლობაზე გამემახვილებინა. შემადგენლობაც ნორმალური გვყავს და მწვრთნელთა შტაბიც, კალათბურთელებს ბრძოლაც ეხერხებათ და ერთმანეთის გატანაც. ჰოდა, კაცური კაცობა მაშინ უფრო დაფასდება, თუ ევრო-2009-სთვის "გუნდური გუნდი" გვეყოლება...

**ვაჟა სიმონიშვილი**

**საკლუბო სტატისტიკა**

| | წთ | მ | პ | ჩ | შ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია (ატლანტა, NBA) | 29.2 | 6.7 | 1.7 | 1.1 | 2.3 | 3.6 | 12.7 |
| ტაირონ ელისი (ნაპოლი, ევროლიგა) | 24.3 | 2.4 | 3.3 | 1.5 | 2.3 | 2.8 | 8.6 |
| ვლადიმერ ბოისა (მონტეპასკი, ულები) | 18.1 | 1.8 | 0.5 | 1.0 | 1.0 | 2.0 | 6.0 |
| მანუ. მარკოიშვილი (ოლიმპია, ევროლიგა) | 29.4 | 3.2 | 1.2 | 1.4 | 1.4 | 3.7 | 9.8 |
| ნიკა ცქიტიშვილი* | 16.6 | 5.3 | 0.5 | 0.5 | 1.0 | 1.5 | 7.3 |
| გიორგი ცინცაძე (როკი, ბალტიის თასი) | 30.9 | 4.0 | 4.9 | 2.1 | 3.6 | 2.5 | 12.5 |
| ვიქტორ სანიკიძე (სტუდიანტესი, სუპერთასი) | 8.8 | 1.3 | 0.5 | 0.2 | 0.7 | 1.0 | 2.5 |
| ვატო ნაცვლიშვილი (დიჟონი, სუპერთასი) | 25.6 | 5.4 | 1.0 | 1.3 | 1.4 | 3.8 | 12.1 |
| დავით უგრეხელიძე (აზოტი)* | 4.0 | 0.5 | 0 | 0 | 0 | 0.5 | 3.0 |
| გიორგი შერმადინი (მაკაბი)* | 3.0 | 2.0 | 0 | 0 | 1.0 | 0 | 2.5 |
| ლაშა გამყრელიძე (აზოტი)* | 20.7 | 1.5 | 4.0 | 1.1 | 2.2 | 1.5 | 1.8 |
| ანატოლი ბოისა (აზოტი)* | 11.5 | 1.5 | 0.5 | 0.8 | 0.5 | 2.0 | 1.0 |
| შენიშვნა: * მოცემულია სანაკრებო შედეგები | | 35.6 | 18.1 | 11.0 | 16.4 | 24.9 | 79.8 |

**სანაკრებო სტატისტიკა**

| მოთამაშე | წთ | მ | პ | ჩ | შ | ფ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | 30.0 | 9.3 | 0.8 | 1.5 | 4.0 | 3.3 | 22.0 |
| ტაირონ ელისი | 30.5 | 4.0 | 3.0 | 1.0 | 1.5 | 2.8 | 12.0 |
| ვლადიმერ ბოისა | 27.5 | 4.8 | 1.0 | 0.5 | 3.0 | 2.0 | 11.0 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 24.0 | 3.5 | 0.8 | 0.8 | 2.2 | 0.5 | 9.8 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 16.6 | 5.3 | 0.5 | 0.5 | 1.5 | 1.0 | 7.3 |
| გიორგი ცინცაძე | 12.8 | 1.5 | 1.1 | 0.5 | 1.1 | 1.5 | 4.3 |
| ვიქტორ სანიკიძე | 19.0 | 4.8 | 0.8 | 1.0 | 1.8 | 1.0 | 4.3 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | 4.8 | 1.5 | 0.5 | 0 | 1.5 | 0 | 2.8 |
| დავით უგრეხელიძე | 4.0 | 0.5 | 0 | 0 | 0.5 | 0 | 3.0 |
| გიორგი შერმადინი | 3.0 | 2.0 | 0 | 0 | 0 | 1.0 | 2.5 |
| ლაშა გამყრელიძე | 20.7 | 1.5 | 4.0 | 1.1 | 1.5 | 2.2 | 1.8 |
| ანატოლი ბოისა | 11.5 | 1.5 | 0.5 | 0.8 | 2.0 | 0.5 | 1.0 |
| | | 37.5 | 13.0 | 8.0 | 21.0 | 15.2 | 78.9 |

კოლეგები

# აკინძული წელიწადი



ოთარ მელვინეთუხუცესი და დავით კაკაბაძე

გუშინ, საღამოს, თი-ბი-სი ბანკის სარიტუალო დარბაზში გაიმართა პრეზენტაცია სულ ახლახან დასტამბული წიგნისა "თავისუფლების" დღიურები 2006", რომლის პროექტის ავტორია რადიო "თავისუფლების" ქართული სამსახურის დირექტორი, წარსულში ცნობილი სპორტული ჟურნალისტი **დავით კაკაბაძე**. წიგნი მას **თამარ ჩიქოვანთან** ერთად შეუდგენია, კონცეფცია და დიზაინი ეკუთვნის **პაატა ნაცვლიშვილს** (დაიბეჭდა მისსავე გამომცემლობაში), რედაქტორია ვეტერანი ლელოელი **ცისანა ნიკოლაიშვილი**.

ესაა დღიურების კრებული. "წელიწადში 52 კვირაა. "თავისუფლების" დღიურებსაც 2006 წლის მანძილზე 52 ავტორი ჰყავდა" - ვკითხულობთ კაკაბაძის წინასიტყვაობაში. დღიურებად აკინძული შარშანდელი წელიწადის ერთი კვირა სპორტის ზამთრის სახეობებში პირველ ოლიმპიელ ქალს, **სოფიკო ახმეტელს** ეთმობა, მაისის ერთ კვირას კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის, **ნოდარ ახალკაცის** დღიური ავსებს.

ამ ორიგინალურმა გამოცემამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დღიურს, როგორც ლიტერატურულ ჟანრს, თავისი ღირსება გააჩნია და ყავლი არ გასვლია.

# ვალენტინა კლიმოვა



საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 75 წლისა გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების მედალოსანი, სპორტის ოსტატი სპორტულ ტანვარჯიშში, ერთ-ერთი უხუცესი მწვრთნელი, ვალენტინა კლიმოვა.

1948-60 წლებში იყო საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი. საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და თასის მფლობელი. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი, მუშაობდა კიდეც სპეციალობით, მაგრამ საბოლოოდ მაინც მწვრთნელობა აირჩია.

იგი ეკუთვნის მწვრთნელთა იმ კატეგორიას, რომელთაც აღზარდეს თვალსაჩინო სპორტსმენთა თაობები, ისინი წარმატებით იცავდნენ საქართველოს სპორტულ ღირსებას საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ვ. კლიმოვას აღზრდილია 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონი, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული და პრიზიორი ნინა დრონოვა. ვ. კლიმოვამ 1996 წლიდან ბატუტზე ხტომაში დაიწყო მწვრთნელად მუშაობა. დიდი წვლილი შეიტანა ახალგაზრდებში მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის, ლუბა გოლოვინას აღზრდა-დაოსტატებაში.

საუკეთესო პედაგოგის, მაღალკვალიფიციური პროფესიონალი მწვრთნელის, უკეთილშობილესი ადამიანის, ვალენტინა კლიმოვას ხსოვნა დიდხანს დარჩება მისი აღზრდილებისა და მეგობრების ხსოვნაში.

საქართველოს
ტანვარჯიშის სახეობათა
ეროვნული ფედერაცია

გიორგი ეგნატაშვილის სახელობის ტანვარჯიშის სახეობათა ოლიმპიური მზადების ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში, ღირსების მედლის კავალერი, მრავალი სპორტის ოსტატისა და საერთაშორისო სპორტის ოსტატის აღმზრდელი ვალენტინა კლიმოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

## კრივი

საპრეზიდენტო ბრძოლა

# ხვალ, კინო რუსთაველში

### შონია-ჭილაია რინგზე და როკი 6 ეკრანზე!

გუშინ საკმაოდ საინტერესო ინფორმაციას გადავაწყდით ერთ-ერთ საკრივო ვებგვერდზე: "25 იანვარს, თბილისის კინოთეატრ "რუსთაველში" გაიმართება ორთაბრძოლა პროფესიულ კრივში UBO-ს (კრივის უნივერსალური ორგანიზაცია) ქამრისთვის. ტიტულისთვის იბრძოლებენ საშუალო წონითი კატეგორიის წარმომადგენელი ქართველები - ლევან შონია და ვეფხია ჭილაია. შონიას პროფესიულ რინგზე 9 მოგება და 2 წაგება აქვს, ჭილაიას კი 16 გამარჯვება და 2 მარცხი. ორთაბრძოლის პრომოუტერია მამუკა ბაკურია".




რაღა თქმა უნდა, ინფორმაცია საქართველოს პროფესიული კრივის ფედერაციაში გადავამოწმეთ. გენერალურმა მდივანმა **ზურაბ კიკნაველიძემ** გვითხრა:

- მართალია, 25 იანვარს ნამდვილად გაიმართება ეს ორთაბრძოლა კინოთეატრ "რუსთაველში". ამ დღეს გადის ახალი ფილმი "როკი-6" და რადგან ფილმი კრივზეა, "რუსთაველის" ხელმძღვანელობამ დარბაზში საკრივო განწყობის შექმნისთვის შემოგვთავაზა შონია-ჭილაიას ბრძოლის იქ ჩატარება. 15 საათზე დაიწყება შონიასა და ჭილაიას ათრაუნდიანი ორთაბრძოლა, რომელსაც მოჰყვება "როკი-6"

**- როგორ მოახერხეთ ამ ბრძოლის საქართველოში ჩატარებაზე თანხმობის მიღება?**

- UBO -ს ხელმძღვანელობასთან საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს. მათ გადახედეს საკუთარი ვერსიით მოკრივეთა მონაცემებს და აღმოაჩინეს, რომ შონიასა და ჭილაიას საკმაოდ კარგი რეიტინგი ჰქონდათ და შეიძლებოდა, ქამრისთვის ეჩხუბათ. რადგან ორივე ქართველი იყო, UBO-მ თავადვე შემოგვთავაზა - რაღა შორს იარონ, საქართველოშივე იბრძოლონო. რა თქმა უნდა, სიამოვნებით დავთანხმდით...

**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**კობა ხატისაშვილი**

12-16 თებერვალს, ვერის პარკში

# სალიცენზიო წელია. უშეცდომოდ, მსაჯებო!

### შერჩევა საქართველოს ჩემპიონატიდან იწყება

საქართველოს კრივის ფედერაცია სალიცენზიო წლისთვის გულმოდგინედ ემზადება. პეკინის ოლიმპიური თამაშების პირველი ლიცენზიები ამა წლის 15-30 სექტემბერს, მოსკოვში, მსოფლიო ჩემპიონატზე გათამაშდება. ამ ტურნირზე თითოეულ წონით კატეგორიაში 8-8 საუკეთესო მოკრივე პეკინის საგზურს გაინაღდებს, დარჩენილი ლიცენზიები კი გათამაშდება 2008 წელს, რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე.

ოლიმპიური საგზურის მოპოვება ყველაზე მარტივი მაინც მსოფლიო ჩემპიონატზეა. იქ ხომ მეოთხედფინალში გასვლა უკვე პეკინში მოხვედრას ნიშნავს. აი, სალიცენზიო ტურნირებზე კი ზოგჯერ ნახევარფინალისტობაც არ კმარა.

საქართველოს კრივის ფედერაციისა და ეროვნულის ხელმძღვანელობამ ეს კარგად იცის და საქმე რომ არ გაირთულოს, მსოფლიო ჩემპიონატზევე აპირებს დაგეგმილი 2-3 ლიცენზიის მოპოვებას. მართალია, მოსკოვში პლანეტის უძლიერესი მოკრივეები მოიყრიან თავს და თითოეული ორთაბრძოლის მოგება ურთულესი საქმე იქნება, მაგრამ კარგი წილისყრის შემთხვევაში, შეუძლებელი არაფერია.

სასურველ წილისყრაში კი იმას ვგულისხმობთ, რომ ჩვენს მოკრივეებს მეოთხედფინალამდე მაინცდამაინც მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები არ უნდა შეხვდნენ. არაფერს ვამბობთ მსაჯობაზე. მსოფლიოს სამოყვარულო კრივში რუსები დომინირებენ და ისინი ყველაფერს ილონებენ, რომ მოსკოვშივე რაც შეიძლება მეტი საგზური მოიპოვონ. ამისათვის არც მსაჯების მოქრთამვას მოერიდებიან. ვერ გეტყვით, ამჯერად როგორ იქნება, მაგრამ ათენის ოლიმპიადის წინ, კრივში სალიცენზიო შეჯიბრებებზე ნამდვილი აღებ-მიცემობა მიდიოდა და ერთი ლიცენზია მინიმუმ, 5000 დოლარი ღირდა...

რაც შეეხება საქართველოს ნაკრების მოსამზადებელ ეტაპს, იგი ჩამოყალიბების პროცესშია. საქართველოს კრივის ფედერაცია ჯერ გადახედავს ტურნირებსა და საკუთარ ფინანსურ შესაძლებლობებს და მერე გადაწყვეტს, რომელ საერთაშორისო ტურნირებზე გაუშვას გუნდი. წლის პირველი დიდი ღონისძიება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იქნება, რომელიც გაიმართება 12-16 თებერვალს.

თავდაპირველად, მისი ჩატარება იგეგმებოდა გურჯაანში, მაგრამ ბოლოს მაინც თბილისში, ვერის ბაღის კალათბურთის სასახლეში გადმოიტანეს. შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა უძლიერესი მოკრივე და როგორც კრივის ფედერაციის ხელმძღვანელობა გვპირდება, ტურნირი უმაღლეს დონეზე იქნება ორგანიზებული.

რაკილა საქართველოს ჩემპიონატი პირველი დიდი ნაბიჯი იქნება მსოფლიო ჩემპიონატზე წამსვლელი გუნდის დაკომპლექტებაში, კრივის ფედერაცია და ნაკრების ხელმძღვანელობა აპირებს, მაქსიმალურად ობიექტური იყოს. ამიტომაც, ყოველგვარი შეცდომების თავიდან ასაცილებლად, მსაჯებისგან აქედანვე კატეგორიულად ითხოვენ, რომ უხეში შეცდომები გამორიცხონ და არავინ დაჩაგრონ. ნებისმიერი არბიტრი, რომლის შეცდომაც ორთაბრძოლის შედეგზე იმოქმედებს, მკაცრად დაისჯება.

საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტებული გუნდი ჯერ აქ გაივლის შეკრებას, მერე კი საერთაშორისო შეჯიბრებებზეც იასპარეზებს და სექტემბრამდე საბოლოოდ ჩამოყალიბდება ის შემადგენლობა, რომელიც მოსკოვში წავა.

**კობა ხატისაშვილი**

## ფლორბოლი



# ყვანჯები იატაკზე!

### საქართველოს ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონატის გამართვას აპირებს

ერთ-ერთ რუსულ სპორტულ ვებგვერდზე საიტზე გუშინ საინტერესო, თუმცა უცნაური ინფორმაცია ამოვიკითხეთ - "საქართველოს ფლორბოლის ფედერაცია მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობას აპირებს". იქვე დაზუსტებულია, რომ ჩვენი ქვეყანა მხოლოდ C დივიზიონის დონეზე გასამართი მსოფლიო პირველობის მასპინძლობის კანდიდატია.

და მაინც, ჩვენში ძალიან ბევრს თვით სპორტის ამ სახეობის არსებობა პირველად ესმის. ამის შესახებ ცნობილი ფლორბოლის საერთაშორისო ფედერაციის (IFF) აღმასკომის ბოლო სხდომაზე გახდა, რომელიც იანვრის დასაწყისში შვედეთის ქალაქ ვარბერგში ჩატარდა. ჩვენებს უდაბლეს დივიზიონში მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის გარდა, ევროპის თასის ერთ-ერთი ეტაპის გამართვაც საქართველოში სურთ.

ფლორბოლი, იგივე დარბაზის ჰოკეი საკმაოდ ბევრ ქვეყანაშია პოპულარული. გუნდები 6-6-ზე ეთამაშებიან ერთმანეთს, მოთამაშის იარაღი ყვანჯია, ბურთი ჩოგბურთისაზე ოდნავ დიდია და უკეთესი "ფრენისთვის" 26 ნასვრეტი აქვს. ფლორბოლი ყველაზე პოპულარული შვედეთში, ფინეთსა და შვეიცარიაშია. სპორტის ეს სახეობა გასული საუკუნის 50-ან წლებში აშშ-ში ჩაისახა. IFF 1986 წელს შვედეთში დაარსდა. ასე რომ, ფლორბოლი შედარებითრ ახალი, მაგრამ მზარდი სახეობაა.

საქართველო საერთაშორისო ფედერაციაში 2002 წელს გაწევრიანდა, მაშინვე გაიმართა ჩვენი პირველი ეროვნული პირველობა. გუნდების უმეტესობა ქუთაისშია, ფედერაციაც ამ ქალაქშია გახსნილი.

ვაჟთა შორის მსოფლიო ჩემპიონი შვედეთია, ქალებში - შვეიცარია. 2006 წლის თებერვალში IFF-მ საქართველოს ფლორბოლის ფედერაციას დისკვალიფიკაცია მისცა - მიზეზი 2005 წლის ქალთა მსოფლიო პირველობაზე ჩაუსვლელობა იყო. თუმცა, როგორც ჩანს, ამ მხრივ სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა. ვაჟთა A და B დივიზიონებში მსოფლიოს ათ-ათი მოწინავე ნაკრებია, C-ში კი, სავარაუდოდ, 8-12 ნაკრები მოგროვდება, ჩემპიონატი 2008 წელს უნდა ჩატარდეს. ამ დივიზიონში სხვებთან ერთად ესპანეთის, სლოვაკეთის, კანადისა და საფრანგეთის ნაკრებები ირიცხებიან.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჭადრაკი

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა

# ტრიო ტანდემად იქცა

გახურდა საქართველოს ჩემპიონატის პირველი ლიგა ქალთა შორის. 4 ტური მიილია. ერთი ამდენიც და ცოტა მეტიც - 5 დარჩა ფინიშამდე. როგორც წესი, ამ დროისთვის აუტსაიდერებიც და ლიდერებიც ასე თუ ისე გამოკვეთილია. ვინ იბრძოლებს უმაღლესი ლიგის 6 საგზურისთვის?

მეორე ტურამდე უდანაკარგოდ სამი მოჭადრაკე მიიწევდა წინ: **სოფიკო ხუხაშვილი, ინგა ჭარხალაშვილი და ბელა ხოტენაშვილი.** ამ სამიდან მეხუთე ტურში ხოტენაშვილი და ხუხაშვილი ერთმანეთს ხვდებოდნენ, ჭარხალაშვილი კი შავებით **სალომე ხაჟომიას** უნდა დაპირისპირებოდა.

პირველ დაფაზე თამაში ლიდერთა შესაფერისი გამოვიდა, ხუხაშვილის უპირატესობით წარიმართა და მისივე გამარჯვებით დასრულდა.

ჭარხალაშვილი ხაჟომიასთან აშკარა ფავორიტი იყო და დაამტკიცა კიდეც სტატუსი - შეძლო ახალგაზრდა მეტოქის დამარცხება, დღეს კი უკვე ნამდვილი "საჩემპიონო" ბრძოლა გადახდება, "საფეხბურთო ენაზე" თუ ვიტყვით, ნაადრევი ფინალის მოწმენი გავხდებით. მართალია, არც ინგა და არც სოფო უმაღლესი რეიტინგის მფლობელნი არ არიან, მაგრამ უპირველეს ფავორიტობას თამაშის ხარისხით იმსახურებენ. ვინც პირველია რეიტინგით, თამაში არ მისდის - **თამარ წერეთელს** მხოლოდ 2.5 ქულა აქვს.



სოფიკო ხუხაშვილი



ინგა ჭარხალაშვილი

სათანადოდ სხვებიც ვერ ირჯებიან, ისინი ვისგანაც მეტს ელოდნენ - **სოფიკო ნიკოლაძე, მირანდა მიქაძე, სოფიკო გურამიშვილი**... სხვებისგან განსაკუთრებით გამოსარჩევი **ანა ბუცხრიკიძე** და **ელისაბედ ზარქუა** არიან: ბუცხრიკიძემ გუშინ შავებით გურამიშვილი დაამარცხა და 3 ქულა გაუხდა. ზარქუამ თეთრებით ყაიმით ითამაშა **სოფიკო ტერელაძესთან** და 2.5 ქულა დააგროვა. შეგახსენებთ, რომ ელისაბედმა პირველ ტურში, მაკა ფურცელაძე დაამარცხა. ფურცელაძემ მეოთხე ტურში **ლელა უგულავას** მოუგო შავებით.

მკითხველის ყურადღებას გავამახვილებთ ახალი თაობის კარგ თამაშზე - 12-15 წლის გოგონები თამამად ებრძვიან და პრობლემას უქმნიან უფროსებს. ერთადერთი, რაზეც გული გვწყდება, მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონს ასაკობრივ ჯგუფებში, **მერი არაბიძეს** არ უმართლებს და მხოლოდ ქულანახევარი აქვს. არაბიძეს ალბათ ხელი არ ექნება ჩაქნეული და საკუთარ ძალას მალე გამოაჩენს, თუმცა ფაქტი ერთია - ის ალბათ ველარ მოხვდება უმაღლეს ლიგაში...

ამის შანსი რეალურად პირველ ათ დაფაზე მოთამაშეებს აქვთ: ეს ოცეული მეხუთე ტურისთვის ასე დაწყვილდა: **სოფიკო ხუხაშვილი (4) - ინგა ჭარხალაშვილი (4); ანა ბუცხრიკიძე (3) - ბელა ხოტენაშვილი (3); მაკა ფურცელაძე (3) - ნინო ბაციაშვილი (3); მერი ჟორჟოლიანი (3) - ნათია ჯანჯღავა (3); ანა გავაშელი (2.5) - თამარ წერეთელი (2.5); სოფიკო ტერელაძე (2.5) - სალომე ხაჟომია (2.5); რუსუდან ჭკუასელი (2) - ელისაბედ ზარქუა (2.5); თეონა მესხი (2) - მირანდა მიქაძე (2); ლილე ცალუღელაშვილი (2) - სოფიკო გურამიშვილი (2); სოფიკო ნიკოლაძე (2) - ლელა უგულავა (2)**

**ზვიად შათირიშვილი**

## ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

# ძველებური სერენა



ვაიდიშოვა სერენას მომდევნო მეტოქეა

ავსტრალიის ღია პირველობაზე პირველი ნახევარფინალისტები გამოვლინდნენ. კაცების ბადეში, ფინალის საგზურისთვის ერთმანეთს დაუპირისპირდებიან შვეიცარიელი **როჯერ ფედერერი** და ამერიკელი **ენდი როდიკი**. ქალებში კი ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკელი **სერენა უილიამსი** და ჩეხი **ნიკოლ ვაიდიშოვა**.

ფედერერმაცა და როდიკმაც იოლად მოიგეს მეოთხედფინალური შეხვედრები. პირველმა ესპანელ **ტომი რობრედოს** მოუგო, მეორემ კი ტურნირს თავისივე თანამემამულე და მეგობარი, **მერდი ფიში** გამოთიშა. სერენას დიდი ბრძოლა გადახდა ისრაელის **შაჰარ პეერთან**, ვაიდიშოვამ კი იოლად დაამარცხა თანამემამულე **ლუსი საფაროვა**.

რაც ჩოგბურთი პროფესიული სპორტი გახდა, მას შემდეგ ფედერერი პირველია, ვინც დიდი სლემის ზედიზედ 11 ტურნირის ნახევარფინალში გავიდა. როდიკთან ურთიერთშეხვედრებში (ოფიციალურ ტურნირებზე) მას 13-დან 12 თამაში აქვს მოგებული. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ როდიკმა ზედ ავსტრალიის ღიას წინ, კოოინგის საჩვენებელ ტურნირზე შეძლო მსოფლიოს პირველი ჩოგნის დამარცხება, ვინც თითზე ჩამოსათვლელ თამაშებს აგებს.

მეოთხედფინალების წინ, ალბათ მხოლოდ რობრედოს მეგობრებს თუ სჯეროდათ, რომ ესპანელი ფედერერს გზას გადაუღობავდა. ნაწილობრივ, ეს მოლოდინი გამართლდა - რობრედომ სამ სეტში ოთხი ბრეიკის მოპოვება შეძლო და ეს დიდი მიღწევაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ შვეიცარიელი მაესტრო იმ თამაშებშიც კი, რომლებშიც მარცხდება, ბრეიკებს ასე იოლად არ არიგებს.

ფედერერმა მაინც მოიგო და თანაც ისე, რომ ამჯერადაც არ დაუთმია სეტი. მისი შეჩერება ძალიან ძნელია. მეტადრე, რომ ის შესანიშნავ ფორმაშია და მცირე პრობლემებს, როგორიც თავისი სერვის-გეიმის წაგებაა, მისთვის ტიტულის დაცვაში ხელის შეშლა არ შეუძლია. მისი შეჩერება მხოლოდ როდიკისა და ესპანელი **რაფაელ ნადალის** კალიბრის ჩოგბურთელებს შეუძლიათ. ჰოდა, როდიკიც ამისთვის მზადაა, მის თავდაჯერებულობას კი აუცილებლად გამოადგება კოოინგის ფინალში ფედერერის ძლევა.

*"სეტის წაუგებლად კი მოვიგე, მაგრამ გარწმუნებთ, ძალიან გამიჭირდა. კარგია, რომ ენდის ვხვდები. ჩვენ ყოველთვის საინტერესო მატჩები გვაქვს და ვიმედოვნებ, გამონაკლისი არც ამჯერად გვექნება. ის კარგ ფორმაშია, მეც იმაზე უკეთ ვთამაშობ, ვიდრე კოოიონგის ფინალში ვითამაშე. ასე რომ, საინტერესო მატჩი გველის"*, - განაცხადა ფედერერმა.

მისგან განსხვავებით, როდიკმა უპრობლემოდ განვლო მეოთხედფინალური ბარიერი. არადა, წინა ეტაპზე, მას ურთულესი ბრძოლა გადახდა ხორვატ **მარიო ანჩიჩთან**, რის შემდეგაც აღიარა, გამიმართლა, რომ მოვიგეო. სხვათა შორის, ხორვატი მეტოქე - **ივან ლიუბიჩიჩი** ფიშმაც დაამარცხა, ოღონდ პირველივე წრეში. მაგრამ ამჯერად ვერაფერი გააწყო როდიკის ყუმბარისებრი მოწოდების წინააღმდეგ და 87 წუთში დათმო შეხვედრა.

სერენა უილიამსი, ვისაც ავსტრალიის ღია ორჯერ (2003 და 2005 წლებში) აქვს მოგებული, ამჯერად განუთესავად თამაშობს, თუმცა ისე ეტყობა, ოდინდელი ფორმა აღუდგენია. თუმცა, კორტზე ძველებურად მაინც ველარ დომინირებს და აქცენტს მეტწილად კვლავ ძალისმიერ თამაშზე აკეთებს.

ამერიკელს ორი საათი და 34 წუთი დასჭირდა პეერის დასამარცხებლად. გაჭირვებით მოგებას ვინ ჩივის, როცა წაგებამდე ორი ქულალა აშორებდა. პეერს ნახევარფინალში გასვლის შესანიშნავი შანსი მესამე სეტში გაუჩნდა, თუმცა მისი გამოყენება ვერ შეძლო.

*"წაგება არ მიყვარს, ასპარეზობა კი ჩემი სტიქიაა. ზანტად მოქმედება არ მიყვარს. მნიშვნელობა არ აქვს, ჩოგბურთს ვთამაშობ, თუ ბანქოს. მაშინაც კი ვჩქარობ, როცა ავტოგრაფებს ვარიგებ"*, - განაცხადა სერენამ, ვინც ბოლო ორი სეზონია, ტრავმების გამო, ძველებურად ველარ ბრწყინავს და დიდი ხნის უთამაშებლობის შედეგად, რეიტინგშიც 81-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა.

მას ახლა დიდი სლემის მერვე ტიტულის მოპოვების შანსი გაუჩნდა, თუმცა ამბობს, რომ პირველ რიგში, სარეიტინგო პოზიციის გაუმჯობესებას აპირებს, რის შემდეგაც უფრო დიდ მიზნებსაც დაისახავს. თუმცა, დიდ გამარჯვებაზე უარს ნამდვილად არ იტყვის.

რაც შეეხება ვაიდიშოვას, ის ჯერ მხოლოდ 17 წლისაა და მისთვის დიდი სლემის ნახევარფინალში თამაშიც დიდი მიღწევაა, თუმცა ეს მისი მეორე სასლემო ნახევარფინალი იქნება. რა თქმა უნდა, ამით დაკმაყოფილებას არ აპირებს.

*"მე სერენას ფანი ვარ. 11 წლის რომ ვიყავი, მისი ვარჯიში ბოლეტიერის აკადემიაში ვნახე და მას შემდეგ, თამაშის მისებრი სტილის მიმდევარი გავხდი. მაგრამ ახლა ყველაფერი უნდა დავივიწყო. როცა დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალში თამაშობ, მხოლოდ მოგებაზე უნდა იფიქრო. მე უკვე დავივიწყე, რომ სერენას ბევრი დიდი ტურნირი აქვს მოგებული. ასე რომ, მის წინააღმდეგ ყოველგვარი შიშის გარეშე ვითამაშებ"*, - ამბობს ჩეხი მეჩოგნე, ვინც პირველად შარშან გაიბრწყინა მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ღიას გამოთიშა ფრანგი **ამელი მორესმო** და იმავე ტურნირის ნახევარფინალს მიაღწია.

**მერაბ ლორთქიფანიძე**

| კაცები. 1/4 ფინალი |
|---|
| **როჯერ ფედერერი (1)** - ტომი რობრედო (7) 6:3, 7:6(2), 7:5 |
| **ენდი როდიკი (6)** - მერდი ფიში 6:2, 6:2, 6:2 |

| ქალები. 1/4 ფინალი |
|---|
| **ნიკოლ ვაიდიშოვა (10)** - ლუსი საფაროვა 6:1, 6:4 |
| **სერენა უილიამსი** - შაჰარ პეერი (16) 3:6, 6:2, 8:6 |

## ველოსპორტი

დოპინგი

# პერეირო გაამართლეს

ველოსპორტის საერთაშორისო კავშირმა გაამართლა ტურ დე ფრანსის მეორეადგილოსანი, ესპანელი **ოსკარ პერეირო**, რომელსაც საფრანგეთის ტურზე ასპარეზობისას ჩატარებულ ტესტებზე სინჯში ორჯერ აღმოუჩინეს აკრძალულ პრეპარატ სალბუტამოლის ჭარბი შემცველობა. კავშირი თავის გადაწყვეტილებას იმ გარემოებით ხსნის, რომ ველომრბოლს აღნიშნული პრეპარატი ასთმის სამკურნალოდ სჭირდება და ამის თაობაზე, კავშირმა ადრეც იცოდა.

*"შარშანდელი ტურის დროს, მისი შარდის ანალიზში ამ პრეპარატის არსებობა დადგინდა. მაგრამ ამ სინჯების დროს გამოვლენილი შედეგები არ შეიძლება განხილულ იქნას, როგორც დოპინგსაწინააღმდეგო კანონის დარღვევა, რადგან პერეიროს სალბუტამოლის შემცველი წამლები ასთმის სამკურნალოდ სჭირდება და მას კავშირში შესაბამისი საბუთები წარმოდგენილი აქვს"*, - ნათქვამია კავშირის ოფიციალურ განცხადებაში.

იმავდროულად, კავშირის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ესპანელმა დაუდევრობა გამოიჩინა, როცა ტურის ორგანიზატორებსა და საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს შესაბამისი საბუთების წარდგენა დააგვიანა.

როგორც ირკვევა, პერეირო ასთმით ფიზიკური გადატვირთვის გამო დაავადებულა. მან ექიმების დასკვნა შარშანვე მიაწოდა ველოსპორტის საერთაშორისო კავშირის სამედიცინო სამსახურს, მაგრამ რატომღაც ჩათვალა, რომ ტურისწინა სამედიცინო გამოკვლევისას იგივეს გაკეთება საჭირო არ იყო. ტესტების შემდეგ, ტურის ორგანიზატორებმა პერეიროს ამ საბუთების მიწოდება მოსთხოვეს, მაგრამ ესპანელმა ეს მოთხოვნა რატომღაც "დაივიწყა".

სხვათა შორის, კავშირმა საფრანგეთის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტოს სთხოვა, თავი შეეკავებინა ამ თემის გახმაურებისგან, იმ მოტივით, რომ ახალი სკანდალი (რომელიც, როგორც მაშინვე ცნობილი იყო, რეალურად უსაფუძვლოა) მაგრამ ფრანგებმა თხოვნა ყურად არ ილეს.

შეგახსენებთ, რომ ტურის ამერიკელ ჩემპიონ **ფლოიდ ლენდისს** დოპინგის (ტესტოსტერონი) გამო დისკვალიფიკაცია ელის და ამ შემთხვევაში, ტურის ჩემპიონის წოდებას ავტომატურად პერეირო მიიღებს.

**მერაბ ლორთქიფანიძე**



## სხვადასხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

### ჰონდას პირველი ტესტი

გუშინ, "ჰონდამ" "სილვერსტოუნის" ტრასაზე ახალი ბოლიდის პირველი ტესტები გამართა. ახალმა მანქანამ სახელიც მიიღო და მას RA107 ჰქვია.

ახლა, ბოლიდს ბარსელონაში გააგზავნიან, სადაც ხუთშაბათს იაპონური გუნდის ოფიციალური პრეზენტაცია გაიმართება.

ამ ეტაპისთვის, 2007 წლის ჩემპიონატისთვის განკუთვნილი ბოლიდები შემდეგმა გუნდებმა წარმოადგინეს - "რენომ", "ფერარიმ", "მაკლარენმა", "ტოიოტამ" და "BMW-ზაუბერმა".

### რაიკონენი ფერარის საჭეს ეღირსა

სამშაბათს, იტალიის "ვალელუნგას" ტრასაზე, "ფერარიში" ფინელი პილოტის - **კიმი რაიკონენის** ოფიციალური დებიუტი შედგა. შეგახსენებთ, რომ "მაკლარენიდან" იტალიურ გუნდში გადასული კიმი დღემდე არ მჯდარა "ფერარის" ბოლიდის საჭესთან.

როგორც "როიტერი" იტყობინება, სამდღიანი ტესტების განმავლობაში რაიკონენი შარშანდელ მანქანაზე - 248F1-ზე იმუშავებს, ხოლო მისი ბრაზილიელი თანაგუნდელი **ფელიპე მასა** ახალ - F2007-ს გამოცდის.

კალათბურთი

### გასოლმა გაცვლა მოითხოვა

გაზეთი "ნიუ იორკ პოსტი" იუწყება, რომ "მემფისის" ესპანელმა ლეგიონერმა, **პაო გასოლმა** კლუბის ხელმძღვანელობას სხვა გუნდში გაცვლა მოსთხოვა. "გრიზლისის" ლიდერს სურს ისეთ კლუბში ითამაშოს, რომელსაც ფლეი ოფში მოხვედრის შანსი აქვს.

"მემფისის" გენერალური მენეჯერის - **ჯერი უესტის** განცხადებით, ესპანელი ცენტრის შეძენით სამი კლუბია დაინტერესებული. ერთ-ერთი მათგანი "ჩიკაგო ბულზი" გახლავთ. გაზეთი სანდო წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ "გრიზლისი" გასოლში **ბენ გორდონსა** და **ლუოლ დენგს** ითხოვს და იქვე წერს, რომ "ჩიკაგოს" ვიცე-პრეზიდენტი **ჯონ პაქსონი** ამ ტრეიდს უთანასწოროს უწოდებს.

### ჯეფერსონი საოპერაციოა

"ნიუ ჯერსი ნეტსის" მსუბუქი ფორვარდი **რიჩარდ ჯეფერსონი** უახლოეს ხანში საოპერაციო მაგიდაზე დაწვება. კლუბის ერთ-ერთმა ლიდერმა ჯერ კიდევ 10 ნოემბერს, "მაიამისთან" მატჩში მიიღო მარჯვენა ფეხის ტრავმა და აქამდე ტკივილგამაყუჩებლებით თამაშობდა. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანში დაუბრუნდება მოედანს ჯეფერსონი.

აქვე შეგახსენებთ, რომ სეზონის მსვლელობისას "ნეტსმა" სასტარტო ხუთეულის კიდევ ერთი წევრი - ცენტრალური თავდამსხმელი **ნენად კრსტიჩი** დაკარგა. სერბმა მუხლის ჯვარედინი მყესები გაიწყვიტა და სეზონის ბოლომდე გამოეთხოვა კალათბურთს.

### სიეტლს ახალი არენა სურს

"სიეტლ სუპერსონიქსის" მეპატრონე **კლეი ბენეტმა** ვაშინგტონის შტატის კანონმდებლებს კლუბისთვის 300 მილიონი დოლარის გამოყოფის თხოვნით მიმართა. "სიეტლის" ხელმძღვანელობას ეს თანხა ახალი არენის მშენებლობისთვის სჭირდება. "სონიქსის" ახალი სტადიონი დაახლოებით 560 მილიონი დოლარი დაჯდება და ამ პროექტში 260 მილიონის ჩადებას თავად ბენეტი აპირებს.

### ლებრონი ტრავმით თამაშობს

წინა ტურში "გოლდენ სტეიტთან" დაპირისპირებისას, "კლივლენდის" ლიდერმა, **ლებრონ ჯეიმსმა** 32 ქულა დააგროვა და ამას 7 მოხსნა, 5 პასი და 4 ჩაჭრაც დაურთო თან. არადა, იმ მატჩში ლებრონი ტრავმით თამაშობდა.

როგორც კალათბურთელი ამბობს, მას ბოლო ტურებში მარჯვენა მუხლი აწუხებს და მატჩების დროს ტკივილს გრძნობს. ლებრონის თქმით, პრობლემები მას ტყორცნების შესრულებისას ექმნება, თუმცა კალათბურთელი იქვე ამატებს, რომ ამ დაზიანების გამო მატჩების გამოტოვებას მაინც არ აპირებს და იმედი აქვს, ტკივილი სულ მალე აღარ შეაწუხებს.

მძლეოსნობა

### შებრლე შუბით დაჭრეს

ათჭიდში ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიო რეკორდსმენმა, ჩეხმა **რომან შებრლემ** კურიოზული ტრავმა მიიღო. სახელოვანი მძლეოსანი ახალი სეზონისთვის სამხრეთ აფრიკაში ემზადება და ერთ-ერთი ვარჯიშისას, ადგილობრივმა სპორტსმენმა მას მხარში შუბი მოარტყა.

საბედნიეროდ, დაზიანება სერიოზული არ აღმოჩნდა და ჩეხი ათჭიდელი ამ კვირას განაახლებს ვარჯიშებს.

### ტანუ სარბენ ბილიკს უბრუნდება

2006 წლის 22 დეკემბერს გაუვიდათ დისკვალიფიკაციის ვადა სკანდალურად ცნობილ ბერძენ სპრინტერებს - **კონსტანტინოს კენტერისსა** და **ეკატერინა ტანუს**. როგორც იცით, ეს სპორტსმენები ორწლიანი დისკვალიფიკაციით იმის გამო დასაჯეს, რომ მათ სამჯერ თქვეს უარი დოპინგ-ტესტის გავლაზე.

როგორც გუშინ ბერძენ ჟურნალისტებს ტანუმ განუცხადა, დისკვალიფიკაციის შემდეგ პირველი სტარტი მას საბერძნეთის ჩემპიონატში ექნება. 3 თებერვალს, 31 წლის სპრინტერი 60-მეტრიან დისტანციაზე მოსინჯვას ძალებს.

ტრამპლინიდან ხტომა

### მაზოჰა კომაშია

დღეს უნდა გაირკვეს ჩეხი ტრამპლინიდან მხტომელი **იან მაზოჰას** ბედი. როგორც იცით, პოლონეთის კურორტ ზაკოპანეში გამართული მსოფლიო თასის ეტაპის დროს, მაზოჰამ მეორე ცდის შესრულებისას, ძლიერი ქარის გამო ორიენტაცია დაკარგა და თავით დაეცა თოვლზე.

სპორსტმენი მძიმე ტრავმით კლინიკაში მოათავსეს. გადასარჩენად, ექიმებმა ის ხელოვნურ კომატოზურ მდგომარეობაში გადაიყვანეს. 21 წლის ჩეხს რამდენიმე ტესტს ჩაუტარებენ და ექიმები ამის შემდეგ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას.

ოლიმპიზმი

### ზალცბურგი 2014-ს პრობლემები შეექმნა

ზალცბურგი 2014-ის საორგანიზაციო კომიტეტი, დროებით თავმჯდომარის გარეშე დარჩა. ცნობილია, რომ ავსტრიის ეს ქალაქი 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის იბრძვის, მაგრამ ახლა ამის გაკეთება **ფედორ რადმანის** გარეშე მოუწევს. ეს ჩინოვნიკი კომიტეტს ექვსი თვე ხელმძღვანელობდა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადადგა.

თუმცა, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის პოსტი ვაკანტური ცოტა ხანი იყო. ავსტრიის ოლიმპიურმა კომიტეტმა რადმანის შემცვლელად ლეგენდარული ავსტრიელი სამთო მოთხილამურე - **ფრანც კლამერი** დანიშნა.

შეგახსენებთ, 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყანა 4 ივლისს გაირკვევა. ზალცბურგის გარდა, თამაშების მასპინძლობაზე პრეტენზიას ჩრდილოკორეული პიონჩანგი და რუსული სოჭი აცხადებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



კრიმინალი

# ტაისონის სასამართლო დაიწყო

## რკინის მაიკი ყველა ბრალდებას უარყოფს, პროკურორი 7 წელს ითხოვს

გუშინ, არიზონას შტატის ქალაქ ფინიქსში, სკანდალურად ცნობილი ამერიკელი მოკრივის - **მაიკ ტაისონის** სასამართლო პროცესის პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც რკინის მაიკმა არ ცნო თავი დამნაშავედ. პროკურორის სიტყვებით, ის ზემძიმე წონაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონისთვის 7-წლიან პატიმრობას ითხოვს.

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, 29 დეკემბერს, ქალაქ სტოკსდეილში ტაისონი ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მანქანის მართვისთვის დააკავეს. მოკრივემ წითელ შუქზე გაიარა, რითაც პოლიციის ყურადღება მიიპყრო. შემდეგ ის პატრულის ნიშანს არ დაემორჩილა და ბოლოს, კინაღამ პოლიციის მანქანასაც შეეჯახა. ჩხრეკის შედეგად, ტაისონის მანქანაში კოკაინი იპოვნეს, ჩრდილოეთ ამერიკაში კი, ეს სერიოზულ დანაშაულად ითვლება, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იქ ლუდის გახსნილი ბოთლის უკანა სავარძელზე მოთავსებაც კი კანონით არის აკრძალული.

პოლიციის სერჟანტ **ლარი ჰოლის** თქმით, დაკავების მომენტში ტაისონი არაადეკვატურად იქცეოდა და როცა მას სამედიცინო ტესტის ჩატარება შესთავაზეს, კარგა ხანი ეწინააღმდეგებოდა პოლიციას.

დაკავების შემდეგ ჩატარებულმა ტესტმა დაადგინა, რომ მაიკს კოკაინი ჰქონდა მიღებული. ექსპერტების გარემოცვაში, მოკრივე თურმე ძალიან აგრესიულად იქცეოდა და ამის გამო, მას ერთდღიანი პატიმრობა გამოუწერეს.

და აი, გუშინ, მაიკ ტაისონი კვლავ წარსდგა სასამართლოს წინაშე. თუმცა, გუშინდელი სხდომა უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებდა. მოსამართლე **ლიზა ვანდენბერგმა** ბრალდებულს მხოლოდ ვინაობა და დაბადების წელი ჰკითხა, ხოლო დანარჩენი დრო, მას მოკრივის ადვოკატები ესაუბრებოდნენ. სხვათა შორის, სასამართლოზე ტაისონი საკმაოდ მშვიდი და თვინიერი იყო.

ჟურნალისტებს სხდომის შესახებ, ტაისონის ერთ-ერთმა ადვოკატმა - **დევიდ ჩერნოფმა** უამბო, რომელმაც განაცხადა, რომ მისი კლიენტი თავს დამნაშავედ არ ცნობს.

*"ტაისონის საქციელი არ შეიძლება მძიმე დანაშაულთა რიცხვს მივაკუთვნოთ, ვინაიდან მას არავისთვის ზიანი არ მიუყენებია. ამიტომაც, ის პატიმრობით არ უნდა დასაჯონ და მხოლოდ ფულადი ჯარიმა უნდა აკმარონ, მით უმეტეს, რომ თავისი ცხოვრების განმავლობაში, მაიკს უამრავი კეთილი საქმე გაუკეთებია და იმედია, სასამართლო ამას გაითვალისწინებს"*, - ამბობს ჩერნოფი.

ადვოკატებს არ ეთანხმება პროკურორი **ენდრიუ ტომასი**, რომელიც მოკრივის მკაცრად დასჯას, ანუ მისთვის 7-წლიან პატიმრობას ითხოვს. სწორედ ასეთია მაქსიმალური ვადა იმ 3 დანაშაულისთვის, რომელიც ტაისონმა ჩაიდინა - ნარკოტიკების მოხმარება, შენახვა და მანქანის ნარკოტიკული ზემოქმედების ქვეშ მართვა.

სასამართლო პროცესი 26 თებერვალს გაგრძელდება, მანამდე კი, შეგახსენებთ, რომ 1992 წელს, ტაისონი გაუპატიურებაში ცნეს დამნაშავედ, რის გამოც, მოკრივემ სამი წელი ციხეში გაატარა. ამის შემდეგაც, მაიკს არაერთხელ მოუწია სასამართლოში სიარული, მაგრამ ყველა შემთხვევაში, მოკრივე ფულადი ჯარიმის გადახდით გადაურჩა პატიმრობას. თუმცა ამჯერად, "რკინის მაიკს" უფრო რთულად აქვს საქმე.



მაიკ ტაისონი სასამართლოზე

## ჰოკეი

NHL

# კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნულ ლიგაში, გასული კვირის საუკეთესო მოთამაშედ "ნეშვილ პრედატორზის" ფორვარდი **დევიდ ლეგვანდი** აღიარეს. მან პირველი ვარსკვლავის სტატუსი მიიღო.

26 წლის ლეგვანდმა 4 მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან, თავის გუნდს სამჯერ მოაგებინა. 1998 წლის დრაფტის მეორე ნომერმა, "ჩიკაგოსთან" მატჩში კარიერაში პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა, გარდა ამისა, გასულ კვირას ის "ნეშვილის" ყველა დროის საუკეთესო სნაიპერი გახდა - ახლა ლეგვანდის ანგარიშზე 97 შაიბაა.

გასული კვირის მეორე ვარსკვლავი გახდა "დალასის" მეკარე **მარტი ტურკო**. თავის კოლეგებს შორის, ის ყველაზე ნაკლებ - 1.3 შაიბას უშვებდა მატჩში და მეტოქეთა დარტყმების 94 პროცენტს იგერიებდა. ტურკოს მეცადინეობით, "დალასმა" გასული კვირის სამივე მატჩში მიაღწია გამარჯვებას, თავად მეკარე კი, გამარჯვებების რაოდენობით "სტარზის" ყველა დროის ლიდერი გახდა - 161.

დაბოლოს, მესამე ვარსკვლავად "პიტსბურგის" დებიუტანტი, 20 წლის რუსი **ევგენი მალკინი** დასახელდა, რომელმაც 3 მატჩში ორი გოლი გაიტანა და ექვსი საგოლე პასი გააკეთა. ამ ექვსიდან მალკინმა ხუთი შედეგიანი გადაცემა ერთ მატჩში ჩამოარიგა.

■ ■ ■

"ნიუ იორკ რეინჯერსის" ჩეხმა ლეგიონერმა **იარომირ იაგრმა** უარი თქვა არდადეგებზე, რომელიც "ყველა ვარსკვლავის მატჩით" არის გამოწვეული. "რეინჯერსის" ბომბარდირმა სამი დღის წინათ დაიწყო სპეციალურად მისთვის შედგენილი გეგმით ვარჯიში. ჰოკეისტს იმედი აქვს, რომ ეს მინი-შეკრება მას იმ სპორტული ფორმის აღდგენის საშუალებას მისცემს, რომელიც იაგრს სეზონის პირველ ნაწილში ჰქონდა, როცა ჩეხი რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი იყო.

## TV სპორტი

**24 იანვარი. ოთხშაბათი**

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:20** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ლაციო-მილანი.
**10:05** სპორტინფორმი.
**10:15** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**11:15** სპორტინფორმი.
**11:25** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა 2004-05. მილანი-ეინდჰოვენი.
**13:40** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. რეალი-ბეტისი.
**15:25** ფეხბურთი. ესპანეთის თასი. მიმოხილვა.
**16:25** ფიტნეს-პლანი.
**16:50** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-სევილია.
**18:35** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
**20:20** სპორტდოსიე.
**20:30** სპორტინფორმი.
**20:45** ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ახალგაზრდა ვარსკვლავთა მატჩი.
**22:40** სპორტინფორმი.
**22:55** ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. მიმოხილვა.
**23:45** სპორტინფორმი.
**00:00** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბეტისი-ბარსელონა (LIVE).
**01:55** სპორტინფორმი.
**02:07** ფეხბურთი. ბრაზილია. სან პაულუს შტატის ჩემპიონატი. სანტოსი-სან კაეტანო.
**03:55** სპორტდოსიე.
**04:00** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**05:00** ჰოკეი. ALL STAR-ის უიქ ენდი. ყველა ვარსკვლავის მატჩი (LIVE).
**07:35** ფიტნეს-პლანი.

**EUROSPORT**

**09:15** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე.
**11:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე (LIVE).
**15:00** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. მოკლე პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
**19:30** ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე.
**21:00** ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. ვარშავა. პოლონეთი (LIVE).
**00:15** აფროსნობა.
**00:20** მულტისპორტი.
**00:25** ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ლაიპციგი. გერმანია.
**01:30** გოლფი.
**01:35** აფროსნობა.
**01:40** მულტისპორტი.
**01:45** ბოულსი. მსოფლიო ჩემპიონატი. დიდი ბრიტანეთი.

**EUROSPORT-2**

**09:30** ახალი ამბები.
**12:00** ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია.
**13:00** კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ტურნირი. უნიქსი (რუსეთი)-რეალი (ესპანეთი).
**14:00** ახალი ამბები.
**16:00** ზამთრის უნივერსიადა. ტრამპლინიდან ხტომა. K125. ტურინი. იტალია.
**16:30** ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. ს. კორეა-აშშ. ტურინი. იტალია (LIVE).
**19:00** ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია.
**20:00** ახალი ამბები.
**20:30** ექსტრემალური სპორტი.
**21:30** ახალი ამბები.
**22:00** მულტისპორტი.
**22:30** ზამთრის უნივერსიადა. ჰოკეი. კანადა-რუსეთი. ტურინი. იტალია (LIVE).
**01:00** ახალი ამბები.
**01:45** ექსტრემალური სპორტი.
**02:45** ზამთრის უნივერსიადა. სნოუბორდი. ტურინი. იტალია.
**02:15** ახალი ამბები.

## ხელბურთი

გერმანია 2007. მსოფლიო ჩემპიონატი. ვაჟები

**I ჯგუფური ტურნირი**

**A ჯგუფი**

| | |
|---|---|
| სლოვენია-გრენლანდია | 35:21 |
| ტუნისი-ქუვეითი | 34:23 |
| გრენლანდია- ტუნისი | 20:36 |
| ქუვეითი-სლოვენია | 23:33 |
| ქუვეითი-გრენლანდია | 39:27 |
| ტუნისი-სლოვენია | 27:34 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. სლოვენია | 3 | 0 | 0 | 102-71 |
| 2. ტუნისი | 2 | 0 | 1 | 97-77 |
| 3. ქუვეითი | 1 | 0 | 2 | 85-94 |
| 4. გრენლანდია | 0 | 0 | 3 | 68-110 |

**B ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ისლანდია-ავსტრალია | 45:20 |
| საფრანგეთი-უკრაინა | 32:21 |
| ავსტრალია-საფრანგეთი | 10:47 |
| უკრაინა-ისლანდია | 32:29 |
| უკრაინა-ავსტრალია | 38:18 |
| საფრანგეთი-ისლანდია | 24:32 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ისლანდია | 2 | 0 | 1 | 106-76 |
| 2. საფრანგეთი | 2 | 0 | 1 | 103-63 |
| 3. უკრაინა | 2 | 0 | 1 | 90-79 |
| 4. ავსტრალია | 0 | 0 | 3 | 48-129 |

**C ჯგუფი**

| | |
|---|---|
| გერმანია-ბრაზილია | 27:22 |
| პოლონეთი-არგენტინა | 29:15 |
| ბრაზილია-პოლონეთი | 23:31 |
| არგენტინა-გერმანია | 20:32 |
| გერმანია-პოლონეთი | 25:27 |
| ბრაზილია-არგენტინა | 20:22 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 3 | 0 | 0 | 87-63 |
| 2. გერმანია | 2 | 0 | 1 | 84-69 |
| 3. არგენტინა | 1 | 0 | 2 | 57-81 |
| 4. ბრაზილია | 0 | 0 | 3 | 65-80 |

**D ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ჩეხეთი-კატარი | 37:23 |
| ესპანეთი-ეგვიპტე | 33:29 |
| კატარი-ესპანეთი | 18:41 |
| ეგვიპტე-ჩეხეთი | 30:31 |
| ეგვიპტე-კატარი | 35:24 |
| ესპანეთი-ჩეხეთი | 35:29 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 3 | 0 | 0 | 109-76 |
| 2. ჩეხეთი | 2 | 0 | 1 | 97-88 |
| 3. ეგვიპტე | 1 | 0 | 2 | 94-88 |
| 4. კატარი | 0 | 0 | 3 | 65-113 |

**E ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ნორვეგია-ანგოლა | 41:13 |
| დანია-უნგრეთი | 29:30 |
| ანგოლა-დანია | 20:39 |
| უნგრეთი-ნორვეგია | 25:22 |
| უნგრეთი-ანგოლა | 34:31 |
| დანია-ნორვეგია | 27:25 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. უნგრეთი | 3 | 0 | 0 | 89-82 |
| 2. დანია | 2 | 0 | 1 | 95-75 |
| 3. ნორვეგია | 1 | 0 | 2 | 88-65 |
| 4. ანგოლა | 0 | 0 | 3 | 64-114 |

**F ჯგუფი**

| | |
|---|---|
| ხორვატია-მაროკო | 35:22 |
| რუსეთი-კორეა | 32:32 |
| მაროკო-რუსეთი | 19:35 |
| კორეა-ხორვატია | 23:41 |
| მაროკო-კორეა | 19:32 |
| ხორვატია-რუსეთი | 32:27 |

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ხორვატია | 3 | 0 | 0 | 108-72 |
| 2. რუსეთი | 1 | 1 | 1 | 94-83 |
| 3. კორეა | 1 | 1 | 1 | 87-92 |
| 4. მაროკო | 0 | 0 | 3 | 60-102 |

**II ჯგუფური ტურნირი**

**I ჯგუფი**

**24 იანვარი**
სლოვენია-გერმანია
ტუნისი-ისლანდია
საფრანგეთი-პოლონეთი

**25 იანვარი**
ტუნისი-გერმანია
პოლონეთი-ისლანდია
საფრანგეთი-სლოვენია

**27 იანვარი**
საფრანგეთი-გერმანია
ისლანდია-სლოვენია
პოლონეთი-ტუნისი

**28 იანვარი**
გერმანია-ისლანდია
სლოვენია-პოლონეთი
საფრანგეთი-ტუნისი

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ისლანდია | 1 | 0 | 0 | 32-24 |
| 2. სლოვენია | 1 | 0 | 0 | 34-27 |
| 3. პოლონეთი | 1 | 0 | 0 | 27-25 |
| 4. გერმანია | 0 | 0 | 1 | 25-27 |
| 5. ტუნისი | 0 | 0 | 1 | 27-34 |
| 6. საფრანგეთი | 0 | 0 | 1 | 24-32 |

**II ჯგუფი**

**24 იანვარი**
ჩეხეთი-უნგრეთი
ესპანეთი-რუსეთი
დანია-ხორვატია

**25 იანვარი**
ჩეხეთი-რუსეთი
ხორვატია-უნგრეთი
დანია-ესპანეთი

**27 იანვარი**
ხორვატია-ჩეხეთი
უნგრეთი-ესპანეთი
დანია-რუსეთი

**28 იანვარი**
ესპანეთი-ხორვატია
რუსეთი-უნგრეთი
დანია-ჩეხეთი

| | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 1 | 0 | 0 | 35-29 |
| 2. ხორვატია | 1 | 0 | 0 | 32-27 |
| 3. უნგრეთი | 1 | 0 | 0 | 30-29 |
| 4. დანია | 0 | 0 | 1 | 29-30 |
| 5. რუსეთი | 0 | 0 | 1 | 27-32 |
| 6. ჩეხეთი | 0 | 0 | 1 | 29-35 |

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| უოტფორდი-ბლექბერნი | 2:1 |
| **ჩემპიონატი** | |
| ბარნლი-სტოკი | 0:1 |
| **I ლიგა** | |
| ნორთჰემპტონი-მილუოლი | 3:0 |
| სუონსი-ჯილინგემი | 2:0 |
| **კონფერენსი** | |
| ქროული-გრეივსენდი | 1:1 |
| ექსეტერი-უეიმაუთი | 4:0 |
| ფორესტ გრინი-ალდერშოტი | 3:0 |
| გრეისი-დაგენჰემი | 0:1 |
| ჰალიფაქსი-იორკი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-სტეფორდი | 2:0 |
| მორკამბი-საუთპორტი | 0:0 |
| რაშდენი-კემბრიჯი | 3:1 |
| სტივენეიჯი-სტ. ალბანსი | 1:2 |
| უოკინგი-ოქსფორდი | 1:0 |
| ნორთვიჩი-ალტრინჩემი | გადაიდო |
| ბარტონი-ტამუორტი | გადაიდო |
| **ასოციაციის თასი** | |
| ლუტონი-ქვინზ პარკი | 1:0 |
| **ლიგის თასი** | |
| 1/2 ფინალი. II მატჩი | |
| ჩელსი-უიკომბი | 4:0 (1:1) |
| **LDV Vans Trophy** | |
| ბრისტოლი-ბრაიტონი | 2:0 |
| შრიუსბერი-როვერსი | გადაიდო |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| ვილემი-გრააფსხაპი | 4:2 |
| ალკმაარი-ვენლო | 5:0 |

**კალათბურთი**

| | |
|---|---|
| **ევროპის თასი** | |
| აზოვმაში-რიგა | 87:58 |
| კალევი-დიჟონი | 74:75 |
| შიაულაი-აელ | 79:85 |
| დინამო (მ-ო)-მარუსი | 63:54 |
| ლოკომოტივი-ტურკ ტელეკომი | 83:72 |
| ესტუდიანტესი-ლიეჟი | 93:81 |

**ჰოკეი**

| | |
|---|---|
| **რუსეთი** | |
| მეტალურგი (ნ)-ტრაქტორი | 4:3 |
| ავანგარდი-ლადა | 2:0 |
| სიბირი-ცსკა | 2:1 |
| მეტალურგი (მ)-ლოკომოტივი | 0:3 |
| ს. იულაევი-ნეფტეხიმიკი | 2:2 |
| აკ ბარსი-სკა | 3:1 |
| კრილია-დინამო | 1:7 |
| ხიმიკი-სევერსტალი | 3:4 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-დიუსელდორფი | 2:3 |
| კრეფელდი-შტრაუბინგი | 4:4 დ.დ 4:5 |
| **სლოვაკეთი** | |
| ზვოლენი-ჟილინა | 5:3 |
| მარტინი-სკალიცა | 3:0 |
| მიქულაში-სლოვანი | 3:5 |
| ტრენჩინი-პოპრადი | 1:2 |
| ნიტრა-კოშიცე | 4:4 დ.დ 4:5 |
| **ფინეთი** | |
| კიეკო-ვეი პა | 3:1 |
| ტპს-ლუკო | 2:5 |
| ჰპკ-ილვესი | 1:2 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-ტრშინეცი | 2:2 პენ. 3:2 |
| ვსეტინი-ლიბერეცი | 0:3 |
| ზნოიმო-ზლინი | 1:1 დ.დ 2:1 |
| კლადნო-სპარტა | 7:5 |
| ლიტვინოვი-კარლოვი ვარი | 4:2 |
| პარდუბიცე-პლზენი | 2:1 |
| სლავია-ბუდეიოვიცე | 2:2 დ.დ 2:3 |
| **შვეიცარია** | |
| ლუგანო-ცუგი | 0:0 დ.დ 1:0 |
| **შვედეთი** | |
| ლულეა-ფროლუნდა | 2:5 |
| მოდო-მორა | 3:0 |
| ფერიესტადი-ლინჩოპინგი | 5:2 |



კარმელო და ალენი კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# კარმელო დაბრუნდა

**დენვერი-მემფისი 115:98**

38:18, 29:21, 29:23, 27:28

**დენვერი:** ენტონი (26 ქ. 6 პ. 5 მ), აივერსონი (23 ქ. 7 პ. 4 მ), ჯეი. არ. სმიტი (19 ქ), კემბი (17 ქ. 17 მ. 3 დ), ნენე (11 ქ. 5 მ).

**მემფისი:** გასოლი (23 ქ. 17 მ. 6 პ. 2 ჩ), ეტკინსი (15 ქ. 7 პ. 2 ჩ), გეი (12 ქ. 3 ჩ), უორიკი (11 ქ).

ჩხუბის გამო, 15 შეხვედრის გამოტოვების შემდეგ, კოლორადოელებს **კარმელო ენტონი** დაუბრუნდათ, რომლის "ნაგეტსმა", მელოსა და **ალენ აივერსონის** სუპერტანდემით პირველი წარმატებული მატჩი გამართა.

მერე რა, რომ "ოქროს ზოდების" მეტოქე ლიგაში უსუსტესი გუნდი იყო? "მემფისი" ჯანზე მყოფი **პაუ გასოლით,** თამაშის ხარისხს დღითიდღე აუმჯობესებს და "ფინიქსისა" და "ვაშინგტონის" შემდეგ, ბოლო 2 კვირის განმავლობაში ყველაზე უხვქულიან გუნდადაც იქცა.

"დენვერის" მთავარი მწვრთნელის, პროფესიულ კალათბურთში ჭიპმოჭრილი **ჯორჯ კარლისთვის** მთავარი დილემა, კარმელოს დაბრუნებასთან ერთად მასსა და აივერსონს შორის სროლების რაციონალურად გადანაწილებაა. პირველმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ლიგის საუკეთესო ბომბარდირთა ხუთეულში მყოფი კალათბურთელები, ერთად საკმაოდ ნაყოფიერად ირჯებიან და ბურთის დროულად გაცემის პრობლემაც არ შექმნილა.

ენტონის რიგ ეპიზოდებში აშკარად ეტყობოდა სათამაშო პრაქტიკის უქონლობა, თუმცა საბოლოო ჯამში, მან და აივერსონმა კარლის მიერ მანამდე არაერთგზის აპრობირებული "ბერმუდის სამკუთხედისებრი" შეტევა შესანიშნავად წარმართეს.

როგორც კი აივერსონზე მეორე მეურვე გადადიოდა, ალენი ბურთს ენტონისკენ უშვებდა, ხოლო კარმელოსადმი ზედმეტი აქტიურობის გამოჩენის შემთხვევაში, მასპინძელთა იერიშებს საკმაოდ კარგი მსროლელი **ჯეი. არ. სმიტი** ან ბოლო მატჩებში შესანიშნავ ფორმაში მყოფი **მარკუს კემბი** ასრულებდნენ.

"დენვერი" თამაშის ტემპს არ აგდებდა, ხოლო "მემფისის" რიგებში გასოლის გარდა, პასუხის გამცემი არავინ იყო.

*"ნიუ იორკთან" არ უნდა მეჩხუბა, მაგრამ რაც მოხდა, მოხდა. დევიდ სტერნმა სამაგალითოდ დამსაჯა და სიმართლე გითხრათ, ახლა, როდესაც დისკვალიფიკაცია მოვიხადე, ლიგის კომისრისადმი ვერანაირ პრეტენზიას ვერ გამოვთქვავ. ალენთან ერთად თამაში დიდი პატივი და სიამოვნებაა. ვეცდები, გუნდი დასავლეთის ლიდერებში დავაბრუნო და ფლეი ოფის პირველ წრეში, საკუთარი მოედნის უპირატესობა მოვაპოვებინო",* - განაცხადა ნამატჩევს გამართულ პრესკონფერენციაზე ენტონიმ, რომელმაც თამაშიდან 25-დან 10, საჯარიმოს ხაზიდან კი რვავე სროლა გამოიყენა.

**ბოსტონი-ს. ანტონიო 89:93**

24:20, 14:30, 26:27, 26:16

**ბოსტონი:** დელონტე უესტი (27 ქ. 2 ჩ), ელ ჯეფერსონი (26 ქ. 14 მ. 2 დ), გომესი (20 ქ. 7 ).

**სან ანტონიო:** დანკანი (21 ქ. 9 მ. 5 პ. 4 დ), ტ. პარკერი (15 ქ. 5 პ), ჯინობილი (15 ქ. 6 მ), ფინლი (12 ქ), ელსონი (10 ქ).

"ბოსტონისთვის" **ტიმ დანკანი** ყველაზე საძულველ, უხერხულ და დაუმარცხებელ ოპონენტად იქცა. დიახ, დანკანი და მხოლოდ ამის მერე მთლიანად "სან ანტონიო", რადგან "სელტიქსის" "სპურსთან" მორიგი მარცხით, ბოსტონელთა სამარცხვინო სერია გაგრძელდა.

მასპინძლები "დეზებთან" ზედიზედ მე-18-ედ დამარცხდნენ, ანუ ლიგის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვან კლუბს ტეხასელები მას მერე არ დაუჩოქებია, რაც ამ გუნდში თავისი სადებიუტო მატჩი დანკანმა ჩაატარა.

"სან ანტონიომ" კი მოიგო, მაგრამ ტიმი მაინც უკმაყოფილო ჩანდა. სტუმართა ვარსკვლავს ამისი საბაბი ნამდვილად გააჩნდა - მისი გუნდი მესამე მეოთხედის შუაწელს მთელი 23 ქულით იგებდა, მერე კი, "სელტიქსს" ბოლო 12-წუთეულში ერთ-ერთი მონაკვეთი 13:0 მოაგებინა და უყურადღებო თამაშისთვის კინაღამ დაისაჯა კიდეც.

*"ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევიგნოთ, რომ აუტსაიდერი და ფავორიტი ჩვენს ლიგაში უკვე ფორმალობად იქცა. ნებისმიერს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია, ჩვენი ქენი კი ისევ ისაა, რაც სეზონის დასაწყისში - სოლიდურად დაწინაურების შემდეგ. ყურადღებას ვადუნებთ და მატჩს ინტრიგას ვუბრუნებთ. ფანებისთვის ეს თვალსასეიროა, მაგრამ ვეჭვობ, მათ განწყობას გრეგ პოპოვიჩიც იზიარებდეს",* - განაცხადა დანკანმა, რომელმაც თავისთვის უჩვეულოდ, კარგად შეასრულა საჯარიმოები და შვიდივე ერთქულიანი სროლა გამოიყენა.

**ზურაბ თალაკვაძე**

**კლივლენდი-ორლანდო 79:90**

20:26, 18:28, 22:17, 19:19

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (18 ქ. 5 პ. 4 მ. 3 ჩ), დ. ჯოუნსი (16 ქ), ჰიუზი (16 ქ. 7 პ. 2 ჩ), გუდენი (12 ქ. 11 მ).

**ორლანდო:** გ. ჰილი (22 ქ. 5 მ), დ. ჰოვარდი (18 ქ. 13 მ. 2 დ), ნელსონი (11 ქ. 6 პ. 5 მ), მილიჩიჩი (9 ქ. 9 მ).

**საკრამენტო-ნ. ჯერსი 88:87**

21:20, 24:27, 19:29, 24:11

**საკრამენტო:** არტესტი (21 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), ბიბი (16 ქ. 6 პ. 3 ჩ), კევინ მარტინი (10 ქ), ბ. მილერი (9 ქ. 10 მ. 5 პ).

**ნიუ ჯერსი:** მური (22 ქ. 4 მ. 4 პ), კიდი (18 ქ. 10 მ. 10 პ. 3 ჩ), ე. ჰაუსი (12 ქ).

**ინდიანა-ჩიკაგო 98:91**

27:23, 33:20, 17:28, 21:20

**ინდიანა:** ჯ. ონილი (22 ქ. 10 მ), გრეინჯერი (19 ქ), დ. არმსტრონგი (16 ქ. 10 პ. 8 მ. 3 ჩ), მ. დანლივი-უმცროსი (15 ქ. 7 პ. 5 მ), მ. დენიელსი (12 ქ).

**ჩიკაგო:** გორდონი (31 ქ. 4 პ), დენგი (18 ქ. 8 მ), ჰაინრიხი (14 ქ. 7 პ).

**ლეიკერსი-გ. სტეიტი 108:103**

32:33, 29:24, 19:28, 28:18

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (42 ქ. 8 მ), მ. ევანსი (14 ქ), კუკი (13 ქ), ს. პარკერი (11 ქ), ბინუმი (10 ქ. 15 მ. 4 პ. 4 დ).

**გოლდენ სტეიტი:** ე. ჰარინგტონი (30 ქ. 3 ჩ), მ. ელისი (16 ქ. 4 მ. 4 პ), ბ. დევისი (15 ქ. 7 პ. 5 ჩ), პიეტრუსი (14 ქ. 14 მ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (13 ქ).

**ტორონტო-შარლოტი 105:84**

37:27, 19:26, 21:8, 28:23

**ტორონტო:** ბოში (20 ქ. 5 მ), კალდერონი (19 ქ. 11 პ), ბარნიანი (14 ქ. 3 მ. 1 პ. 1 ჩ. 1 დ), პიტერსონი (11 ქ), ნესტეროვიჩი (10 ქ. 4 მ. 4 პ. 2 დ).

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (19 ქ. 9 მ. 3 ჩ. 2 დ), ფელტონი (19 ქ. 8 პ), ოკაფორი (13 ქ. 5 მ. 3 ჩ. 3 დ), კეროლი (10 ქ. 6 მ).

**მაიამი-ნიუ იორკი 101:83**

40:12, 16:29, 21:23, 24:19

**მაიამი:** კაპონო (22 ქ. 5 მ), ჯეისონ უილიამსი (20 ქ. 7 პ. 3 ჩ), ჰასლემი (19 ქ. 10 მ. 4 პ), პეიტონი (10 ქ. 13 პ. 6 მ), მურნინგი (10 ქ. 7 მ. 4 დ), ა. უოკერი (10 ქ. 4 მ).

**ნიუ იორკი:** კარი (26 ქ), ჯ. კროუფორდი (13 ქ. 9 პ), ნ. რობინსონი (11 ქ), ლი (9 ქ. 15 მ).

**იუტა-მინესოტა 106:91**

20:23, 29:13, 34:30, 23:25

**იუტა:** ბუზერი (28 ქ. 5 მ), დერონ უილიამსი (21 ქ. 15 პ. 2 ჩ), ბუზერი (18 ქ. 5 მ), ჰარპრინგი (11 ქ).

**მინესოტა:** რ. დევისი (32 ქ. 3 პ), გარნეტი (17 ქ. 11 მ. 2 დ), მ. ბლაუნტი (11 ქ. 6 მ).

ინტერვიუ რობერტ პერიშთან

# სელტიქსის ეპოქა ბერდის წასვლის შემდეგ დასრულდა

**ლიგის ისტორიაში ყველაზე ტიტულოვანი გუნდის, საკალათბურთო ასოციაციის 16-გზის ჩემპიონი გუნდის, "ბოსტონ სელტიქსის" მფლობელები მალე საკალათბურთო ოპერაციების პრეზიდენტსა და მთავარ მწვრთნელს გაუშვებენო - წერენ ჩვენი ოკეანისგაღმელი კოლეგები. ბოსი - დენი ეინჯი და მთავარი მწვრთნელი - დოკ რივერსი უფსკრულში გადასაჩეხად ბევრს არ ემეტება, მაგრამ ფაქტია – "ბოსტონი" ძალიან სუსტ, დაულაგებელ კალათბურთს თამაშობს და ნელ-ნელა იუარესებს ფლეი ოფში გასვლის შანსებს. "ბოსტონის" დღევანდელ მდგომარეობაზე, წარსულის დიდ მოთამაშეებზე, ყველა დროის უძლიერეს ცენტრებსა და კიდევ ბევრ სხვა საინტერესო საკითხზე ლეგენდარული "ბელადი", "სელტიქსის" რიგებში სამგზის ჩემპიონი რობერტ პერიში გვესაუბრება.**

**- ჩარლზ ბარკლიმ თავისი ერთ-ერთი უკანასკნელი ტელერეპორტაჟისას, "სელტიქსს" ლიგის ყველაზე სამარცხვინო გუნდი უწოდა. თქვენ რას ფიქრობთ "სერ ჩარლზის" ამ გამონათქვამზე?**

- ბარკლი საკმაოდ დიდი ინტელექტის მქონე პიროვნებაა, რომელსაც პროფესიულ კალათბურთში თითქმის ყველაფერი აქვს ნანახი. თანაც, იგი პროფესიონალ ანალიტიკოსად იქცა, მის აზრს ბევრი პატივს სცემს და აქედან გამომდინარე, ამ გამონათქვამზე ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ. ჩემის მხრივ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დღევანდელი "სელტიქსი" მართლაც ძალიან დაბალი დონის კალათბურთს აჩვენებს. არ მითხრათ, რომ ამის ბრალი მხოლოდ და მხოლოდ პოლ პირსის ტრავმაა. როდესაც პოლი მწყობრში იყო და 25-30 ქულას აგროვებდა, "სელტიქსი" მაინც სამარცხვინო კალათბურთს თამაშობდა. რისი ბრალია გუნდის ასეთი დაცემა? არა მგონია, რომ ყველაფერში გუნდის ბოსი, ჩემი ყოფილი თანაგუნდელი დენი ეინჯი უნდა დავადანაშაულოთ. იგი აქცენტს თავიდანვე "ბოსტონის" გაახალგაზრდავებაზე აკეთებდა და ბოლო 2 წლის განმავლობაში, "სელტიქსში" ძალიან ბევრმა ახალგაზრდა მოთამაშემ მიიღო თავის გამოჩენის შანსი. სხვა საქმეა, როგორ გამოიყენეს მათ ეს. ელ ჯეფერსონისა და დელონტე უესტის გარდა, დღევანდელ "სელტიქსში" (რა თქმა უნდა, პირსს არ ვგულისხმობ) ვერავის ვხედავ ისეთს, ვის ირგვლივაც გუნდის შენება გახდება შესაძლებელი. ჯეფერსონი უკვე იქცა მაღალი დონის მძიმე ფორვარდად, თუმცა დოკ რივერსი მას ძირითადად ცენტრად ათამაშებს და ელსაც მასზე ბევრად მძიმე, ჯანიანი ოპონენტების წინააღმდეგ მოქმედება უწევს.

**- თავის დროზე, ბევრმა შეცდომად მიიჩნია გუნდიდან ანტუან უოკერის გაშვება. პირსს ძლიერი მეწყვილე და მეგობარი მოწყვიტეს. თქვენ როგორ შეაფასებდით კლუბის ამ ნაბიჯს?**

- ანტუანი მაშინ არ უნდა გაგვეშვა, როდესაც მეორედ დავაბრუნეთ. იმ პერიოდში, "სელტიქსს" გაცილებით დაღვინებული, დინჯი ანტუანი შეუერთდა, რომელიც გუნდურ ინტერესებს წინა პლანზე აყენებდა, ხოლო პირსი კი უკვე "სელტიქსის" ულაპარაკო ლიდერი იყო. ანტუანი ამას შეეგუა, მაგრამ როგორც ვიცი, მას შემდგომში დენისთან მცირე პრობლემები შეექმნა და ეინჯს სხვა გზა აღარ დარჩა, რომ ის გუნდიდან გაეშვა. მას მერე უოკერის თამაშში რეგრესი შეიმჩნევა, თუმცა მაინც მოახერხა ჩემპიონობის მოპოვება. მართალია, "მაიამიში" წინა პლანზე დუეინ უეიდი და შაკი დგანან, მაგრამ ორი ძლიერი მოთამაშით ჩემპიონობის მოპოვება შეუძლებელია. "ჰიტის" ჩემპიონობაში ძალიან დიდი როლი ითამაშეს გარი პეიტონმა, ჯეისონ უილიამსმა, იგივე ანტუანმა და ჯეიმს პოუსიმ.

**- ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ თუ "სელტიქსი" ფლეი ოფში ვერ გავა, გუნდის მფლობელები ეინჯსა და დოკ რივერს კარისკენ მიუთითებენ.**

- წარმოდგენა არ მაქვს, რა მოხდება. ფლეი ოფში გასვლა უკვე რთულია, თუმცა არა წარმოუდგენელი. დღეს აღმოსავლეთში ძალიან არეული სიტუაციაა და თუ "ბოსტონი" სტაბილურად თამაშს შეძლებს, მაშინ იქნებ უკანასკნელ, მერვე საფლეიოფო ადგილზე მაინც გავიდეთ. აღმოსავლეთიდან ამ ეტაპზე ფლეი ოფში გასვლის რეალურ კანდიდატებად "კლივლენდი", "დეტროიტი", "ჩიკაგო", "ვაშინგტონი", "ნიუ ჯერსი" და ალბათ, "მაიამი" უნდა მივიჩნიოთ, რომელსაც მოგებაზე ბევრი წაგება კი აქვს, მაგრამ შაკი როგორც კი დაბრუნდება, გუნდი თამაშის ხარისხს მაშინვე გააუმჯობესებს.

რაც შეეხება რივერს, მისი გაშვება შეცდომა იქნება. ამ კაცმა უსახურ, ძალიან საეჭვო რეპუტაციის მქონე "მეჯიქში" მუშაობისას დაამტკიცა თავისი მაღალი კლასი. ასე რომ, "სელტიქსის" ცუდი სტარტი რივერსის ბრალი ნამდვილად არ არის.

**- ბოლო დეკადის ცენტრებიდან საუკეთესოდ ვის მიიჩნევთ?**

- შაკილ ონილს. იგი ყველა დროის საუკეთესო ცენტრებში შედის და ალბათ, პირველ ხუთეულშიც დამსახურებულად არის შეყვანილი.

**- ვინ უფრო ძლიერი იყო, ქარიმი თუ შაკი?**

- აბდულ-ჯაბარს სხვა დადებითი მხარეები ჰქონდა. იგი შაკთან შედარებით უფრო მოძრავი იყო და საშუალო მანძილიდანაც გაცილებით ხშირად უტევდა. ქარიმის ნახევარკაუჭის შესრულებისას, მისთვის დაფარება არარეალური იყო. ერთადერთი იმის იმედი უნდა გქონოდა, რომ "ლეიკერსის" ცენტრი თავის საფირმო სროლას არაზუსტად შეასრულებდა. ასევე ძალიან რთული იყო დევიდ რობინსონის წინააღმდეგ თამაშიც, თუმცა დევიდს ერთი მინუსი ჰქონდა – იგი სუსტად ატარებდა ფლეი ოფის მატჩებს. როდესაც მოთამაშე კარიერას ასრულებს, ძალიან დიდ ყურადღებას აქცევენ იმას, თუ რა სტატისტიკა ჰქონდა მას ფლეი ოფში, ანუ ყველაზე მნიშვნელოვან მატჩებში. დევიდს რეგულარულში ვერავინ აჩერებდა, მაგრამ იწყებოდა ფლეი ოფი და მისტერ რობინსონი რატომღაც, სხვის ჩრდილში ექცეოდა და ვერაფრით ახერხებდა თავისი უდიდესი სათამაშო პოტენციალის ბოლომდე გამოყენებას. ოლაჯუონი კი პირიქით, ყველაზე დომინანტურ თამაშს სწორედ ფლეი ოფში აჩვენებდა. ჩემი აზრით, ყველა დროის ყველაზე ძლიერი საფლეიოფო გამოსვლა, ოლაჯუონის მიერ 1994-95 წლების ფლეი ოფში ნაჩვენები თამაშია. თუ გახსოვთ, მაშინ რეგულარულის საუკეთესო მოთამაშის ტიტული დევიდმა მიიღო, "სან ანტონიომ" რეგულარულიც პირველ ადგილზე დაასრულა, მაგრამ როდესაც "სპურსი" დასავლეთის ფინალში "ჰიუსტონს" შეხვდა, ჰაკიმმა დევიდს გადაუარა. იგივე განმეორდა სუპერფინალშიც, როდესაც გამოცდილმა ოლაჯუონმა ჯანიან, მაგრამ გამოუცდელ ონილს ყველა სათამაშო კომპონენტში აჯობა., არადა, მაშინ "მეჯიქმა" არაჩვეულებრივი კალათბურთი ითამაშა, "ჩიკაგოსაც" კი მოუგო, მაგრამ "ჰიუსტონზე" არაფრით ნაკლები სასტარტო ხუთეულის მიუხედავად, ფინალში მაინც უშანსოდ დარჩა.



რობერტ პერიში

**- ესე იგი, შაკი ჰაკიმზე ნაკლებია?**

- დიახ, იმ სერიაში ნამდვილად ასე იყო.

**- როგორ შეაფასებდით თქვენი მეგობრის, ლარი ბერდის მუშაობას "ინდიანაში"?**

- ლარიმ ძალიან სერიოზული გუნდი ჩამოაყალიბა, რომელსაც არ უმართლებს, რადგან ბოლო ორი რეგულარულის განმავლობაში გუნდს ხან ვინ აკლდება დიდი ხნით და - ხან ვინ. ჯერმეინ ონილის ირგვლივ ძალიან კარგი გუნდის აშენებაა შესაძლებელი, ოღონდ საამისოდ თავად ჯერმეინი უნდა იყოს ჯანმრთელი. ისე, "ბოსტონის" დაცემაში ყველაზე დიდი როლი სწორედ ბერდმა ითამაშა. მისი წასვლით შეიქმნა ვაკუუმი, რომლის ამოვსებაც დღემდე ვერ მოხერხდა.

**ზურაბ თალაკვაძე**

ელექტრონული ბიბლიოთეკა

ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოგა ახალაძე
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ გრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)
შალვა ეზანოიძე

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი
გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1984-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი:
საქართველოს ოლიმპიური ფონდი

მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ᵃ,
0159 თბილისი
(დიღომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995. 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge;
gazeti_lelo@mail.ru
ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე. გარდა კვირისა